პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტები
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე.
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8-81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 1% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით, მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 6 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 4 (2350)

დღიური

— საფრანგეთის მემაღაროთა გაფიცვა ფართოვდება.
— გერმანიის შრომის მინისტრი მხარს უჭერს გემთსაშენებლო ქარხნების პატრონებს.
— ბოლივია-პარაგვაის ომი დროებით შესწყდა.
— შეერთებული შტატების მეჯრეთა ახალი კავშირი უერთდება პროფინტერნს.
— პოლიტიკურ პატიმართა სიმშილობა ბულგარეთის ციხეებში.
— იტალიელ ანტი-ფაშისტ ემიგრანტების დევნა ბელგიაში.
— ხანძარი ბათუმის ხე-ტყის ქარხანაში.

ხელის მოწერა
გაზეთ „კომუნისტზე“
ქ. მარქსის „კაპიტალი“-ს
დამატებით გრძელდება 10 იანვრამდე

საბჭოთა საანგარიშო კამპანიის საკითხები

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა დასრულდა ზოგიერთი რაიონების გამოკლებით. ბევრგან უკვე დაიწყო საანგარიშო კამპანია. ამრიგად იწყება ის პერიოდი, როცა ჩვენ შეგვეძლება რეალურად შევაფასოთ, თუ რამდენად წარმატებით იქნა ჩატარებული არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა ამა თუ იმ რაიონში. ამომრჩეველთა, რაც შეიძლება უკლებლივ გამოცხადება საანგარიშო კრებებზე, აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოს წარსულ მუშაობის შეფასებაში, საქმიანი და მოურიდებელი კრიტიკა, კლასიური ხაზის მტკიცედ დაცვა,—აჰა ის მთავარი მომენტები, რომელნიც უნდა ახასიათებდნენ მთელ საანგარიშო მუშაობას და შემდეგ თვით საბჭოთა არჩევნებს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა არჩევნების გამო ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „საანგარიშო-საარჩევნო მუშაობის ჩატარების დროს საჭიროა: ბიუროკრატიზმის მოვლენებისა და საბჭოთა ორგანოების მასებისაგან მოწყვეტის ფართო კრიტიკა, მასების ფართოდ ჩაბმა საბჭოთა აქტიურ მშენებლობაში და საკუთარი მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხების ფართოდ დაწინაურება საბჭოებში და აღმასკომებში“.

იმისათვის, რომ ცკას ეს დირექტივა სწორად და ურყევად იქნას გატარებული, პირველ ყოვლისა ამას ხელი უნდა შეუწყონ თვით ანგარიშის ჩამბარებელ საბჭოთა ორგანოებმა. მაგრამ აქ არსებობს ერთი მავნე გადახრა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საბჭოთა საანგარიშო კამპანიას და საბოლოო ანგარიშით თვით არჩევნების შედეგებსაც. ეს არის საანგარიშო კამპანიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ბიუროკრატიზაცია“, საანგარიშო კამპანიის წარმართვა უწყებრივი გზით, ამ სიტყვის ცუდი გაგებით.

ეს ნაკლი საკმაოდ თვალსაჩინო იყო საანგარიშო კამპანიაში წარსულ წლებშიაც და ის ტრადიციის უფლებით გადმოდის მიმდინარე საანგარიშო კამპანიაშიც. კონკრეტულად ის შემდეგში მდგომარეობს: ანგარიშის ჩამბარებელი ორგანოები მიდიან ნაკლებ სიძნელეთა გზით. მათი მოხსენება უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ლიტონ-სტატისტიკურ ციფრებს მიღწევების შესახებ მუშაობის ამა თუ იმ დარგში საბჭოების ანგარიში ხშირად არის გრძელი მოხსენება მიღწევათა შესახებ განვლილი სამუშაო პერიოდის მანძილზე. ზოგჯერ კი ობიექტივობის დასაცავად მიუთითებენ იმ დეფექტებზედაც, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშების ჩაბარების ამგვარი პრაქტიკა ვერ იძლევა ისეთ შედეგს, როგორსაც საქმის ინტერესები მოითხოვს. ამომრჩეველთა მთავარ მასას საშუალება ესპობა, რომ საკითხს არსებითად მიუდგეს, რაც შეიძლება უკლებლივ გამოაშკარავოს მტკივნეული მხარეები და ამის შესაფერისად დასახოს ახალი სამუშაო გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ რაიონის საჭიროებანი და გადაუდებელი ამოცანები.

საჭიროა საანგარიშო კამპანიის უფრო პრაქტიკულ, ამომრჩეველთა მასისათვის უფრო გასაგებ და საინტერესო გზით წარმართვა. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა საანგარიშო კამპანია უმთავრესად გადაიქცევა იმის შემოწმებად, თუ რამდენად შეასრულა ამა თუ იმ საბჭომ ის დავალებანი, რომელნიც მას მისცეს ამომრჩევლებმა წარსული კამპანიის დროს. საქმე იმაში არ არის, რომ გრძელი და ხშირად მეტად მოსაწყენი მოხსენებებით მოვიხადოთ ფორმალური ვალი, მთავარი ისაა, რომ რამდენადაც შეიძლება ობიექტურად, მოკლედ და სხარტად გადაიშალოს ამომრჩეველთა წინაშე ის, რაც უნდა გაეკეთებინა საბჭოს და რაც გააკეთა მან ნამდვილად.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ მშრალი ინფორმაცია, მიღწევათა ჩამოთვლა და სტატისტიკური ჯამების გამოყვანა, ყოველთვის არ იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ რამდენად მტკიცედ, რამდენად სწორად ატარებდა საბჭო პარტიის დირექტივებს, რამდენად შეთანხმებული იყო წარსული მუშაობა პარტიის საერთო ხაზთან. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას ზემოხსენებულ მოწოდებაში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „საჭიროა არჩევნები ჩატარებულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ პარტიის ხაზის შესრულების შემოწმების ნიშან ქვეშ, ამ ხაზის გადამახინჯების გამომჟღავნების ნიშან ქვეშ“.

ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო კამპანიის დროს. მტკიცე კლასიური ხაზის დაცვა, ენერგიული შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოფლად და ქალაქად, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მექანიზაციისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა, საბჭოთა დემოკრატიის და ფართე საქმიანი თვითკრიტიკის გაღრმავება,—აი, რა უნდა ახასიათებდეს საბჭოების მთელ მუშაობას. ამ თვალთახედვით უნდა იქნას შემოწმებული საბჭოს მიღწევები განვლილ საანგარიშო პერიოდში, ამ თვალთახედვით უნდა იქნას შეფასებული მთელი მისი წარსული მუშაობა.

იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანია მართლაც გადაიქცეს ნამდვილ მასიურ კამპანიად, იმისათვის, რომ მან აქტიურად დააინტერესოს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები, საჭიროა აქედანვე მხედველობაში იქნას მიღებული საკავშირო კომპარტიის ცეკას ზემოდაღნიშნული მითითებანი და გადადგმულ იქნას შესაფერისი პრაქტიკული ნაბიჯები.

მეტი ყურადღება პურის დამზადების საქმეს

პურის დამზადების საქმის მსვლელობა ნოემბერსა და დეკემბერში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. სექტემბერსა და ოქტომბერში პურის დამზადების გეგმა წარმატებით იქნა შესრულებული, შემდეგ ორ თვეში კი დამზადება საგრძნობლად დაეცა და ჩამორჩა დასახულ გეგმას. 2.194.000 ტონიდან (ოქტომბერში) იგი შემცირდა 1.149.000 ტონამდე (ნოემბერში). დეკემბერში დამზადებულ იქნა, წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით 1,1 მილიონამდე ტონა პური, რაც შეადგენს გეგმის მხოლოდ 61,8 პროცენტს.

პურის დამზადების ასეთი დაცემა ნოემბერსა და დეკემბერში, რაც გამოწვეულია არა მარტო კლიმატიური პირობებით (გზების გაფუჭება), არამედ კოოპერატიული და სახელმწიფო დამამზადებელი ორგანოების სერიოზული დეფექტებითაც, მუშათა კლასის ფართო მასების განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მათ კარგად უნდა გაიცნონ პურის დამზადების კამპანიის მსვლელობა, ნათელი წარმოდგენა იქონიონ იმ პირობების შესახებ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ამ კამპანიის შემდგომ ნაყოფიერ განვითარებას. პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება ხომ უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობაა მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად!

მართალია, გასული თვეების განმავლობაში პურის დამზადების საერთო წლიური გეგმა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული: გასული 6 თვის განმავლობაში სულ დამზადდა 6.8 მილ. ტონა, რაც წლიური გეგმის 61,4 პროცენტს შეადგენს. თუ ავიღებთ ცალკე მარცვლეულ კულტურებს (მზესუმზირას გარდა), მივიღებთ შემდეგ ციფრებს: მაშინ, როცა დამზადების წლიური გეგმა უდრის 9,9 მილ. ტონას, 25 დეკემბრამდე სულ დამზადებულ იქნა 5.7 მილ. ტონა, ე. ი. წლიური გეგმის 57.6 პროცენტი.

მიმდინარე წელს პურის დამზადების საქმის მსვლელობა უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე 1927—28 წელს, როცა იმავე პერიოდში დამზადებულ იქნა 4.9 მილ. ტონა, ე. ი. წლიური გეგმის 48.3 პროც. მაგრამ წელს ნაკლები პური დამზადდა, ვიდრე 1926—27 წელს, როცა ამავე პერიოდში დამზადებულ იქნა 6,7 მილ. ტონა ანუ წლიური გეგმის 63,2 პროცენტი. პურის დამზადების ციფრები მიმდინარე წელს, საერთოდ, დამაკმაყოფილებელია. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენ გვაქვს მიღწევები პურის დამზადების ფრონტზე. დამზადების კამპანია მძიმე და რთულ პირობებში მიმდინარეობდა. წლიური გეგმის 60 პროცენტის შესრულება მოწმობს, რომ პარტიას ადგილზე ჰქონდა სწორი პოლიტიკური და პრაქტიკული ხაზი. ამ შედეგებს ჩვენ მივაღწიეთ მიუხედავად იმისა, რომ ხელი ავიღეთ საგანგებო ზომებზე და მივმართეთ პურის დამზადების მუშაობის მხოლოდ ნორმალურ მეთოდებს.

მიუხედავად ამისა,—ყოველივე ეს არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს იმ მუშაობის სერიოზულ და საპასუხისმგებლო ხასიათს, რომელიც ჩვენ პურის დამზადების საქმეში მოსალოდნელი 2—3 თვის განმავლობაში უნდა ჩავატაროთ, განვლილ პერიოდში მიღწეული შედეგები არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევენ უფლებას შევასუსტოთ ყურადღება და შევამციროთ ენერგია პურის დამზადების ფრონტის მიმართ. პირიქით, საჭიროა ნათლად და ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა სიძნელე მოგველის შემდგომ მუშაობაში ამ ფრონტზე, თუ რა დაბრკოლებაა მოსალოდნელი დასახული წლიური გეგმის დანარჩენი 40 პროცენტის შესრულების დროს. ჩვენ იძულებულნი ვართ გადაჭრით განვუცხადოთ პარტიისა და საბჭოთა ადგილობრივ ორგანიზაციებს, მუშათა ფართო ორგანიზაციებს და სხვ, რომ პურის დამზადების კამპანიას არ ექცევა სათანადო ყურადღება და რომ ამ მუშაობაში გაძლიერებულ უნდა იქნას სიფხიზლე და ენერგია.

სრული ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ პურის დამზადების კამპანია გაძლიერებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს სწორედ მახლობელი ერთი-ორი თვის განმავლობაში, როდესაც იგი საერთოდ უნდა დამთავრდეს. უნდა დამთავრდეს იმიტომ, რომ პარტიის, მუშათა კლასის და გლეხობის წინაშე წამოიჭრება მეორე, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა—გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარება. ამ კამპანიისათვის საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნის მთელი ძალ-ღონის, მთელი შემოქმედებითი უნარის მობილიზაცია. ამიტომ პარტიის ყველა წევრმა, ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ სრული ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ პურის დამზადებისათვის სწორედ მახლობელი თვეებია გადამწყვეტი. ჩვენ მოვალენი ვართ საერთო ძალ-ღონით აღმოვფხვრათ ის უარყოფითი ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინეს პურის დამზადების საქმეში ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში. ის ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანაა. მისი სიძნელე მით უფრო დიდია, რომ სასაქონლო პურის მთავარი ნაწილი ამჟამად სოფლის უფრო შეძლებულ ნაწილს შერჩა. ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ სახალხო-სამეურნეო გადასახადი უკვე ვეღარ მოახდენს იმ დადებით გავლენას პურის დამზადების მსვლელობაზე, რომელიც მას უნდა ჰქონოდა, რადგან გადასახადის აკრეფა თითქმის უკვე დამთავრდა.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ პურის დამზადების წარმატებით განვითარებისათვის, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ უნდა ვანხორციელებდეთ ფასების ჩვენ პოლიტიკას, გადაჭრით უნდა ვიგერიებდეთ კულაკისა და სპეკულიანტის გაძლიერებულ ცდებს გაარღვიონ ბაზრის მოწესრიგების ფრონტი და ჩაშალონ ჩვენი ფასების პოლიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ისევ აქვს ადგილი ერთგვარ განსხვავებას საკონვენციო და თავისუფალ საბაზრო ფასებს შორის, ძლიერდება კულაკის აგიტაცია პურის ჩაბარებისა და ჩვენი ფასების წინააღმდეგ. აქა-იქ მეტის-მეტად გავრცელდა ტომრობით ვაჭრობა. ჩვენ მტკიცედ ვდგევართ პურის დამზადების ნორმალური მეთოდების ნიადაგზე. დაუშვებლად მიგვაჩნია ბაზარზე პურის ბრუნვის რაიმე შეზღუდვა და გლეხობის მიერ პურის თავისუფლად გაყიდვის შეფერხება, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია გულგრილად და პასიურად ვუცქიროთ ბოროტი სპეკულიანტების საქმიანობას. მათ წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს კანონიერი ზომები, რომელთა გამოყენებაზე არასოდეს არ გვითქვამს უარი. ჩვენ დავიცავთ ფასების პოლიტიკას, გავტეხთ კულაკის აგიტაციას.

პურის დამზადების წარმატებით მსვლელობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდებას. ეს საშუალება სავსებით უნდა გამოვიყენოთ. ამისათვის გვაქვს გაძლიერებული შესაძლებლობანი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის წარმატებით განვითარებასთან დაკავშირებით. მეორე კვარტალის განმავლობაში სამრეწველო საქონლის ძირითადი მასა შეტანილ უნდა იქნას პურის დამამზადებელ რაიონებში. სოფელში შეტანილ უნდა იქნას აგრეთვე საქონელი პირადი და საწარმოო მოხმარებისათვის, რათა პირველ რიგში რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებულ იქნან ძირითადი პურის დამამზადებელი რაიონები. მრეწველობისა და კოოპერაციის ორგანოების წინაშე სდგას ამოცანა—რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ სამრეწველო საქონლის ასეთი გადაჯგუფება, რასაც საერთო სახალხო-სამეურნეო ინტერესები გვიკარნახებს. ამ ორგანოებმა თავიანთ მოქმედებაში უნდა გამოიჩინონ საჭირო მოქნილობა და მათზე დაკისრებული ამოცანის მთელი მნიშვნელობის შეგნება. ამავე დროს კიდევ უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს კამპანია კოოპერაციის საპაიო გამოსაღების შეკრებისათვის, სოფელში ინდუსტრიალიზაციის სესხის უფრო ფართოდ გავრცელებისათვის და სხვ. რა თქმა უნდა, ეს უნდა სწარმოებდეს რევოლუციონური კანონიერების ნიადაგზე და ამ საქმეში რაიმე ძალდატანება დაუშვებელია, ამჟამად სოფლად თვითდაბეგვრის კამპანიაც იწყება. ყველა ადგილობრივმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს გასულ წელს ჩადენილი მნიშვნელოვანი შეცდომები და დამახინჯებანი და ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ამ საქმეში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის, სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მკაფიო კლასობრივი ხაზი.

ჩვენ ვხელმძღვანელობდით პარტიის მკაფიო დადგენილებით პურის დამზადების დარგში და ამით უკვე მივაღწიეთ გარკვეულ შედეგებს.

ამ ნორმალური მეთოდების გადაუხვევლად გატარების საფუძველზე ჩვენ მომავალშიც განვაგრძობთ მუშაობა სოფელში მასიური პოლიტიკური კამპანიის განვითარების გზით, კოოპერატიული საზოგადოებრიობის ამაღლებით, კოოპერატიულ დამამზადებელი ორგანოების განახლებისა და განმტკიცების გზით, დაუდევრობის გაუნდობლად დაძლევით და ღარიბი გლეხობის ჩაბმით პურის დამზადებისათვის ხელის შეწყობის საქმეში—ჩვენ უეჭველად მივაღწევთ გათვალისწინებული წლიური გეგმის შესრულებას.

იმ ღონისძიებებთან ერთად, რომელთაც ვაძლიერებთ პურის დამზადების საქმეში, საჭიროა მთელი რიგი სისტემიური ზომების მიღება იმის მისაღწევად, რომ დამზადებული პური ნამდვილად ეკონომიურად იხარჯებოდეს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ პურის ეკონომიურად ხარჯვა. ცენტრში და ადგილებზე არის მრავალი შემთხვევა, როდესაც პური იხარჯება მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით. წარმოუდგენლად სუსტია და უვარგისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი პურის ცხობის [illegible] განაწილების საქმეში. პური ჯერ კიდევ [illegible] ცხენებისა და სხვა პირუტყვის საკვებად [illegible] იხარჯება. ეს იმას მოწმობს, რომ ორგანიზ[illegible] ამ დარგში ადგილი აქვს მსხვილ დეფექტებს, [illegible] ჩვენ მივაფუჩეჩებთ დეფექტებს, შეცდომებს [illegible] ზოგან პირდაპირ სისულელეებს. [illegible] გრომლად პურის მომარაგების [illegible] ეკონომიის გაძლიერების მიმართულ[illegible] ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ იმისათვის, რომ განვავითაროთ ხართო სახელმწიფო[illegible] საზოგადოებრივი კონტროლი, როგორც [illegible] პირობა პურის ეკონომიურად ხარჯვისა და, საერთოდ, პურის დამზადების კამპანიის [illegible] წარმატებით დასრულებისათვის.

„პრავდა“, 5 იანვარი.

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი

ვარშავაში შეუძლებლად მიაჩნიათ საბჭოთა წინადადების უარყოფა

საფრანგეთის მთავრობას სურს ხელი შეუშალოს საბჭოთა წინადადების მიღებას პოლონეთის მიერ

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი

ლიტვის პრესა კმაყოფილია

კოვნო, 4 იანვარი. ლიტვის პრესა კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირის წინადადებას პოლონეთისადმი — კელოგის პაქტის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ. ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას“-ი კომენტარიებს უძღვნის ლიტვინოვის ნოტას და სწერს:

„ლიტვის მთავრობა იწონებს მოსკოვის წინადადებას. მან გადასწყვიტა, შეუერთდეს ამ წინადადებას და მოუწოდოს ბალტოს სახელმწიფოებს — მიჰბაძონ ამ მაგალითს“.

იმათ საპასუხოდ, ვისაც საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკა არ მიაჩნია გულწრფელ პოლიტიკად, ოფიციოზი სწერს:

„ობიექტური შეფასება გვიკარნახებს, დავიჯეროთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის გულწრფელობა მშვიდობიანობის დაცვის საქმეში“.

გაზეთი ფიქრობს, რომ ბალტიის დანარჩენი სახელმწიფოები, რომელნიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან კეთილი მეზობლობით, არ დააყოვნებენ შეუერთდნენ მის წინადადებას.

ოპოზიციონური გაზეთი „ლეტუვოს ჟინიოს“-ი იწონებს ლიტვის მთავრობის გადაწყვეტილებებს და საბჭოთა კავშირის წინადადებას სთვლის საბჭოთა დიპლომატიის აქტივობის გამოხატულებად აღმოსავლეთ ევროპის დამშვიდების საქმეში. გაზეთი აცხადებს, რომ საბჭოთა წინადადების პრაქტიკული შედეგები დამოკიდებული იქნება პოლონეთის პასუხზე, მაგრამ ფიქრობს, რომ პოლონეთი ამა თუ იმ მიზეზით შეეცდება უარჰყოს საბჭოთა კავშირის წინადადება. (ადს).

გაურბიან აზრის გამოთქმას

პრაღა, 4 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის პრესა არ უკეთებს კომენტარიებს ლიტვინოვის ნოტას და კმაყოფილდება ნოტის სრული ტექსტის და ინგლისის პრესის კომენტარიების გამოქვეყნებით. (ადს).

ლიტვის წინადადება

კოვნო, 5 იანვარი. ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ლიტვის მთავრობამ ოფიციალური წინადადება მისცა ლატვიისა და ესტონეთის მთავრობებს—განიხილონ საბჭოთა კავშირის წინადადებების მიღების საკითხი.

პოლონეთი „არკვევს“ თავის პოზიციას

ვარშავა, 5 იანვარი. გუშინდელი დღიდან პოლონეთის პოზიცია საბჭოთა წინადადებისადმი რამდენიმედ ირკვევა. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში უკვე გუშინ საღამოს ლაპარაკობდნენ, რომ **ლაპარაკიც არ შეიძლება საბჭოთა წინადადების უარყოფაზე,** თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ წრეებში გამოსთქვამდნენ ზოგიერთ, როგორც წინდაპოლიტიკური ისე იურიდიული ხასიათის ეჭვებს. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ხასიათის ეჭვებს ეკუთვნის პირველ რიგში—რუმინეთის მიერ საბჭოთა წინადადების მიღების საკითხი. რაც შეეხება იურიდიულ პრობლემებს, პოლონეთის ხელმძღვანელი წრეები იმ აზრისა არიან, რომ მთელ რიგ ხელშეკრულებათა დადება მეზობელ სახელმწიფოებთან—თავდაუსხმელობის შესახებ უკეთეს შედეგებს გამოიღებდა, ვიდრე საბჭოთა მთავრობის მიერ წარდგენილი ოქმის მიღება.

„ილუსტრიროვანი კურიერ კოდზენი“ იუწყება: „ზალესკი მიიღო პილსუდსკიმ, რომელსაც მან წარუდგინა საბჭოთა წინადადებაზე მისაცემ პასუხის პროექტი. პოლონეთის პასუხი გამოქვეყნებული იქნება უახლოეს ორ-სამ დღეში“.

საფრანგეთის იმპერიალისტებს არ მოსწონთ საბჭოთა წინადადება

პარიზი, 5 იანვარი. „ტან“-ი დღევანდელ ნომერში აქვეყნებს მეთაურს სათაურით: „საბჭოების მანევრი“, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ნოტის ოფიციოზურ განმარტებას. გაზეთი კატეგორიულად აცხადებს, რომ საბჭოთა ნოტა სრულიად მიუღებელია პოლონეთისათვის, წინადადებით, რომლითაც საბჭ. კავშირმა მიმართა პოლონეთს, მას სურს განხეთქილება შეიტანოს პოლონეთ-რუმინეთის [illegible] რომლებიც ხელშეკრულებით არიან დაკავშირებული. საბჭოთა წინადადება მოკლებულია პრაქტიკულ ნდობას და მიზნად ისახავს დაბრკოლებების შექმნას პოლონეთის მთავრობისათვის“.

ბერლინი, 5 იანვარი. „დოიჩე ტაგესცეიტუნგი“-ს პოზნანელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ აცნობა პოლონეთის მთავრობას, რომ იგი უარყოფითად უცქერის ლიტვინოვის წინადადებას. (ადს).

„კრეიცეიტუნგი“ ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ბერლინი, 5 იანვარი. ნაციონალისტური „კრეიცცეიტუნგი“ ლიტვინოვის ნოტას უძღვნის ვრცელ მოწინავე წერილს. გაზეთი სწერს „საბჭოთა კავშირმა არა ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი დაინტერესებულია განიარაღების დაჩქარებით. თუ პოლონეთი ლონდონისა და პარიზის კარნახით უარყოფს საბჭოთა კავშირის წინადადებას, ამითი დაამტკიცებს, რომ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამზადებს ახალ ომს“ (ადს).

რუმინეთი საბჭოთა წინადადებების შესახებ

ბერლინი, 4 იანვარი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, რუმინეთის მთავრობასთან ახლო მდგომი წყაროების ცნობებით, „რუმინეთის მთავრობა მზადაა მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ, თუ საბჭოთა წინადადება გულწრფელია და საბჭოთა მთავრობას მართლა აქვს მხედველობაში, რომ კელოგის პაქტი დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში აღმოსავლეთ ევროპაში“. ამასთან რუმინეთის წრეები, კორესპონდენტის სიტყვით, აცხადებენ: „საბჭოთა კავშირმა აშკარად უნდა გვიჩვენოს, რომ იგი მართლაც გულწრფელად მოქმედებს და განზრახვა არა აქვს მოახდინოს შთაბეჭდილება მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე და, კერძოდ, შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრზე“.

დასასრულ კორესპონდენტი იუწყება:

„პოლონეთი, ალბად, მოელაპარაკა რუმინეთს, რომ გამოარკვიოს რუმინეთის მთავრობის პრინციპიალური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიერ დასმული საკითხისადმი და გაიგოს—მზად არის თუ არა რუმინეთი მიიღოს მონაწილეობა ზემოხსენებულ მოლაპარაკებაში“ (ადს.)

ინგლისის ანტი-საბჭოთა ინტრიგები სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 4 იანვარი. ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება: ინგლისმა და საფრანგეთმა გადადგეს ნაბიჯები სამხრეთ-სლავიის მთავრობასთან და ზაგრების ოპოზიციასთან (გლეხურ-დემოკრატიული კოალიცია, რომელიც ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს), შესათანხმებლად. ინგლისის ელჩს სამხრეთ-სლავიაში კენარს მოლაპარაკება ჰქონდა ხორვატიის გლეხური პარტიის ბელადთან მაჩეკთან და დემოკრატების ბელადთან პრიბიჩევიჩთან. კენარი ცდილობდა დაეთანხმებია ისინი—მხარი დაეჭირათ სამხრეთ-სლავიის მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის ინგლის-საფრანგეთის ანტანტასთან „თანამშრომლობის საფუძველზე“. კენარმა,—როგორც გაზეთი ამტკიცებს,—ამავე დროს განაცხადა, რომ **ინგლისი მზადაა დაუჭიროს მხარი ოპოზიციის მოთხოვნილებას, თუ ოპოზიციის ბელადები დასთანხმდებიან რომ სამხრეთ-სლავია შეუერთდეს ანტისაბჭოთა ბლოკს.**

გაზეთი იუწყება, რომ როგორც მაჩეკმა, **ისე პრიბიჩევიჩმა უარი განაცხადეს—მხარი დაუჭირონ ანტისაბჭოთა პოლიტიკას.** ჟურნალისტების თხოვნაზე—გამოეთქვა თავისი აზრი გაზეთების ცნობების გამო, მაჩეკმა უარი განუცხადა.

გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის ბელადებმა ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ, პრესაში შეაჩერეს კამპანია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ.

მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში

„ლუმანიტე“ გაფიცული მემაღაროების რიცხვის შესახებ

პარიზი, 4 იანვარი. ოფიციალური ცნობები ამტკიცებენ, რომ ლუარის რაიონში 22.000 მემაღაროედან გაფიცულია მხოლოდ 12.000 მუშა.

„ლიუმანიტე“ გადაჭრით უარყოფს ამ ცნობას და აცხადებს, რომ **გაფიცვა შეუჩერებლად ფართოვდება და რომ ლუარის რაიონში გაფიცულია 20.000, ხოლო გარის რაიონში—15.000 მემაღაროე.**

ლუარის რაიონში რეფორმისტი ბელადები მხარს უჭერენ მაღაროების პატრონებს და მოუწოდებენ მუშებს—განაახლონ მუშაობა.

მდგომარეობა ავღანისტანში

ლოურენსი ფსევდონიმით „მუშაობს“

ქაბული, 4 იანვარი. ოფიციოზი „ამანი-ავღანი“ ინდოელთა გაზეთ „ზამინდარ“-იდან მოჰყავს ცნობას, რომ ინგლისელი პოლკოვნიკი ლოურენსი, რომელსაც აჯანყების ორგანიზატორად სთვლიან, ტონში (ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი პროვინცია) იმყოფება პირ-კარამ-შაჰის ფსევდონიმით. ამბობენ, ვითომ ლოურენსი დახმარებას აწყობს აჯანყებულთათვის და სცდილობს შეადგინოს რაზმები. მაგრამ ლოურენსის მუშაობა წარმატებით ვერ მიმდინარეობს. ამას წინად ლოურენსი მირამშახის გზით მივიდა სანაპირო ხაზზე, სადაც ერთ რაიონში შეეცადა ქვეითი რაზმის შედგენას, მოსახლეობამ, რომელიც მეგობრულად არის განწყობილი ავღანისტანის მიმართ, უარი განუცხადა რაზმში შესვლაზე. ამბობენ, ინგლისის აეროპლანმა ამის გამო ყუმბარები დაუშინა ამ რაიონს და მიწასთან გაასწორა.

„ამანი-ავღანი“ ამ ცნობის შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„ვაქვეყნებთ რა საგულისხმო ცნობას, ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა აზვიადებს ლოურენსის როლს. ჩვენ არა გვწამს ლოურენსის ყოვლისშემძლეობა. ლოურენსი მხოლოდ ინგლისელია და ამით ყველაფერი ნათქვამია“. (ადს).

მუხამედ ომარ-ხანის გაქცევა

ლონდონი, 4 იანვარი. რეიტერის სააგენტო ბომბეიდან იუწყება:

„სირდარი (უმაღლესი მთავარსარდალის წოდება ინდოეთსა და არაბეთში) მუჰამედ ომარ-ხანი, ავღანისტანის სამეფო ოჯახის წევრი, რომელსაც პატიოსანი სიტყვის შემდეგ ნება დართეს ეცხოვრა თავისუფლად ალიხაბადში (ჩრდილო ინდოეთი), ხელისუფლების ნებადაურთველად მიიმალა. ინდოეთის მთავრობამ მოსაზღვრე რაიონებში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც დიდ ჯილდოს ჰპირდება ომარ-ხანის დაჭერისათვის. ომარ-ხანი ეკუთვნოდა იმ 1.200 ავღანელ ემიგრანტს, რომლებსაც ნება დართეს ინდოეთში დასახლებულიყვნენ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ.“

შენიშვნა: მუჰამედ ომარ-ხანი არის ფადიშაჰ ამანულა-ხანის ბიძა, 1919 წელს მოკლულ ხაბიბულა-ხანის (ამანულა ხანის მამის) უმცროსი ძმა. ომარ-ხანი ამანულას წინააღმდეგ გამოვიდა 1925 წელს და ინდოეთში გაიქცა. ინგლისის მთავრობამ მას არა თუ ალიხაბადში ცხოვრების ნება დართო, არამედ პენსიაც კი დაუნიშნა. ცნობები ომარ-ხანის „გამარჯვების“ შესახებ ამტკიცებენ, რომ იგი ავღანისტანში მალულად გადავიდა იმ მიზნით, რომ მონაწილეობა მიეღო ავღანისტანის ჩამორჩენილი ტომების რეაქციონურ აჯანყებაში“. (ადს).

მდგომარეობა ფრონტებზე

ქაბული, 4 იანვარი. ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მთავრობის მძიმე არტილერია ყუმბარებს უშენს აჯანყებულთა პოზიციებს, რომლებიც იმყოფებიან ჩარიკარის გზაზე, ქაბულის ჩრდილოეთით.

ქაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში კუგისტანის აჯანყებულთა ბელადებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ.

ყანდაგარში დაბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრი გულიამ სიდიკ-ხანი, რომლის მონაწილეობით ყანდაგარელ ტომების თათბირზე გადასწყდა—განაგრძონ დამხმარე ძალების გზავნა ქაბულში. ყანდაგარისა და ჩრდილოეთის პროვინციების მოსახლეობა მთავრობის სასარგებლოდ არის განწყობილი (ადს).

საბჭოთა ნავთმა განდევნა ინგლისის ნავთი

თეირანი, 4 იანვარი. წარსული წლის განმავლობაში საბჭოთა ბენზინის რეალიზაცია სპარსეთში საგრძნობლად გაიზარდა, რაც უმთავრესად ინგლისის ნავთის განდევნის ხარჯზე მოხდა. ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანია სცდილობს მეტოქეობა გაუწიოს საბჭოთა ნავთს ფასების დაკლებით თავის პროდუქციაზე, მაგრამ საბჭოთა ნავთის მაღალი ღირსება იმდენად უდავოა, რომ მას ფართე ბაზარი აქვს.

სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

თეირანი, 4 იანვარი. ვაჭრობის სამინისტრომ მიმართა ყველა თავის წარმომადგენელს, აგრეთვე სპარსეთის ყველა ქალაქის სავაჭრო პალატას ცირკულიარული წერილით, რომელშიაც სთხოვს მათ, აცნობონ თავიანთი თვალსაზრისი სპარსეთ-საბჭ. კავშ. მომავალი სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

როგორც ვიცით, ამჟამად სამინისტრო ამზადებს ხსენებული ხელშეკრულების პროექტს. (ადს).

გერმანული პრესა არ ეთანხმება გილბერტს

ბერლინი, 4 იანვარი. გერმანული პრესა განაგრძობს რეპარაციების საქმის გენერალური აგენტის პარკერ გილბერტის წლიური ანგარიშის მკაცრ კრიტიკას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ის აზრით, გერმანიამ მომავალში ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ გილბერტი აღარ არის ისეთი მიუდგომელი მეთვალყურე, როგორიც იგი 4 წლის განმავლობაში იყო. გაზეთი გილბერტის ანგარიშს უპირისპირებს ოლპორტის (სავაჭრო ატაშე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საელჩოსთან ბერლინში) მოხსენებას ვაჭრობის სამინისტროსადმი. ოლპორტს ამ მოხსენებაში გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა უფრო მძიმედ მიაჩნია, ვიდრე გილბერტს.

გავლენიანი გაზეთები, როგორც, მაგალითად, „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი, ძალიან პესიმისტურად აფასებენ ექსპერტთა კომისიის მომავალ მუშაობას (ადს).

უერთდებიან პროფინტერნს

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. მეჯრეთა ახლად დაარსებული მემარცხენე კავშირის თავმჯდომარემ გიმანმა, და კავშირის სხვა ლიდერებმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადეს, რომ კავშირის დამფუძნებელმა ყრილობამ დაადგინა—დაამყაროს ძმური დამოკიდებულება პროფინტერნთან და წყნარ ოკეანის სამდივნოსთან. პროფინტერნში ფორმალურად შესვლის საკითხს განიხილავს კავშირის აღმასკომი (ადს).

ვინ მოკლა ჩჟან-ძო-ლინი

ტოკიო, 4 იანვარი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით ტანაკას მთავრობა მეტად სერიოზულად უყურებს იმ გარემოებას, რომ ოპოზიციონური პარტია მინსეიტო ემზადება შეკითხვის შესატანად ჩან-ძო-ლინის მკვლელობის შესახებ. მინსეიტოს განზრახული აქვს განაცხადოს, რომ ტანაკას მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია იმისათვის, „რომ დაეცვა იაპონიის სახელი იმ ეჭვებისაგან რომელიც გულისხმობს ჩან-ძო-ლინზე თავდასხმაში იაპონიის მონაწილეობას“ (ადს).

კოროშეცი
სამხრეთ-სლავიის ყოფილი პრემიერი

ფონ-დირკსენის გამგზავრება მოსკოვში

ბერლინი, 5 იანვარი. გერმანიის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენი დღეს მიემგზავრება მოსკოვს. (ადს).

ბოლივიისა და პარაგვაის ომი შესწყდა

ვაშინგტონი, 4 იანვარი. ბოლივიის და პარაგვაის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს იმ შერიგების ოქმს, რომელიც მათ წარუდგინა პანამერიკულმა საარბიტრაჟო კონფერენციამ. ამ ოქმის ძალით ბოლივია და პარაგვაი სწყვეტენ ყოველგვარ სამხედრო მოქმედებას და ჯარების გადაყვან-გადმოყვანას იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა შუამავლობისათვის კონფლიქტის მოსაგვარებლად. (ადს).

ვინ დაამტკიცა კელოგის პაქტი

მოსკოვი, 5 იანვარი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით, კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინეს და რატიფიკაციის აქტები ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: საბჭოთა კავშირმა, ავღანისტანმა, აბისინიამ და სან-დომინგომ.

პაქტს შეუერთდნენ მაგრამ მისი რატიფიკაციის აქტი არ გადაუციათ: კუბას, გაიტიას, ლიბერიას, პანამას, პარაგვაის, პორტუგალიას და ავსტრიას.

პაქტს შეუერთდნენ, მაგრამ მისი რატიფიკაცია არ მოუხდენიათ: ალბანეთს, ბულგარეთს, კოსტარიკას, დანიას, საბერძნეთს, გონდურასს, უნგრეთს, ისლანდიას, ბოლივიას; ლიუქსემბურგს, ჰოლანდიას, ნიკარაგუას, სპარსეთს, პერუს, რუმინეთს შვეიცარიას, თურქეთს, ვენეცუელას და ჩინეთს. (ადს).

სხვადასხვა

● ლიეჟში (ბელგია) მდინარეში გადავარდა ავტობუსი, რომელშიც ისხდნენ სამუშაოდან დაბრუნებული მუშები. 15 კაცი დაიხრჩო.

● ბალეარის კუნძულებთან (ხმელთაშუა ზღვაზე) ჩაიძირა საფრანგეთის გემი „მალახოვი“. გემის მთელი რაზმი, გარდა რამდენიმე კაცისა, დაიღუპა.

● ბრატისლავაში (ჩეხო-სლოვაკია) დააპატიმრეს დეპუტატი ტუკა, რომელსაც სახელმწიფო ღალატი ბრალდება.

● ბულგარეთის პროვინციალური ციხეების პოლიტ. პატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადეს. სიმშილობას შეუერთდნენ სოფიის ცენტრალურ ციხის პოლიტპატიმრებიც.

● განზრახულია ჩინეთის მთავრობის გადასვლა პეკინში. ამ აზრის მომხრე არიან ჩან-კაი-ში, ენსი-შანი და ფინ-იუი-სიანი.

● ტიანძინის (ჩინეთი) თამბაქოს ქარხნის მუშათა უმრავლესობამ განაახლა მუშაობა. მუშების მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული.

● სიმშილობის ნიადაგზე ჩრდ. ჩინეთში ფართოდ გავრცელდა ქალების გაყიდვა მონებად. სერაის რაიონში 1000-ზე მეტი ქალი გაჰყიდეს მონად.

დემონსტრაცია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. ნიუ-იორკში მოხდა კომუნისტური, სოციალისტური და იტალიანური ანტიფაშისტური ორგანიზაციების დემონსტრაცია იტალიის ავიაციის მინისტრის ამხანაგის ბალბოს წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკშია (ადს).

ემიგრანტების დევნა

ბერლინი, 4 იანვარი. „როტე ფანე“-ს მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ლუგანოში იტალია ბელგიას შეჰპირდა დახმარება რეპარაციების საკითხში, თუ ბელგიის მთავრობა ენერგიულ ზომებს მიიღებს ბელგიაში მცხოვრებ იტალიელი პოლიტიკური ემიგრანტების წინააღმდეგ. ბელგიის მთავრობა ამაზე დასთანხმდა.

ასეთი შეთანხმების შედეგად დაპატიმრება გადაუწყვიტეს რამდენიმე იტალიელ მუშას. ეს მუშები მონაწილეობას იღებდნენ ანტიფაშისტურ დემონსტრაციაში.

„როტე ფანე“-ს აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ზომები ვანდერველდეს დაუკითხავად მიეღოთ. (ადს).

ამხ. ლენინის გარდაცვალების ხუთი წლის თავისათვის

ყველა ეროვნულ ცენტრალურ კომიტეტებს და საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს

მოსკოვი, 5 იანვარი. 1) ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავის აღნიშვნას საჭიროა მიეცეს ფართო მასიური ხასიათი (მუშათა და გლეხთა კრებები, ხუთი წლის თავის ფართოდ გაშუქება პრესაში, მოხსენებები და საუბრები სკოლებში, კლუბებში და სამკითხველოებში). ლენინის დღეები უშუალოდ უნდა დაუკავშიროთ საბჭოების მიმდინარე საარჩევნო კამპანიას.

ლენინის დღეებში პარტიის მასიურ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პოლიტიკური ამოცანები: მუშათა კლასის და სოფლის ღარიბი მოსახლეობის და მათთან ერთად ქალაქისა და სოფლის მთელი მშრომელი მასის აქტივობის მობილიზაცია და საბჭოების მუშაობით მათი ჩაბმა პარტიის ძირითადი ამოცანების განხორციელების საქმეში (ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მოსავლიანობის გადიდება, ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ნათესების სივრცის გაფართოვება, გლეხობის მასიური შეკავშირება კოოპერაციაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მუშათა კლასის და საშუალო გლეხთა მასის კავშირის განმტკიცება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცებისათვის); თვითკრიტიკის განვითარება ქვევიდან, კერძოდ, პარტუჯრედების მუშაობის შემოწმება მუშათა კრებებზე; ლენინიზმის ფართო პროპაგანდა პარტიის წევრთა შორის და მასებში, ბრძოლა გადახრებთან და პოლიტიკურ მერყეობასთან, განსაკუთრებით ის, თუ როგორ ებრძოდა ლენინი ოპორტუნიზმსა და შემარიგებელ განწყობილებას; მიმართვა მოწოდებით მუშებს და მუშა ქალებს, მოჯამაგირეებს და მოჯამაგირე ქალებს— შევიდნენ კომპარტიაში, როგორც ინტერნაციონალიზმისა და მსოფლიო რევოლიუციის პარტიაში.

2) ლენინის დღეების ჩატარების ძირითად ფორმებად ცეკას მიაჩნია:

წარმოებებში—მუშების საერთო საქარხნო კრებები პარტუჯრედების მოხსენებებით თავიანთი მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებებში ადგილობრივ ფაქტიური მასალით გარკვეულ უნდა იქნას—რა გააკეთა უკანასკნელ წლებში უჯრედმა პარტიის ძირითად გადაწყვეტილებების შესასრულებლად მეურნეობის, კულტურისა და მასიურ პოლიტმუშაობის დარგში, განსაკუთრებით თვითღირებულების შემცირების, შრომის დისციპლინის გადიდების, მუშაობის გაცდენასთან ბრძოლის, მუშების პარტიაში ჩაბმის, შეფობის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და პარტიის და კომკავშირის წევრთა ლენინური აღზრდის ხაზით.

სოფლებში—მოხსენებები პარტიის პოლიტიკისა და ღონისძიებების შესახებ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გლეხობისათვის დახმარების გაწევის საქმეში (მოსავლიანობის გადიდება, სათესი სივრცის გაფართოვება, გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირება, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა) ცეკას ნოემბრის პლენუმის და ცაკის მეოთხე სესიის გადაწყვეტილებების და ადგილობრივი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე.

ქალაქში და სოფელში საბჭოების სხდომები პარტიული, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა მოისმინონ მოხსენებებს „5 წლის სოციალისტური მშენებლობის შედეგების შესახებ“ და მოგონებებს ლენინზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი: **ვ. მოლოტოვი.**

„ჯენერალ-ელექტრიკ-კომპანის“ წარმომადგენელი

გამოემგზავრა მოსკოვში

მოსკოვი, 5 იანვარი. „გლაველექტრო“-ს ცნობით, ამ დღეებში ნიუ-იორკიდან მოსკოვში გამოემგზავრა დიდი ელექტრო-ტექნიკური ფირმის „ჯენერალ ელექტრიკ კომპანი“-ს წარმომადგენელი. მგზავრობის მიზანს შეადგენს იმ ტექნიკური საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამას წინედ დადებულ ხელშეკრულებასთან ელექტრონის მოწყობილობათა შეძენის შესახებ. (ადს).

„გაზეტ დიუ ფრანს“ და რუსი თეთრგვარდიელები

პარიზი, 4 იანვარი. როგორც ირკვევა, „გაზეტ დიუ ფრანს“-ის ფინანსიურ-პოლიტიკური აფიორის გამო დაპატიმრებულებს—გრაფ-დე-კურვილსა და გრაფ დე-შევილის მჭიდრო კავშირი ჰქონიათ რუს თეთრგვარდიელთა წრეებთან პარიზში (ადს).

ქალთა ლიგის საერთაშორისო კონფერენცია

ბერლინი, 4 იანვარი. მაინის ფრანკფურტში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო პაციფისტური ლიგის მიერ მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნება საკითხები ომის თანამედროვე მეთოდების შესახებ, კერძოდ, საკითხი მხრჩოლავი გაზების ხმარებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ. (ადს).

მენშევიკ-მინისტრი მრეწველებს ეხმარება

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდა სავალდებულოდ მუშებისათვის.

ბერლინი, 4 იანვარი. შრომის მინისტრმა სოციალისტმა ვისელმა სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გემთსაშენებელ მრეწველობაში სამუშაო ხელფასი გადიდებულია 5 პფენიგით საათში, ხოლო სამუშაო კვირის ხანგრძლივობა [illegible] 50 საათს. ცნობილია, რომ გემების სამშენებლო მრეწველობის მუშათა 90 პროცენტმა უარჰყო ეს პირობები. გემთსაშენლების პატრონებმა განაცხადეს, რომ ისინი დაემორჩილებიან სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მზად არიან აამუშაონ წარმოებები. (ადს).

ემორჩილებიან სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას

ბერლინი, 5 იანვარი. გემთსაშენი ქარხნების მუშათა წარმომადგენლების კრებამ, რომელიც დღეს შესდგა, დაადგინა დაემორჩილოს სავალდებულოთ გამოცხადებულ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს და განაახლოს მუშაობა. სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით გათვალისწინებულია ხელფასის გადიდება საათში 5 პფენიგით და 50 საათიანი სამუშაო კვირა.

მემარცხენე რევოლიუციონერთა უმცირესობა მოითხოვდა 45 საათის სამუშაო კვირის დაწესებას და ხელფასს 120 პფენიგის რაოდენობით საათში. (ადს).

ისევ მრეწველების სასარგებლოდ

ბერლინი, 5 იანვარი. გერმანიის შრომის მინისტრმა ვისელმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა საფეიქრო მრეწველობაში წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარება, სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებულია ხელფასის უმნიშვნელო გადიდება. გადაწყვეტილება ეხება 400.000 მუშას. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მარქსისტ-ისტორიკოსთა კონფერენცია

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

მოსკოვი, 5 იანვარი. გუშინ, 4 იანვარს, დასრულდა მარქსისტ-ისტორიკოსთა სრულიად საკავშირო კონფერენცია. უკანასკნელ სხდომაზე მეტად საინტერესო და ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე. ის შეეხო რევოლიუციის ისტორიას საქართველოში.

ძველი, ფეოდალური საქართველოს ორიენტაცია რუსეთისაკენ, განაცხადა მომხსენებელმა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველო რუსეთის თვითმპყრობელობამ დაიმორჩილა ხიშტებით, მეტად ძვირი დაუჯდა საქართველოს მშრომელ ხალხს, მაგრამ ეს იყო ერთად-ერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოემწყვდა საქართველო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. რუსეთთან გაერთიანებამ ჩვენ ისტორიულად სწორ გზაზე დაგვაყენა. მართალია თვითმპყრობელობა, ისე როგორც ყველა სხვა მცირე ეროვნებათა შორის, ჩვენშიაც ენერგიულად ატარებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას, მაგრამ ამან მეფის რუსეთისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საქართველოს მუშები და გლეხები სხვადასხვა ისტორიულ პირობების გამო მასიურად ჩაებნენ რუსეთის მოძმე პროლეტარიატისა და გლეხობის თავდადებულ რევოლიუციონურ ბრძოლაში და დღეს საქართველო თავისუფალია ეროვნულ ჩაგვრისა და ექსპლოატატორულ მონობის ყოველგვარ ბორკილებიდან.

მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახ. კომისართა თათბირი

მოსკოვი, 5 იანვარი. მიმდინარე წლის 20 მარტს მოსკოვში მოწვეულია მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახალხო კომისართა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც განიხილავს სახალხო ჯანმრთელობის ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმას და სხვა საკითხებს.

მხატვარ იაკულოვის დასაფლავების დღე.

მოსკოვი, 5 იანვარი. შესდგა მხატვარ იაკულოვის დამკრძალავი კომისიის მორიგი სხდომა, რომელზედაც გადაწყდა: მხატვარ იაკულოვის დასაფლავება მოხდეს ორშაბათს, 7 იანვარს. დასაფლავების ადგილად არჩეულია ნოვოდევიჩიეს სასაფლაო.

სურათ „კაპიტანის ქალიშვილი“-ს გარშემო.

მოსკოვი, 5 იანვარი. უახლოეს დღეებში მუშათა და გლეხთა ინსპექცია განიხილავს საკითხს ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოვკინოს მიერ გამოშვებულ სურათ „კაპიტანის ქალიშვილი“-ს დადგმის დროს.

გამორკვეულია, რომ ეს სურათი სოვკინოს დაუჯდა არაჩვეულებრივად ძვირად—350.000 მანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის სცენარი წინდაწინვე ცნობილი იყო უვარგისად, სურათი მაინც დაიდგა აღნიშნულ სცენარის მიხედვით. გამომჟღავნებულია უმოქმედობისა და ბოროტმოქმედების მრავალი ფაქტები.

საქართველოს
ეროვნული

საბჭოთა კავშირში

მარქსისტ-ისტორიკოსთა კონფერენციის დახურვა

მოსკოვი, 5 იანვარი. დაიხურა მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველი საკავშირო კონფერენცია. ამხ. პოკროვსკის წინადადებით, კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მარქსისტული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ. რეზოლიუციაში მარქსისტულ ისტორიულ მეცნიერებაზე აღიარებულია როგორც ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი პროლეტარიატის იდეოლოგიური ბრძოლისა სოციალიზმისათვის. კონფერენციას სასურველად მიაჩნია, რომ მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება გადაიქცეს საკავშირო ორგანიზაციად, რომელსაც განყოფილება სხვადასხვა რესპუბლიკაში ექნება. ჟურნალი „ისტორიკ-მარქსისტ“-ი უნდა გადაიქცეს ამ ორგანიზაციის ყოველთვიურ (ცენტრალურ) ორგანოდ. ამას გარდა, უნდა გამოიცეს პოპულიარული მასიური ისტორიული ჟურნალი. მახლობელი ორი-სამი წლის განმავლობაში მოსკოვში უნდა მოეწყოს კონფერენცია მარქსისტ-ისტორიკოსთა, ისტორიული მატერიალიზმის თანამგზავრებით და მეცნიერების მუშაკთა (ადს).

კონტრაქტაციის შედეგების შესწავლა

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 5 იანვარი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციამ 1927-28 წელს დადებითი შედეგები გამოიღო. ამიტომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა, წინადადება მისცეს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად, შეისწავლონ 1927-28 წლის კონტრაქტაციის საბოლოო შედეგები და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით წარუდგინონ ამის შესახებ მოხსენება საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1929 წლის მარტში.

შრომისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს კონტრაქტაციის მთელ რიგ დეფექტებს: საკმაო ყურადღებით არ იყვნენ მოცულნი ის მეურნეობანი, რომლებთანაც იდებოდა კონტრაქტები; მოსახლეობა საკმაოდ ვერ იღებდნენ მონაწილეობას ხელშეკრულებების და კონტრაქტაციის გეგმის ყოველმხრივ განხილვაში; კონტრაქტაცია დაგვიანებით ხორციელდებოდა; მოგვარებული არ იყო აგრონომიული დახმარება და სხვ.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ ჩათვალა კონტრაქტაციის პრაქტიკის შემდგომი გაფართოვება და დაამტკიცა კონტრაქტაციის საკონტროლო ციფრები 1928-29 წლისათვის.

შემოდგომის ნათესი კულტურების კონტრაქტაციისათვის ფინანსების მიწოდება უნდა სწარმოებდეს იმ სპეციალური სახსრებიდან, რომლებიც უნდა გამოსცენოს საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა და გადასცეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს.

კონტრაქტაცია უმთავრესად უნდა განხორციელდეს იმ რაიონებში, რომლებიც იძლევიან სოფლის მეურნეობის სათანადო პროდუქტების მთავარ სასაქონლო პროდუქციას.

რათა კონტრაქტაცია გამოყენებულ იქნას გლეხურ მეურნეობათა ტექნიკური განვითარებისათვის და მათი საწარმოო კოოპერაციაში ჩაბმის გაძლიერებისათვის, კონტრაქტაციის დარგში წარმოებული მთელი მუშაობა შეთანხმებულ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის საერთო გეგმასთან.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღიარა, რომ სანედლეულო კულტურების კონტრაქტაციის წარმოება იმ რაიონებში, რომლებიც შემოტანილ პურს საჭიროებენ, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რაიონების გლეხობა საკმაოდ იქნება მომარაგებული პურით. ამიტომ საბჭომ დაადგინა, დაავალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს პირველ რიგში მიაწოდოს პური იმ მეურნეობებს, რომლებშიაც ტარდება სანედლეულო კულტურების კონტრაქტაცია.

იმის წასახალისებლად, რომ ხელმოკლე მეურნეობებმა გაადიდონ სასაქონლო პროდუქცია, საბჭომ დაადგინა, დააწესოს ხელმოკლე მეურნეობებისათვის ავანსის მეტი რაოდენობით გაცემა. გრძელვადიანი კონტრაქტაცია ორ და მეტ მოსავალზე მიმდინარე წელს გატარდეს ცდის სახით იმ კულტურებში, რაიონებში და საწარმოო გაერთიანებებში მიმართ, რომლებიც აგროტექნიკური და საწარმოო პირობებით ამისათვის მომზადებული არიან.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა, შეიმუშაოს გრძელვადიანი კონტრაქტაციის დეტალური გეგმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების. ცალკე სახეების მიხედვით, საბჭოთა კავშირის სტატისტიკურ ცენტრალურმა სამმართველომ 1929-30 წლის მუშაობის გეგმაში უნდა გაითვალისწინოს კონტრაქტაციის შედეგების აღრიცხვა (ადს).

მებამბეობის კოოპერაციის საკავშირო ბიურო

ტაშკენტი, 5 იანვარი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო საბჭომ მოისმინა მოხსენება მებამბეობის კოოპერაციის საკავშირო ბიუროს დაარსების შესახებ.

საბჭომ საჭიროდ ცნო მებამბეობის კოოპერაციის საკავშირო ბიუროს დაარსება დამოუკიდებელი ორგან. სახით. ბიუროს იქნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს მეშვეობით). გარკვეულ იქნა მებამბეობის საკავშირო ბიუროს მოქმედების ფარგალი.

საკავშირო ბიუროს აირჩევს მებამბეობის კოოპერაციის ყრილობა, რომელიც ყოველწლიურად იქნება მოწვეული. ყრილობას დაესწრებიან უზბეკისტანის, თურქმენისტანის, ყაზახსტანის, ყირგიზეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კოოპერაციის წარმომადგენლები.

მიღებული პროექტი გაეგზავნება იმ რესპუბლიკებს, სადაც მებამბეობას მისდევენ, და დაინტერესებულ უწყებებს, რომლებმაც უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი. ამის შემდეგ პროექტი განსახილველად წარედგინება შრომისა და თავდაცვის საბჭოს (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

მოსკოვი, 5 იანვარი. სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს ახალი პრეზიდიუმის პირველ სხდომაზე განაწილებულ იქნა თანამდებობანი პრეზიდიუმის წევრთა შორის: ამხ. კოროტკოვი დაინიშნულ იქნა საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ამხ. გინზბურგი—სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგედ, ამხ. ეგლინოვი—კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგედ. საკავშირო პროფსაბჭოს საერთო ერთეულების კომისია დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ტომსკი, დოგადოვი, კოროსტელევი, იაგლომი, ფიგატნერი, ლეპსე, მელნიჩანსკი, ლოზოვსკი, შვარცი, ამოსოვი, ანცელოვიჩი, ავდეევა და ნიკიტინა (ადს).

მე-8 ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად

მოსკოვი, 5 იანვარი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა განყოფილებათა გამგეებს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინონ პრეზიდიუმს საკავშირო პროფსაბჭოს მერვე ყრილობის დადგენილებათა განხორციელების გეგმა (ადს).

მერვე ყრილობის დადგენილებათა შესასწავლად

მოსკოვი, 5 იანვარი. სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ყველა საკავშირო და საკავშიროთაშორისო ორგანიზაციას მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია: საკავშირო პროფსაბჭოს მერვე ყრილობის დადგენილებათა უფრო სრულად განხორციელებისთვის საჭიროა, რომ, უპირველეს ყოვლისა, თვითეული მუშა - მოსამსახურე ფართოდ გაეცნოს ამ დადგენილებებს. ამ მიზნით საკავშირო და საკავშიროთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ ყრილობის დადგენილებათა პოპულარიზაციის კონკრეტული გეგმა (ადს).

მრეწველობის გაფართოება

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა

მოსკოვი, 5 იანვარი. საკავშირო პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციას მიმართა წინადადებით ფართო დახმარება გაუწიონ სამეურნეო ორგანოებს წარმოების გაფართოების საქმეში. საკავშირო პროფსაბჭო წინადადებას აძლევს ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს და საწარმოო თათბირის—მთავარი ყურადღება მიაქციონ წარმოების დამატებითი გაფართოების საკითხებს.

„სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1928-29 წლისათვის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია 20 პროცენტით. ეს პროცენტი,—ნათქვამია მოწოდებაში,—საკმაო არ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ თუჯის დამზადების პირვანდელი გეგმა გაადიდა 270.000 ტონით, მნიშვნელოვნად გაადიდა საშენებელი მასალის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადება. ამ ამოცანების შესრულება შესაძლოა მხოლოდ მთელი მუშათა მასის მაქსიმალური აქტიური მონაწილეობით. საწარმოო თათბირების მუშაობის გეგმა შედგენილ უნდა იქნას იმგვარად, რომ ამ თათბირებმა მთელი წლის განმავლობაში ადევნონ თვალყური მთავრობის დირექტივების შესრულებას პროდუქციის გადიდების დარგში“. (ადს).

მადლობა დახმარებისათვის

მოსკოვი, 5 იანვარი. როგორც უკვე იყო გამოცხადებული, საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ და ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცეკამ ფინეთის ტრანსპორტის მუშებს, რომელნიც 8 თვეა გაფიცულნი არიან, გადაუგზავნეს 15.000 მანეთი.

ფინეთის ტრანსპორტის მუშათა კავშირის თავმჯდომარემ ედუარდ ოიკელმა საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცეკას სახელზე გამოგზავნა წერილი, რომელშიაც შელსინგფორსის გაფიცულ მუშათა საერთო კრების სახელით მადლობას აცხადებს დახმარებისათვის. (ადს).

დეფიციტიანი საქონლის განაწილება

მოსკოვი 5 იანვარი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა 1928—29 წლის მეორე კვარტალისათვის დასახა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკებში შემოტანილ უნდა იქნას 464.119.000 მანეთის დეფიციტიანი სამრეწველო საქონელი, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში დეფიციტიანი საქონელი შემოტანილ უნდა იქნას 315.380,5 ათასი მანეთისა, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში—68.525,3 ათასი მანეთისა, ბელორუსიაში—6.068,4 ათასი მანეთისა, ამიერკავკასიის ს. ს. რესპუბლიკაში—10.227,8 ათასი მანეთისა, შუა-აზიაში—27.757,2 ათასი მან. და სხვ. (ადს).

კურორტები მუშებისათვის

მოსკოვი, 5 იანვარი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და საკავშირო პროფსაბჭომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მუშებისათვის 1929 წლის საკურორტო ადგილების შეღავათიან პირობებში მიცემის შესახებ.

პროფორგანიზაციების განკარგულებაში გადადის საკურორტო ადგილების 10 პროცენტი და 20.000-მდე საწოლი. იმ მუშების და მათი ოჯახის წევრებისათვის, რომელნიც თავიანთ ხარჯზე მიდიან კურორტებზე, დაწესებულია კრედიტი ექვსი თვის ვადით, რისთვისაც თავდებობა უნდა იკისროს ადმინისტრაციამ. საკურორტო ბიუროებს ევალებათ მთელი სეზონის განმავლობაში მისცენ ამ მუშებს და მათი ოჯახის წევრებს საკურორტო ადგილები შეღავათიანი შეთანხმებით. ინდუსტრიალური პროფორგანიზაციების მიერ შეძენილ საკურორტო ადგილებზე გაგზავნილთა შორის დაზგის მუშები 80 პროცენტზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდნენ (ადს).

მაქსიმ გორკის საჩუქარი

კიევი, 5 იანვარი. მაქსიმ გორკიმ ბერლინიდან ჩერნიგოვის სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გაუგზავნა კოცუბინსკის 14 წერილი; ეს წერილები კოცუბინსკის მ. გორკისთვის გაუგზავნია. (ადს).

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

ფოთი, 4 იანვარი. გემებით „ნოვოროსისკ“-ით და „ბოროვსკი“-თ ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის მიღებულ იქნა 376 ვაგონი შაქარი (ადს).

კულაკების შურისძიება

ახალ-ბაიაზეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოკვლა

ერევანი, 5 იანვარი. სომხეთის ცაკის სპეციალური კომისიის თავმჯდომარემ, სომხეთის ცაკის მდივანმა ამხ. დაშტოიანმა, რომელიც იყო ბასარგეჩარის რაიონში, სადაც მოკლეს ახალ-ბაიაზეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ხაჩინიანი, ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

„ამჟამად სავსებით გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ახალ-ბაიაზეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ხაჩინიანის მკვლელობას ბასარგეჩარის რაიონში (სევანის ტბის ჩრდილო სანაპირო) კლასობრივი ხასიათი აქვს.

ამხ. ხაჩინიანი მოკლულ იქნა ძილის დროს სოფ. პატარა მაზრაში, ბასარგეჩარიდან 109 ვერსის მანძილზე. ის მოკლა მხლებელმა მილიციონერმა მაჰარლამ მაჰმედ-ოღლიმ, რომლის სახლშიაც ამხ. ხაჩინიანი, საარჩევნო მუშაობიდან დაბრუნების შემდეგ, ღამის გასათევად დარჩა თვით მილიციონერის მიწვევით.

დაპატიმრებული მილიციონერი გამოტყდა მკვლელობაში, მაგრამ მკვლელობას იგი ხსნის ისეთი მიზეზებით, რომელთაც არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა აქვთ. ეს ცნობები კი, რომლებიც საგამომძ. ორგანოებს მოეპოვებათ, მოწმობენ, რომ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ გათავხედებული ადგილობრივი კულაკები, რომელთაც ამას წინად მოაწყვეს ანალოგიური მკვლელობა ბასარგეჩარის ნაწილის სოფლის ერთ-ერთი უჯრედის თავმჯდომარის მკვლელობა“.

საგამომძიებლო ორგანოებმა, რომელნიც მუშაობენ რესპუბლიკის პროკურორის ამხ. აშრაფიანის უშუალო ხელმძღვანელობით, დააპატიმრეს 13 ადგილობრივი კულაკი, მათ შორის რამდენიმე ბეგი და ბანდიტი.

ადგილობრივი კულაკები სცდილობენ ამ მკვლელობას ნაციონალური ხასიათი მისცენ, მაგრამ ღარიბ თურქ გლეხთა მასებმა თავის კრებებზე გადაჭრით გაილაშქრეს ასეთი დებულების წინააღმდეგ.

მოკლული ამხ. ხაჩინიანის გვამი დასაკრძალავად გაიგზავნა მის სამშობლო სოფელში (დილეჯანის მაზრა).

გზაზე ყველა სოფელში ეწყობა საგლოვიარო მიტინგები (ადს).

ხანძარი ბათომში

ბათომი, 5 იანვარი. 5 იანვარს, საღამოს 7 საათზე აჭარისტანის მრეწველობის სამმართველოს ცენტრალურ ხე-ტყის ქარხანაში გაჩნდა დიდი ხანძარი. სრულიად დაიწვა ტკეჩნისა და ფანერის საშრობი. ქარხნის მთავარი კორპუსი გადარჩენილი იქნა. ხანძრის გაჩენის მიზეზები ირკვევა. მუშების თავდადებული მუშაობის წყალობით ქარხნის მუშაობა შეჩერებული არ იქნება.

პარტიაში

გაზ. „მუშა“-ს რეორგანიზაცია

(„მუშა“ უნდა გახდეს მასიურ მუშურ გაზეთად)

ყველა უჯრედებს, ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს

ამხანაგებო! საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის კომიტეტმა და საქ. პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება გაზეთ „მუშა“-ს რეორგანიზაციის შესახებ. გაზეთის რეორგანიზაციის მიზანია „მუშა“-ს კიდევ უფრო დაახლოვება მუშათა ფართო მასებთან, მისი გადაქცევა ნამდვილ ტიპიურ მუშურ გაზეთად.

გაზეთ „მუშა“-ს კარგად იცნობს საქართველოს და კერძოდ თბილისის პროლეტარიატი. ექვსი წლის განმავლობაში გაზ. „მუშა“ ღირსეულად ემსახურებოდა საქართველოს მუშათა მასებს, მტკიცედ ატარებდა ჩვენი პარტიის ლენინურ ხაზს და თავის მრავალრიცხოვან მუშკორთა რაზმის საშუალებით ფართოდ აშუქებდა სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს და ნაკლოვანებებს.

თავის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით გაზეთმა „მუშა“-მ სამართლიანად დაიმსახურა სათანადო ავტორიტეტი საქართველოს მუშათა მასებში.

ამჟამად ჩვენი პარტიის წინაშე დასმულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიც არის მუშათა ფართო ფენების აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობის და სახელმწიფო მმართველობის საქმეში. საქართველოს მუშათა ბეჭდვითი ორგანომ „მუშა“-მ მთელი თავისი მუშაობა უნდა შეუფარდოს პარტიის ამ გენერალურ ამოცანას. ამისათვის კი საჭიროა გაზეთის კიდევ უფრო მიახლოვება მუშათა მასებთან, მთელი საგაზეთო მასალის დამუშავება მუშათა მასებისათვის მისაწვდომ და გასაგებ ფორმებში, რათა გაზეთმა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს მუშათა კლასის ფართო ფენების აქტიურად ჩაბმას სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობის და საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში.

ამ მიზნით გაზეთი „მუშა“ უნდა გახდეს ტიპიურ მუშურ მასიურ გაზეთად.

1 თებერვლიდან გაზეთი „მუშა“ გამოვა შემცირებული ფორმატით და ეღირება 2 კაპ. ნომერი, ხოლო 50 კაპ. თვიურად—ხელის მოწერით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ თბილისის პროლეტარიატი და, პირველ რიგში, პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ნათლად გაითვალისწინებენ გაზ „მუშას“ რეორგანიზაციის საჭიროებას. გაზ. „მუშა“-ს რეორგანიზაციის საკითხი უნდა დაისვას უჯრედების მორიგ კრებებზე და აგრეთვე მუშათა საერთო კრებებზე.

გაზეთი „მუშა“ ფართოთ უნდა გავრცელდეს თბილისის მუშებს შორის. არ უნდა დარჩეს წერა-კითხვის არც ერთი მცოდნე მუშა, რომელსაც გამოწერილი არ ექნება გაზეთი „მუშა“. თვითეულმა კომუნისტმა უნდა იკისროს აგიტატორობა გაზ. „მუშა“-ს ფართოთ გავრცელებისათვის, მუშათა მასებთან მისი დაახლოვებისათვის. კომუჯრედებმა ფართო დახმარება უნდა გაუწიონ გაზ. „მუშა“-ს რედაქციას რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი: ლ. სუხიშვილი.

სომხეთის კომპარტიის ყრილობა

ერევანი, 4 იანვარი. 15 იანვრისათვის დანიშნულია სომხეთის კომპარტიის ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია: სომხეთის კომპარტიის ცეკას, სომხეთის კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. მოხსენებები სახალხო მეურნეობის, სოფლად მუშაობის და ახალგაზრდებს შორის მუშაობის საკითხების და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები. (ადს).

ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება

თბ. მოძრაობის დარგის მე-21 კომუჯრედში

სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის მე-21 კომუჯრედის სხდომამ კომკავშირის აქტივთან ერთად მოისმინა ამხ. კვანტალიანის მოხსენება ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას პლენუმის დღის წესრიგში დასმული საკითხები და მიღებული დადგენილებანი.

მომხსენებელს მისცეს რამდენიმე შეკითხვა, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათში მონაწილე ამხანაგები მთლიანად იწონებდნენ პლენუმის დადგენილებებს და აუცილებელ საჭიროდ სცნობდნენ მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში ურყევად გატარებას.

მომხსენებლის მიერ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: კრება სავსებით იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პლენუმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიის გენერალური ხაზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. კრება საჭიროდ ხთვლის პარტიის რიგების გაწმენდას ბიუროკრატიულ და პარტიისათვის უცხო ელემენტებისაგან. კრება ამასთანავე ხაზს უსვამს, რომ მემარჯვენე გადახრა საქართველოს პირობებში კიდევ უფრო საშიშია, ამიტომ საჭიროდ მიაჩნია მაქსიმალური ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე და ნოემბრის პლენუმის დადგენილებების დაწვრილებით შესწავლა.

ის. გ—ძე.

მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკი

3 იანვარს ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკის პარტიულ და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ამხ. მ. მთვარელიძის მოხსენება ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მოკამათენი ეხებოდნენ პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს და აღნიშნავდნენ მისი განხორციელების აუცილებლობას როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, პარტიის რიგების გაწმენდის, მემარჯვენე გადახრა, მასთან შემარიგებლობის და ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევებთან დაუნდობელ ბრძოლას.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება მთლიანად იწონებს პლენუმის დადგენილებებს, საჭიროდ სცნობს ამ დადგენილებათა დაწვრილებით შესწავლას და აღუთქვამს ყოველმხრივ ხელის შეწყობას მიღებულ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის.

ვ. ძ—შვილი.

კომკავშირში

კომკავშირის ლენრაიონის მე-11 კონფერენცია

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. გიორგობიანის მოხსენება ლენრაიკომის მუშაობის შესახებ.

მე-11 კონფერენციისათვის—ამბობს მომხსენებელი რაიონში იყო 38 უჯრედი. საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბებულ იქნა ორი უჯრედი, გარდა ამისა მეორე რაიკომის გაუქმების გამო ჩვენს რაიონს შემოუერთდა 27 უჯრედი. რაიონში 14 მუშური უჯრედია, 20 ტრანსპორტის, 5 მოსამსახურეთა და 26 მოწაფეთა.

1928 წ. 1 იანვრისათვის ორგანიზაციაში ითვლებოდა 1.786 კომკავშირელი; ამჟამად გვყავს 3.335 კაცი.

ორგანიზაციაში ქალთა რიცხვი მხოლოდ 132 (7,8 პროც.) შეადგენდა. ეხლა კი გვყავს 323 (10 პროც.) ქალი.

რაიონში შემავალ წარმოებების მთავარ სახელოსნოს, დეპოს, ლითოგრაფიის და სხვ. მუშა-ახალგაზრდობის 90,5 პროც. ჩაბმულია კომკავშირის ორგანიზაციაში.

პარტიული ხელმძღვანელობა რაიკომზე დამაკმაყოფილებელი იყო. მხოლოდ უჯრედებზე პარტ-ხელმძღვანელობა მოისუსტებს, კომკავშირის ზოგიერთ უჯრედებზე ჯერ კიდევ არ არიან მიმაგრებული პარტ-ამხანაგები. ზოგიერთი მიმაგრებული პარტ-მუშაკები ვერ ერკვევიან კომკავშირის ამოცანებსა და მუშაობაში.

მუშური უჯრედები საწარმოო თათბირებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ისინი კრებებზე არჩევდნენ სამეურნეო, პროფესიონალურ და სხვა საკითხებს. ნაკლები ყურადღება ექცეოდა რაიონულ კომიტეტის მიერ დაგზავნილ დირექტივების დამუშავებას.

ფიზკულტურაში ჩაბმულია 885 კაცი; ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს მიღწევები. ფეხბურთში შეჯიბრის დროს ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ, ხოლო სროლაში კი პირველი.

საბჭოთა მომავალ საარჩევნო კამპანიაში კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. რაიონის საარჩევნო კომისიაში გამოყოფილი გვყავს წარმომადგენელი. მოწვეულ იქნა მდივნების თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდენ ისინი საბჭოთა საარჩევნო კამპანიას.

1927-28 სასწავლო წელს გვქონდა 21 სკოლა, რომელშიაც ჩაბმული იყო 448 კაცი. მიმდინარე სასწავლო წელს ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი სკოლა. მაგრამ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ეს მუშაობა მოისუსტებს. სასკოლო უჯრედებთან ჩამოყალიბებულ იქნა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ 22 წრე, რომელშიაც ჩაბმულია 522 კაცი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ წრეებზე უპარტიო ახალგაზრდობის საკმაო რიცხვია. სათანადო მიღწევები გვაქვს კულტ-მუშაობაში.

ნებაყოფლობით ორგანიზაციებში კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. „თავდაცვა-ავიაქიმში“ ჩაბმულია 3872 ახალგაზრდა, „ოდესში“—1340 კაცი. უღმერთოთა და სხვა წრეებში 300 კაცი.

კომკავშირული პრესის გავრცელება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე რაიონში სულ ვრცელდება 500 ცალი გაზეთი „ახ. კომ“, „მოლ. ლენინ“ და „კომს. პრავდა“.

პიონერთა შორის მუშაობა

ნ. პ. რაიბიუროს მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ხაკოვა.

საანგარიშო პერიოდის პირველ თვეებში შემჩნეული იყო ნ. პ. ორგანიზაციის ზრდის შენელება. ორგანიზაციამ ზრდა იწყო მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა ბანაკად გასვლა. 1928 წ. 1 იანვრისათვის ორგანიზაციაში იყო 1253 პიონერი, ეხლა კი გვყავს 2.508 პიონერი.

პიონერები სოციალურ-საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ; კომკავშირის უჯრედების ხელმძღვანელობა კოლექტივებზე სუსტია. ზოგიერთი უჯრედება ნ. პ. კოლექტივებში მუშაობას ზედმეტად სთვლის.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პიონერთა ბანაკად გასვლაზე, სკოლებში მუშაობაზე, ამხანაგურ თათბირებზე, ხელმძღვანელთა მომზადებაზე და სხვ.

ამხ. ხაკოვის თანამოხსენების შემდეგ კონფერენციის მეორე სხდომა დაიხურა.

კომკავშირის ქალაქის რაიონის მე-11 კონფერენცია

მერვე სხდომა

კონფერენციის მერვე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გეგეჭკორის მოხსენება საკავშირო ხელმძღვანელობის შესახებ.

ამხ. გეგეჭკორი ვრცლად შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ხელს უშლის საკავშირო მუშაობას და დასახა მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ჩაეწერა 80 კაცი, ამათგან კამათში გამოვიდა 23 ამხანაგი.

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ჩერდებოდნენ იმ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ საკავშირო მუშაობის გაძლიერებას.

მეცხრე სხდომა

მეცხრე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გეგეჭკორის საბოლოო სიტყვა. მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა წერილობითი შემოსულ შეკითხვებს და კამათში გამოსულ ამხანაგებს.

ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გარშემო.

მეათე სხდომა

კონფერენციის მეათე სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. მაისურაძის და გეგეჭკორის მოხსენებების შესახებ.

ამის შემდეგ არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა 93 წევრისა და 11 კანდიდატის რაოდენობით. სარევიზიო კომისია არჩეულ იქნა 11 წევრისა და 4 კანდიდატის შემადგენლობით.

კომკავშირის თბილისის სამაზრო - საქალაქო კონფერენციაზე დასწრებლად არჩეულ იქნა 160 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 15 კაცი—სათათბირო ხმით. რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

გამოვიდა და იყიდება:
ი. სტალინი
„პარტიის მორიგი ამოცანები და მემარჯვენე გადახრა“
გვ. 62, ფასი 15 კაპ გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემა.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

საბჭოთა მთავრობის ახალი სამშვიდობო ნაბიჯი.—ევროპის დიპლომატიის დაბნევა.—განიარაღების საკითხის გარშემო.—პუანკარე ამტკიცებს [illegible] დიქტატურას.—ინდოეთის ბურჟუაზიის კაპიტულიაცია

როდესაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა ე. წ. კელოგის ხელშეკრულებას, მისი მიზანი იყო არა მარტო ის, რომ ჩვენი მტრებისათვის მოესპო პროვოკაციის საშუალება, რამდენადაც ისინი ჩვენს უარს ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე გამოიყენებდნენ საბჭოთა მთავრობის ვითომდა იმპერიალისტურ ზრახვების დასამტკიცებლად. გაცილებით მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ საბჭოთა მთავრობის ამოცანას შეადგენდა შეერბილებია კელოგის პროექტის უარყოფითი მხარეები და იგი რამდენიმედ მაინც გადაექცია მშვიდობიანობის ფაქტორად.

კელოგის პაქტი, რომელიც ომის, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის იარაღის, აკრძალვას მოითხოვს, ნამდვილად სულ სხვა რამეს ემსახურება, ვინემ მშვიდობიანობის დაცვას.

პაქტის ინიციატორი ამერიკა ცდილობს მის გამოყენებას თავის მსოფლიო ჰეგემონიის დასამკვიდრებლად, რაც ახალ სისხლის ღვრის საშიშროებას ატარებს. კერძოდ აღსანიშნავია ის ცნობილი შენიშვნები, რომლებიც ამ პაქტს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა დაურთეს. ხსენებულ შენიშვნების აზრი ისაა, რომ კელოგის ხელშეკრულება მათ უნდათ გახადონ თავის იმპერიალისტურ მიზნების განხორციელების საშუალებად. მაგრამ ერთი მხრით მთელ რიგ ცვლილებებმა, რომლებიც ხდება კელოგის პაქტის დადების შემდეგ, ხოლო მეორე მხრით მასში საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ იმპერიალისტებს სათვალავი აურიეს. ისინი უკვე ვერ ახერხებენ კელოგის პაქტის ისე გამოყენებას, როგორც ეს მათ განზრახული ჰქონდათ. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც კელოგის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, აგვიანებენ მის რატიფიკაციას, ურომლისოდ მას იურიდიული ძალა არ აქვს.

კელოგის პაქტი მხოლოდ ერთგვარ მორალურ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოებს, მაგრამ ეხლა ამ ვალდებულებებზეც უარს ამბობენ იმპერიალისტები, რომელთაც ამ ოთხი თვის წინედ დიდი ზეიმით მოაწერეს ხელი პაქტს და რომელთაც ეს პაქტი მშვიდობიანობის ხანის დასაწყისად გამოაცხადეს. საერთაშორისო მდგომარეობა კი ძალზე რთულია. კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება. ხდება ძალთა გადაჯგუფება. შეიარაღება იზრდება. ძლიერდება ცდა ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად. ყველაფერი ეს უკარნახებს იმპერიალისტებს ფორმალურადაც თავისუფალი იყვნენ თავის შავი ზრახვების გატარებაში. და კელოგის პაქტიც, რამდენადაც იგი ამ ზრახვების განსახორციელებლად გამოუსადეგარი ხდება, დავიწყებას ეძლევა.

საბჭოთა მთავრობა, რომელსაც მშვიდობიანობის განხორციელების ძირითად პირობად განიარაღების გატარება მიაჩნია, ამავე დროს ცდილობს, სხვათა შორის, კელოგის პაქტიც გამოიყენოს სამშვიდობო მოძრაობის გასაძლიერებლად. მან საჯაროდ ამხილა პაქტის დამდებ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ფარული მოტივები და ამასთან გამოაქვეყნა ვრცელი განმარტება პაქტისადმი თავის დამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ კერძოდ აღნიშნა, რომ ცნება ომისა არ შეიძლება ისე შეზღუდული იქნას, როგორც პაქტის ავტორებს უნდათ. აკრძალულ უნდა იქნას ომი არა მარტო როგორც ნაციონალურ პოლიტიკის იარაღი, არამედ ყოველგვარი ომი ან ისეთი მოქმედება, რომელიც ომს უდრის (ბლოკადა, ინტერვენცია და სხვ.) ეხლა საბჭოთა მთავრობამ კვლავ გადადგა ნაბიჯი, რომლის დანიშნულებაა კელოგის პაქტის გამოყენება მშვიდობიანობის საქმის წინ წასაწევად. რაკი იმპერიალისტური ქვეყნები აჭიანურებენ მის დამტკიცებას. საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც ერთად ერთმა მოინდომა მისი რატიფიკაცია, წინადადებით მიმართა პოლონეთს, რომ ორივე მხარემ ერთმანეთს შორის დასდვან შეთანხმება ომის, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის აკრძალვის შესახებ, და ამ მიზნით კიდეც წარუდგინა მას სათანადო ოქმის პროექტი, რომელსაც შეუძლიათ შეუერთდნენ სხვა ქვეყნებიც. გარდა პოლონეთისა, ასეთი წინადადება ჩვენმა მთავრობამ ლიტვასაც მისცა.

ამ გამოსვლას უეჭველად აქვს დიდი მნიშვნელობა. იგი ერთი მხრით წარმოადგენს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის დემონსტრაციას და ხელს შეუწყობს სამშვიდობო მოძრაობის ზრდას, მეორე მხრით ერთხელ კიდევ ამხელს პოლონეთისა და კაპიტალისტურ ქვეყნების იმპერიალისტების პაციფისტურ თვალთმაქცობას, თუ ისინი ჩვენს წინადადებას უარყოფენ.

⁂

ამხ. ლიტვინოვის წინადადებამ გამოსკდარ ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში და დიდი ხმაური გამოიწვია. ჩვენი ნაბიჯი იმდენად მოულოდნელი გამოდგა ბურჟუაზიულ დიპლომატიისათვის, იგი ისეთ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას, რომ ჩვენ სრული დაბნეულობის მოწმენი შევიქენით ევროპის მმართველ წრეებში და პრესაში.

პირველ ყოვლისა თავს იმტვრევენ იმის გამოსარკვევად, თუ რატომ სწორედ პოლონეთს მიმართა ხსენებული წინადადებით საბჭოთა კავშირმა. რა თქმა უნდა, აქ არაფერია გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პოლონეთი ის მოსაზღვრე ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად ცდილობს ინგლისის და საფრანგეთის ანტისაბჭოთა გეგმების გატარებას და საბჭოთა კავშირთან დასავლეთის ნაწილების ჩამოგლეჯაზე ოცნებობს. პილსუდსკი ამ მიზნით დაკავშირებულია რუმინეთთან და ნაბიჯებს სდგამს ანტისაბჭოთა ავანტიურაში ბალკანეთის ყველა სახელმწიფოს ჩასაბმელად. ამას აღიარებს „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-იც: „ნოტა მოწმობს რომ საბჭოთა კავშირს სერიოზულად აფიქრებს პოლონეთის სამხედრო ზრახვები და მისი ხრიკები ბელორუსიის საზღვრებზე“-ო.

საბჭოთა მთავრობა კარგა ხანია პოლონეთთან მოლაპარაკებას აწარმოებს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ ინგლისის და საფრანგეთის გავლენით ვარშავა ამაზე არ თანხმდება. ჩვენი ცდა ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვღებულობთ ზომებს პოლონეთის აგრესიულ პოლიტიკის შესაზღუდავად გამოვიყენოთ თვით ის ხელშეკრულება (კელოგის პაქტი), რომელზედაც პოლონეთსაც აქვს ხელი მოწერილი.

ამავე დროს საგულისხმოა, რომ, როგორც ზევით აღნიშნული იყო, ამხ. ლიტვინოვმა იმავე ნოტით მიმართა ლიტვასაც. ესეც შემთხვევითი არ არის. პოლონეთი თავს არ ანებებს ლიტვის დაპყრობის აზრს, რომლის გატარება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაცაა მიმართული და სერიოზულ საფრთხეს ქმნის მშვიდობიანობისთვის აღმოსავლეთ ევროპაში. ლიტვამ უკვე გადასწყვიტა შეუერთდეს საბჭოთა მთავრობის ოქმს კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. თუ პოლონეთიც ამ გზას დაადგება, ამით იგი, ფორმალურად და მორალურად მაინც, ერთგვარად შებორკილი იქნება თავის მტაცებლურ ზრახვების გატარებაში, რაც რამოდენიმედ შეამცირებს ხსენებულ საფრთხეს.

მაგრამ ყველაფერი ეს, ცხადია, იმპერიალისტებს არ ეჭაშნიკებათ. მაგ., პერსინაკსი „ეკო-დე-პარი“-ში ამხ. ლიტვინოვის ნოტას აფასებს, როგორც საბჭოთა მთავრობის ცდას „დაარღვიოს საბჭოთა კავშირის დასავლეთის მეზობლების სოლიდარობა“. ის აცხადებს: პოლონეთი ყოველთვის უარს ამბობდა დაედო საბჭოთა კავშირთან ორმხრივი შეთანხმება, რომელიც „აიძულებს მას ნეიტრალიტეტი დაიცვას და პასიურ მდგომარეობაში დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ წითელი არმია თავს დაესხმის რუმინეთს, ესტონეთს და ფინეთს (?) საბჭოთა კავშირი სარგებლობს კელოგის პაქტით და ცდილობს ჩამოაშოროს პოლონეთი მის ბუნებრივ მოკავშირეებს“. აქ ზედმეტია იმ პროვოკაციის გაბათილება, თითქო წითელი არმია აპირებდეს ვინმეზე თავდასხმას. ეს [illegible] ხერხია. საგულისხმოა მხოლოდ შიში საბჭოთა კავშირის დასავლეთ მეზობლების „სოლიდარობის დარღვევის“ და პოლონეთიდან მისი „ბუნებრივი მოკავშირეების ჩამოშორების“. ჩვენ ვიცით, თუ რა უდევს ამ სოლიდარობას საფუძვლად. ესაა საბჭოთა კავშირზე გალაშქრებისათვის ნიადაგის მომზადება. მაშასადამე, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გულახდილ აღსარებასთან, რომ ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის მიზნით წარმოებს ცდა ჩვენი დასავლეთ ქვეყნებ შორის სოლიდარობის განმტკიცებისათვის და რომ ამ სოლიდარობის, ე. ი. ანტისაბჭოთა ფრონტის დაშლას იმპერიალისტები ვერ შეურიგდებიან.

ჩვენ ვსთქვით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის ამხ. ლიტვინოვის ნოტამ უხერხული მდგომარეობა შექმნა. ეს უხერხულობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი წინადადება მათ მიერვე ხელმოწერილ კელოგის პაქტის რატიფიკაციის მოთხოვნას შეიცავს. ამ წინადადების უარყოფა იქნებოდა პაქტის ავტორების მომაკვდინებელი თვითმხილება, მშვიდობიანობაზე მათი ლაყბობის ნამდვილი სარჩულის საჯაროდ გამოაშკარავება.

რა პასუხს გაგვცემს პოლონეთის მთავრობა? მას, ცხადია, თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია. იგი მოქმედებს დიდ იმპერიალისტურ ქვეყნების კარნახით. როგორც უკანასკნელების, ისე ვარშავის მთავრობის ცდა იქნება მიმართული, რომ ჩაფუშონ საბჭოთა წინადადება, მაგრამ ისე კი, რომ მშვიდობიანობის დამცველთა სამოსელში გახვიონ. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე წარმოებს მოლაპარაკება პოლონეთისა და რუმინეთ შორის. უკანასკნელი, როგორც სჩანს, ფიქრობს კელოგის პაქტი გამოიყენოს ბესარაბიის დაპყრობის დასაკანონებლად საბჭოთა მთავრობის მხრით და პოლონეთთან ერთად ამ პირობით შეუერთდეს საბჭოთა ოქმს. ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მიუღებელია, და თუ პოლონეთმა ამ საკითხში რუმინეთს დაუჭირა მხარი, ეს იქნება ჩადენილი საბჭოთა წინადადების უარსაყოფად. შეიძლება ჩვენი წინადადების წინააღმდეგ ის აზრი წამოაყენონ, რომ კელოგის პაქტის რატიფიკაცია საერთაშორისო მასშტაბით უნდა მოხდეს და საჭირო არ არის ცალკე ქვეყნებ შორის მის შესახებ შეთანხმება. მაგრამ ამ არგუმენტს ერთგვარი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ექნებოდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები ჩქარობდნენ პაქტის დამტკიცებას. ჩვენ კი სულ სხვას ვხედავთ.

უდავოა, რომ შექმნილ მდგომარეობიდან იმპერიალისტები თავს ვერ დააძვრენენ ისე, რომ მათ „პაციფიზმს“ ფარდა არ აეხადოს, რომ მათი აგრესიული ზრახვები ერთხელ კიდევ არ გამოაშკარავდეს.

⁂

კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ“ სწერს: „თავის ახალი პაციფისტური ჟესტით ლიტვინოვს შეიძლება იმედი აქვს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია, რომ მან უარი ვერა სთქვას განიარაღების საბჭოთა წინადადებების სერიოზულ განხილვაზე“. ამნაირად, „დეილი ტელეგრაფ“, რომელიც დაახლოვებულია ინგლისის დიპლომატიურ წრეებთან, ამხელს, რომ განიარაღების მოსამზადებელ კომისიის მომავალი სესიაზე იმპერიალისტები არ ფიქრობენ ჩვენი წინადადების „სერიოზულად“ გარჩევას.

ლუგანოში გამართულ კაპიტალისტურ ქვეყნების წარმომადგენელთა მოლაპარაკების ერთ-ერთ საგანს შეადგენდა საკითხი, თუ როდის უნდა იქნეს მოწვეული განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესია და როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის დღის წესრიგი და შინაარსი. იმავე ხანებში გამოქვეყნდა ამხ. ლიტვინოვის წერილი ლოუდენისადმი (ხსენებულ კომისიის თავმჯდომარე), სადაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა განიარაღების კომისიის საჩქაროდ მოწვევას და მის დღის წესრიგში განიარაღების საბჭოთა პროექტის შეტანას. ამ გარემოებამ და ეგრეთ წოდებულ „მშვიდობიანობის მოყვარეთა“ შიშმა, რომ კომისიის კონფერენციის დაუსრულებელი გადადებით ფართო წრეები საბოლოოდ დაკარგავენ ნდობას ერთა ლიგისადმი,—ბოლოს და ბოლოს აიძულეს იმპერიალისტები დაენიშნათ განიარაღების კომისიის სესიის ვადა. როგორც ამხ. ლიტვინოვისადმი მიმართულ ლოუდენის წერილიდან სჩანს, სესია მოწვეული იქნება ამა წლის 15 აპრილს.

ამ დღეებში მოქვეყნებული იყო ცნობა, რომ განიარაღების კომისიის აპრილის სესია არსებითად არ გაარჩევს განიარაღების პრობლემას, არამედ იგი მხოლოდ ნიადაგს მოამზადებს შემდეგი სესიის „ნაყოფიერი“ მუშაობისათვის,—სესიის, რომელიც ვინ იცის როდის შესდგება (თუ იგი საერთოდ შედგა). „დეილი ტელეგრაფ“-ის ზევით მოყვანილი განცხადებაც თითქო ამას ადასტურებს. ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ხელმძღვანელ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის არსებობს შეთანხმება, თუ იმ სახით კვლავ გაუწიონ წინააღმდეგობა განიარაღების საბჭოთა ოქმს. რანაირი საბაბით და ოსტატობით არ უნდა მოიმოქმედონ ეს მათ, ისინი ვერ დაფარავენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ იმპერიალისტები განიარაღებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ შეიარაღების ზრდაზე და ომზე და რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობა სდგას მტკიცედ საყოველთაო მშვიდობიანობის სადარაჯოზე, მშვიდობიანობის, რომლის უცილებელი გარანტია მხოლოდ ნამდვილი განიარაღების განხორციელებაა.

⁂

პუანკარემ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გადადგეს.—ბიუჯეტი უკვე მიღებულია და ფრანკის სტაბილიზაცია გატარებული, რის შემდეგ ჩემი დარჩენა მთავრობაში აუცილებელი არ არისო,—ასე დაასაბუთა მან თავისი ნაბიჯი. ფრანკის კურსის განმტკიცება უმთავრესად მშრომელთა ხარჯზე მოხდა, ხოლო მიღებული ბიუჯეტი ზედმიწევნით იცავს მსხვილი კაპიტალის ინტერესებს. და ბურჟუაზიის წინაშე პუანკარეს მიერ თავის დამსახურების აღნუსხვას უნდა დაერწმუნებინა გაბატონებული ჯგუფები და ფართე მოსახლეობაც (რამდენადაც პუანკარეს ღონისძიებებს მისი მომხრენი მთელი ხალხისათვის სასარგებლოდ ასაღებენ), რომ ასეთი კაცის დახმარების გარეშე ქვეყანა მომავალშიაც ვერ გასძლებს და ამიტომ საჭიროა ის არამც თუ კვლავ დარჩეს ხელისუფლების სათავეში, არამედ უფრო უნდა გაძლიერდეს მისი ავტორიტეტი. პუანკარეს მხრით გადადგომაზე ლაპარაკის მიზანი სწორედ ეს იყო, და არა ის, რომ იგი მართლა აპირებდა ძალაუფლების დათმობას.

ასეთი მანევრი საჭირო შეიქნა კერძოდ იმ ფინანსიურ პანამასთან დაკავშირებით, რომელიც ამას წინედ გამოაშკარავდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აწი უკვე ცნობილ აფერისტ ქალ ანოს და კომპანიის ფიქტიური საქციო წამოწყებანი და მათი საშუალებით ხალხიდან უამრავი თანხების გამოტყუება. სხვათა შორის, ბნელ კომბინატორთა ეს ორგანიზაცია სცემდა გაზეთს, რომლის თანამშრომელთა რიცხვში, მრავალ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, პუანკარეც ირიცხებოდა. პუანკარე, აშკარად, ზურგს უმაგრებდა როგორც ამ გაზეთს, ისე ხსენებულ კომბინატორების ოინებს. ამ საქმის გამომჟღავნებამ ლახვარი ჩასცა როგორც გაიძვერობასა და სიცრუეზე აგებულ მთელ ბურჟუაზიულ რეჟიმის, ისე პუანკარეს პრესტიჟსაც. აქედან აუცილებელი იყო პუანკარეს მიერ თავის „ღვაწლის“ გახსენება ქვეყნის წინაშე და გადადგომის დამუქრებით თავისი მდგომარეობის განმტკიცება.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მისი ავტორიტეტის აწევას საფრანგეთის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ისეთი უდიდესი პრობლემები, როგორიცაა რეპარაციების და რეინლანდის საკითხები, ან ამერიკისადმი დავალიანება და კიდევ ბევრი სხვა მოუწესრიგებელია და მეტად მწვავედ დგას. პუანკარე მოითხოვს დიქტატორულ უფლებებს ამ პრობლემების გადასაჭრელად. ამ მხრივ მისთვის საქმე უნდა გაეადვილებია აღნიშნულ მანევრსაც — მისდამი ნდობის გაძლიერების გზით.

პუანკარეს გადადგომის „განზრახვის“ გარეგნულ მთავარ საბაბად გახდა დეპუტატებისათვის ჯამაგირების გადიდება, რის წინააღმდეგ მან გაილაშქრა. გაილაშქრა არა იმიტომ, რომ იგი ამას თავის თავად მიუღებლად თვლიდა, არამედ იმიტომ, რომ ამით უნდოდა ეჩვენებია მოსახლეობისათვის, რომ ის თითქო მომჭირნეობას იცავს ქვეყნის სასარგებლოდ; მისი მიზანი იყო ფართე ფენების გულის მოგება. მეორე საბაბს წარმოადგენდა პალატის მიერ მიღებული კანონი, რომლის თანახმად დეპუტატის ან სენატორის წოდება შეუთავსებელია სავაჭრო-სამრეწველო ან საფინანსო წამოწყებებში თანამდებობის დაკავებასთან. ვინაიდან სულ უფრო აშკარა ხდება ფართე მასებისათვის, თუ რა საეჭვო როლს თამაშობენ მინისტრები და დეპუტატები სხვადასხვა წამოწყებებში, აღნიშნულ კანონის გამოცემა აუცილებლად იქნა ცნობილი „საზოგადოებრივი აზრის“ დასამშვიდებლად. მაგრამ ეს კანონი ჰკვეცავს ამ ვაჟბატონების უფლებებს, რასაც პუანკარე ვერ იწყნარებს.

პუანკარე, როგორც მოსალოდნელი იყო, თავის პოსტზე დარჩა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა და კაბინეტის სხვა წევრებმა სთხოვეს მას ისევ განეგრძო „მოღვაწეობა“ ქვეყნის „ინტერესების“ დასაცავად. მინისტრები პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ პუანკარეს შეუძლია წარმატებით გადაჭრას რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანები. ამნაირად, პრემიერმა დასახულ მიზანს თითქო მიაღწია. მისი დიქტატორული მდგომარეობა განმტკიცდა. მაგრამ თუ ბურჟუაზია მას უპირობოდ უჭერს მხარს, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნდობით სარგებლობდეს მოსახლეობის ფართო წრეებში. რომ არ ვილაპარაკოთ მუშათა კლასზე. მათ იციან, თუ რა დაუძინებელი მტერია მშრომელებისა მსხვილი კაპიტალის აგენტი — პუანკარე. და უკანასკნელის ზევით აღნიშნულმა მანევრმა, ცხადია, ამ მხრივ მათი შეხედულება ვერ შესცვალა.

⁂

ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა (ბურჟუაზიულ პარტიათა გაერთიანება) თავის სესიაზე კალკუტაში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინდოეთის დომინიონად გამოცხადებას. მან უარყო შესწორება, რომელიც ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას შეიცავდა. უკანასკნელ თვალსაზრისზე დადგა ოფიციალურად კონგრესის წინანდელი სესია. ამნაირად, ეხლა ჩვენ საქმე გვაქვს ინდოეთის ბურჟუაზიის აშკარა უკანდახევასთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინდოეთის დომინიონი გაცილებით უფრო შეკვეცილი უფლებების მატარებელი იქნება, ვიდრე, მაგ., კანადა და სხ. კონგრესმა გაიზიარა ნერუ (კონგრესის ეხლანდელი თავმჯდომარე) მიერ გამომუშავებული კონსტიტუცია, რომელიც არსებითად ძალუფლებას ისევ ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ხელში სტოვებს. ეს კონსტიტუცია უახლოვდება საიმონის პროექტს.

რით აიხსნება ინდოეთის ბურჟუაზიის ასეთი კაპიტულიაცია? პირველ ყოვლისა იმით, რომ მის მაღალ ფენებთან ინგლისის კაპიტალმა მოახერხა თანამშრომლობის ასე თუ ისე განხორციელება. ინგლისის კაპიტალის წამოწყებებსა და მოგებაში ადგილობრივი მსხვილი ბურჟუაზიაც ღებულობს ერთგვარ მონაწილეობას, აქედან ისიც ღებულობს მცირეოდენ რამეს და ის კმაყოფილდება, თუ ცოტაოდნად მაინც გააფართოვებენ მის უფლებებს.

მეორე, უფრო გადამწყვეტი ხასიათისაა ის გარემოება, რომ ინდოეთის ბურჟუაზიას ეშინია მუშათა და გლეხთა მოძრაობის ზრდისა, რომლის გარეშე ლაპარაკიც შეუძლებელია სერიოზულ ბრძოლაზე ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ინდოეთის ბურჟუაზიამ იცის, რომ ეს მოძრაობა მიმართული იქნება არა მარტო უცხოელთა ბატონობის უღლის დამხვრევისაკენ, არამედ მისი ალაგმვისაკენაც. ამიტომ ის არჩევს იმპერიალიზმთან შერიგებას, რათა ამ გზით ჩაკლას კლასობრივი ბრძოლა შიგნით. ინდოეთის ბურჟუაზია იმავე გზას ადგება, როგორსაც გომინდანი დაადგა ჩინეთში.

და რომ ინდოეთის მასებში წარმოებს კლასობრივი გათვითცნობიერების პროცესი, რომ ისინი თანდათან იქცევიან ბურჟუაზიისათვის საშიშ ძალად, ამას ადასტურებს ის უჩვეულო დემონსტრაცია, რომელიც კალკუტის მუშებმა მოაწყვეს კონგრესის სესიის დროს. 30.000 მუშა შეიჭრა კონგრესის დარბაზში, სადაც მათ გამართეს მიტინგი და გამოიტანეს რეზოლიუცია ინდოეთის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ამასთან ისინი მოითხოვდნენ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ხაზგასასმელია, რომ დემონსტრანტების დროშებზე, სხვათა შორის, შემდეგ წარწერებს წაიკითხავდით: „დიდება წითელ არმიას“, „გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას“. ასეთი განწყობილების ზრდა ინდოეთის მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობაში და მათი დარაზმვა, რომელიც წარმოებს ინდოეთში, უტყუარი საწინდარია მათი გამარჯვებისა როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებზე. „მშობლიური“ ბურჟუაზიის მიერ ქვეყნის გაცემლობა ამ პროცესის დაჩქარება-გაღრმავებას ხელს შეუწყობს.

ბ. კ—ლი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

მუშები ეხმარებიან სოფლის ღარიბ გლეხობას

საშეფო საზოგადოებამ სოფლად არჩევნების ჩასატარებლად გაგზავნა 160 მუშა

გუშინ საღამოს 6 საათზე შრომის სახლის დიდი დარბაზი გაიჭედა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად გასაგზავნ მუშებით და მათი გამცილებლებით—პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებით. საშეფო საზოგადოების საზეიმო სხდომა გახსნა საზოგადოების თავმჯდომარე—ამხ. ასრიბეკოვმა.

ამხ. ასრიბეკოვის სიტყვა

საშეფო საზოგადოების საზეიმო სხდომას, ამბობს ამხ. ასრიბეკოვი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც საშეფო საზოგადოებას პირველად ეძლევა ფართო მონაწილეობის მიღება ამ უდიდეს პოლიტიკურ კამპანიაში. უკვე უდავოა,—რომ ამ უკანასკნელ ხანებში კლასიური ბრძოლა სოფლად მწვავდება. საბჭოთა ხელისუფლების მტრები ამოძრავდენ და დიდ აქტიობას იჩენენ, რომ განამტკიცონ თავიანთი პოზიციები ამ არჩევნების საშუალებით. ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქებიდან მიღებულ ცნობებით,—ჩვენი მტრები არ ზოგავენ არავითარ საშუალებას, რომ გავლენა მოახდინონ სოფლის ჩამორჩენილ ელემენტებზე და მათი დახმარებით საბჭოებში გაიყვანონ თავიანთი აგენტები. მუშების გაგზავნა სოფლებში ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ შევსძლოთ ჩვენი მოწინააღმდეგების აქტიური გამოსვლის ალკვეთა. რამოდენიმე დღის წინად ჩვენმა საზოგადოებამ სხვადასხვა კუთხეებში გაგზავნა 90 მუშა. ხვალ იგზავნება კიდევ 70 მუშა. ეს უკვე საგრძნობი ძალაა. სათანადო ცოდნით, გამოცდილებით კლასიური შეგნებით აღჭურვილი, რომელიც შესძლებს დახმარება გაუწიოს სოფლად მომქმედ ორგანიზაციებს, გაატარონ სწორი კლასიური ხაზი მომდინარე საარჩევნო კამპანიაში. სოფლებში მნიშვნელობა აქვს მუშების მიღებას იმ მხრივ, რომ სოფლად მივლინებულმა მუშებმა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ურთიერთობა სოფლის და ქალაქის მშრომელთა შორის.

ამხ. ვანო ბოლქვაძის სიტყვა

საქ. კომპარტიის ცეკას თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს სახელით სოფლებში მივლინებულ მუშებს მისალმებით სიტყვით მიმართავს ამხ. ვ. ბოლქვაძე:

მუშათა კლასმა,—ამბობს ის, ხელისუფლება მოიპოვა მშრომელი გლეხკაცობის დახმარებით. საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე, სოციალისტური მშენებლობის წარმატება და მშრომელი მოსახლეობის კულტურული წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცე იქნება კავშირი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა შორის. ეს შეგნება უნდა წარუძღვარონ სოფლად მივლინებულმა ამხანაგებმა თავიანთ მუშაობას ამ საარჩევნო კამპანიაში. მათ ხელი უნდა შეუწყონ ისეთი ორგანოების შექმნას, რომელიც გააძლიერებს მშრომელი გლეხკაცობის ნდობას მუშათა ხელისუფლებისადმი. უნდა ეცადონ იმ საბჭოებში არ მოხვდენ ჩვენი კლასიური მოწინააღმდეგეები, რომლებიც აუცილებლად მიზნათ დაისახავენ ხელი გაუტეხონ მუშათა ხელისუფლებას და ამით ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის დიქტატურას. ამ საარჩევნო კამპანიის დროს ქალაქის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ნათლად უნდა დაანახვონ სოფლის მშრომელთ, თუ რა გააკეთა ხელისუფლებამ მათთვის. მათვე უნდა გააცნონ გლეხობას ხელისუფლების დღევანდელი ამოცანები და ამ ამოცანების გადასაჭრელად მიღებული ღონისძიებები. ამ კამპანიის შემდეგ გლეხობას ნათელი წარმოდგენა უნდა ექნეს, თუ რა ზომებია მიღებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ჩვენი მუშების კლასიური შეგნება, მათი გამოცდილება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევენ ადგილობრივ ორგანოებს არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

ამხ. ვ. სტურუას სიტყვა

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების სახელით სოფლად გასაგზავნ მუშებს მიესალმა ამხ. ვანო სტურუა.

საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა,—ამბობს იგი,—ჩვენგან მოითხოვს ფრთხილ მიდგომას და დაკვირვებას. ძველი პროპაგანდა აგიტაციის მეთოდები დღეს არ გამოდგება, რადგან ჩვენი გლეხობა კულტურულად დიდათ დაწინაურდა. დღეს იგი იმდენად მომწიფებულია, რომ შესწევს უნარი სისწორით შეაფასოს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და ნაკლოვანებანი. თქვენ მათ საშუალება უნდა მისცეთ, რომ გამოაშკარაოს თავისი შეხედულება, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს ჩვენი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვა

შემდეგ მისალმებით გამოდის კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი, რომელიც საჭიროდ სცნობს რომ ქალაქიდან მივლინებულმა მუშებმა საანგარიშო კამპანიის დროს გლეხობის ყურადღება შეაჩერონ იმ დაბრკოლებებზე, რომელიც აფერხებს სოციალისტურ მშენებლობას. ერთი ასეთი შემაფერხებელი გარემოებაა ომის საშიშროება იმპერიალისტურ სახელმწიფოების მხრივ, რომლებიც დღის წესრიგში აყენებენ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე.

ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვას კრება მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. ბაგრატ მაჩაიძის სიტყვა

პროფკავშირთა საბჭოს სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. მაჩაიძე, რომელიც მოუწოდებს სოფლად გასაგზავნ მუშებს ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაონ სოფლად მომქმედ პროფორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და ამით უზრუნველყონ პარტიის კლასიური ხაზის გამარჯვება არჩევნებში.

ამხ. ფარძიელის სიტყვა

ამხ. ფარძიელი ჩერდება საშეფო ორგანიზაციების როლზე ამ არჩევნებში და იმ ამოცანებზე, რომელიც სოფლად გაგზავნილ მუშებს ეკისრებათ: საანგარიშო კამპანიაში გლეხობის ფართე მასების ჩაბმა, გლეხობის მიერ მოცემულ შეკითხვებზე სწორი არა ორჭოფული პასუხის გაცემა, დახმარების გაწევა ნაკაზების შედგენაში, საარჩევნო ინსტრუქციების სწორი გამოყენება, უტყუარი კლასიური მიდგომით ხელმძღვანელობა ისეთ შემთხვევებში რომელსაც ინსტრუქცია არ ითვალისწინებს; ხელის შეწყობა ფართო თვითკრიტიკისათვის, საანგარიშო და საარჩევნო კრებების თავის დროზე და შესაფერ ადგილზე მოწვევა. ყველა საბჭოთა ორგანიზაციებთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობა აი—ის ამოცანები, რომელიც ევალებათ სოფლად მივლინებულ საშეფო ორგანიზაციის წევრებს, რომელთაც შესწევთ საამისოდ საკმაო მომზადება, ცოდნა და უნარი.

სოფლებში გაგზავნილ მუშების წარმომადგენელთა სიტყვები.

სოფლად გასაგზავნ მუშების სახელით საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კობახიძემ, ჯანჯღუავამ, ბერაძემ და კანდელაკმა. მათ განმარტეს თავიანთი მივლინების მიზანი და დიდი აზრი და გამოსთქვეს რწმენა რომ სოფლად მივლინებული მუშები შესძლებენ დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

საზეიმო სხდომა დახურა ამხ. ასრიბეკოვმა, რომელმაც დასკვნა გაუკეთა სხდომაზე გამოსულ ამხანაგების სიტყვებს.

მუშების გაგზავნა მაზრებში

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებით, თბილისიდან საქართველოს მაზრებში იგზავნება თბილისის წარმოებებში მომუშავე 50 აქტიური მუშა, რომლებიც ადგილებზე მონაწილეობას მიიღებენ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში. მაზრათა შორის ამხანაგები განაწილებული არიან შემდეგნაირათ: გორის მაზრაში [illegible]—8 კაცი, აჭარისტანში—8 კაცი აფხაზეთში —1, ქუთაისის მაზრაში—2, შორაპნის მაზრაში—8, ახალქალაქის მაზრაში—4, ახალციხის მაზრაში—4, ბორჩალოს მაზრაში—5, კახეთში—5, რაჭა-ლეჩხუმში—5, სამხრეთ-ოსეთში—3, ზუგდიდის მაზრაში—4, სიღნაღის მაზრაში—5 და ოზურგეთის მაზრაში—4 კაცი.

მოსამზადებელი კამპანიის შედეგები

პირველ იანვრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში დამთავრდა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა. მოსამზადებელი კამპანიის შედეგების შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამ.-კავკ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ფ. მელნიკოვს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

პირველ იანვრიდან მთელ ამიერ-კავკასიაში დაიწყო საანგარიშო კამპანია, ხოლო აზერბეიჯანში საანგარიშო კამპანია დაიწყო 15 დეკემბერს.

ამჟამად უკვე შეგვიძლია შევაფასოთ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შედეგები. ადგილებიდან მიღებული გვაქვს მდიდარი მასალა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა მშრომელთა ფართე საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

ამავე მასალიდან ირკვევა, რომ მოსამზადებელი მუშაობა უმთავრესად ჩატარებული იქნა ცენტრალურ-ხელმძღვანელ ორგანოების მიერ, ხოლო სოფლები არჩევნების ამ პერიოდს ვერ შეხვდნენ სათანადო მომზადებით. ამის გამო მოსამზადებელმა მუშაობამ სოფლად ვერ გამოიღო ისეთი ეფექტი, როგორც სამაზრო და რესპუბლიკანურ ცენტრებში.

შემჩნეულ ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: სათანადოთ ვერ იქნა შეფასებული იმ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად სოფლად სწარმოებს, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საჭიროება და სხვ.

გლეხების კონფერენციაზე ზოგან მოითხოვდნენ, რომ საშუალო შეძლების გლეხები არ აერჩიათ არც საარჩევნო კომისიაში და არც საბჭოში.

მეორე მხრივ ზოგიერთი სოფლის საარჩევნო კომისიები იცავდნენ კულაკებს და მოითხოვდნენ, რომ მათთვის არ ჩამოერთმიათ საარჩევნო ხმის უფლება (იყო შემთხვევები, როდესაც ამტკიცებდნენ ვითომ კულაკი არ არის მავნე. ამ აზრს იცავდნენ არა მარტო ზოგიერთი მოჯამაგირეები, არამედ ზოგან კომუნისტებიც. ერთ ადგილას საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭეს ყოფილ ბოქაულს.

„კაზიონურ კეთილდღეობის“ განწყობილება, რომელიც შემჩნეული იქნა ზოგიერთ ადგილზე, უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის სისუსტის შედეგათ. ამ განწყობილებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ზოგან სამაზრო კომისიებიც კი მხოლოდ ერთჯერ შეიკრიბენ, შეწყდა კავშირი ძირითად და მაღლა მდგომ ორგანიზაციათა შორის, და ზოგჯერ ცენტრი ვერ ღებულობდა ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ადგილებზე.

საანგარიშო კამპანია უკვე დაიწყო და ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ გამორკვევიათ სისწორით საშუალო გლეხის განწყობილება, ის მეთოდები და ფორმები რომლითაც კულაკი ცდილობს თავის მხარეზე გადიბიროს ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა.

ზოგიერთი ადგილებიდან გვატყობინებენ, რომ კულაკები თავის ცოლებს სცემენ—რათ დაესწარით საარჩევნო კრებასო. ინსტრუქციის თანახმად კი კულაკების ცოლები კრებებზე უნდა იქნან დაშვებულნი.

საარჩევნო კომისიები სათანადო ყურადღებას არ იჩენენ ამომრჩეველთა სიების შედგენისადმი, რის გამო ამომრჩეველთა სიებში მოხვდენ არა მშრომელი ელემენტები და ხმის უფლებას მოკლებული აღმოჩნდა საშუალო შეძლების გლეხების ნაწილი.

კულაკობა თავის გავლენის შენარჩუნების მიზნით მიმართავს სხვადასხვა ხრიკებს: ცილისწამებას, მოსყიდვას, ქორებს, პროვოკაციას, თავდასხმებს და ზოგჯერ მკვლელობასაც. ხელისუფლების ზომებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ სასოფლო მეურნეობის აღდგენას, კულაკები ხსნიან როგორც საშუალო გლეხის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას. აფხაზეთში კულაკები ღარიბ გლეხებს გულის მოსაგებათ მათ აწვდიან ხორბლეულსა და ფულს; სხვა რაიონებში კულაკები ცდილობენ მოისყიდონ ღარიბი გლეხები, და მათი საშუალებით მოაგვარონ თავიანთი საქმეები.

ღარიბმა გლეხობამ შეიგნო თავისი პოლიტიკური ძალა და სასტიკად იბრძვის კულაკობის ყოველგვარ აქტიობას. მთელ რიგ კრებებზე ღარიბი გლეხები მოითხოვენ კულაკების გაძევებას სოფლიდან. საარჩევნო კომისიებში ღარიბი გლეხები ამხილებენ არა მარტო კულაკებს, არამედ საბჭ. მუშაკებსაც, რომლებიც კულაკების გავლენის ქვეშ მოექცნენ და მათ მფარველობას უწევენ ან ბოროტად იყენებენ თანამდებობას, თავისთვის იტოვებდენ ნორმაზე მეტ მიწებს ან ამ მიწებს უნაწილებდენ თავის მახლობლებს და ნათესავებს.

გამოირკვა, რომ სოხუმის მაზრაში მთელი საბჭო კულაკების გავლენის ქვეშ იყო და საბჭოს თავმჯდომარე, ვინმე პარრიდი, ატარებდა კულაკურ პოლიტიკას. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია.

მთიან ადგილებში ჩატარებულმა ნაწილობრივი არჩევნების შედეგებმა დაგვანახვა, რომ იქ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მოსახლეობის მთლიანად ჩაბმას არჩევნებში. ამის გამო კრებებს წელს ესწრებოდა ამომრჩეველთა ნაკლები რაოდენობა, ვიდრე გასულ წელს, შემცირდა საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა რაოდენობა (ერთ რაიონში სრულიად არ აღმოჩნდა საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული მოსახლე), ამ რაიონებში შემცირებულია აგრეთვე ქალთა აქტივობა, ხოლო ზოგიერთ რაიონში შემცირებულია არჩევნებში მონაწილე პარტიულთა პროცენტიც.

გამოძახება შეჯიბრებაში არჩევნების უკეთ ჩატარებაზე ამიერ-კავკასიაში დაიწყო რუსეთთან ერთად.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საანგარიშო კამპანიის გაშლა მთელ ამიერ-კავკასიაში ორგანიზაციულად მიმდინარეობდა, რაც იმის თავდებია, რომ მიუხედავად მთელ რიგ ნაკლოვანებებისა მოსამზადებელ მუშაობაში, საანგარიშო კამპანია კიდევ უფრო დარაზმავს მშრომელ მასას და საბჭოებში გაყვანილი იქნება დეპუტატების ისეთი შემადგენლობა, რომელიც უკეთ გაუძღვება სოციალისტურ მშენებლობას.

მოსამზადებელი მუშაობა კახეთში დასრულდა

(დეპეშით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გურჯაანი, 5 იანვარი. 4 იანვარს კახეთის მაზრაში მოთავდა საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა. ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს მიეცა ინსტრუქციები შემჩნეული დეფექტების აღმოსაფხვრელად. 6 იანვრიდან მთელ მაზრაში იწყება სოფლის და თემის საბჭოების საანგარიშო კამპანია და ახალი ნაკაზების დამუშავება.

ჭოჭუა.

როგორ იბრძვიან კულაკები სოფლად

(წერილი კახეთიდან)

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელმა მუშაობამ კახეთის მაზრაში ამოძრავა მთელი მშრომელი მოსახლეობა. ყველა თემში, ყველა სოფელში და ყველა მივარდნილ კუთხეშიაც კი მოეწყო როგორც ორგანიზაციების აგრეთვე მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის კრებები, სადაც გაშუქებული იქნა საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ კულაკები და ბიბოლა გლეხებიც ამოძრავა მოსამზადებელმა მუშაობამ; ისინი ჯერ ცდილობდნენ „მშვიდობიანი“ გზით თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ მშრომელი გლეხკაცობის ნაწილი მაინც. ამ მიზნით აწარმოეს სხვადასხვა სახის აგიტაცია ნდობის მოპოვებისათვის. დაპატიჟეს და დაათვრეს ზოგიერთი ღარიბი გლეხები და ყოფილი მოჯამაგირეები, მაგრამ სათანადო გამოძახილი გლეხობიდან ვერ ჰპოვეს. კულაკები და განსაკუთრებით კი მათი ცოლები ზოგიერთ თემებში ესწრებოდნენ აგრეთვე ღარიბთა კრებებს და როდესაც ღარიბები მათ კრებებიდან აძევებდნენ, ისინი ცდილობდნენ გარედან მაინც ყური დაეგდოთ და გაეგოთ, თუ როგორი სამუშაო გეგმა გვაქვს შედგენილი. ზოგიერთ ადგილებში კულაკებმა, როდესაც დაინახეს, რომ მათი პურ-მარილი აღარ სჭრის, და ისინი მაინც შავ სიაში მოექცნენ, უკვე აშკარა შეტევაზე გადავიდნენ და ფიზიკურ საშუალებას მიმართეს. მაგალითად **საქობოს თემში** (კახ. მაზრა) კულაკ ბერიაშვილმა ნაჯახით მიიწია იმ საბჭოთა წევრზე, რომელმაც ხმა მისცა მის შავ სიაში შეტანას. მან აგრეთვე ლანძღვა - გინებით მიმართა საბჭოს წევრს (ღარიბთა ჯგუფის წევრია) გლეხის ქალს ვ. ჯავაშვილს.

ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი **ზემო-ხოდაშენის** თემში, აქ კულაკმა თემაღმასკომის თავმჯდომარეს აღმასკომის შენობაში მიმართა ლანძღვა-გინებით და მუქარით. ამავე თავმჯდომარეს თავისი ეზოს კარებში დაუგდეს წერილი რომელშიაც სწერდნენ, რომ შენ ჩვენი „კურატი“ ხარო, ე. ი. მოკვლას ემუქრებოდნენ. ამავე დროს სოფლად ავრცელებდნენ თავმჯდომარის (კომუნისტია) საწინააღმდეგო ხმებს და სხვადასხვა პროვოკაციებს მისი ავტორიტეტის დაცემის მიზნით.

თუმცა ასეთ ღონისძიებებს მიმართავენ სოფლის კულაკები, მაგრამ მაინც მოჯამაგირე და ღარიბი გლეხკაცობა მჭიდრო კავშირში იმყოფება საშუალო შეძლების გლეხობასთან და სათანადო წინააღმდეგობას უწევენ კულაკების მიერ მოტანილ იერიშებს.

კულაკების ასეთი მოქმედება იმას გვეუბნება, რომ არჩევნების დროს ისინი ყოველგვარ ღონისძიებას იხმარენ, რომ ხელი შეუშალონ გადარჩევების კამპანიაში და მოახერხონ თავიანთი წარმომადგენლების, ან თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცეულ გლეხების გაყვანა საბჭოებში. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მაქსიმალურად შევაკავშიროთ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხკაცობა საშუალო გლეხობასთან და პარტიის ხელმძღვანელობით დაუნდობელი ბრძოლა გაწარმოოთ კულაკების წინააღმდეგ.

ძრ. კოხტაშვილი.

სამზადისი წითელ ჯარში

(წერილი ქუთაისიდან)

მე-3 ლეგიონი შეუდგა სამზადისს საბჭოთა გადარჩევებისათვის. პარტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე დაწვრილებით იქნა განხილული ეს საკითხი და გამომუშავდა პრაქტიკული ღონისძიებანი. წითელ არმიელებში ჩატარდა მეცადინეობის სახით საუბარი საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობაზე.

სკოლის გარეშე მუშაობის ხაზით მიმდინარეობს საუბრები ხსენებულ თემაზე და ხდება ჯგუფებში საარჩევნო ინსტრუქციის დამუშავება.

ლეგიონის მრავალ ტირაჟიან გაზეთში სათანადოდ და სისტემატიურად შუქდება საკითხი საბჭოთა მომავალ არჩევნების მნიშვნელობაზე. სწარმოებს სათანადო მუშაობა, რათა წითელ-არმიელებმა გაგზავნონ წერილები თავიანთ ოჯახებში საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით.

ლეგიონის საწვევამდო წერტებზე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს 1907 წ. დაბადებულ ახალგაზრდობასთან, ჩატარდა სპეციალური პოლიტ-მეცადინეობა საბჭოთა გადარჩევების მნიშვნელობაზე.

ლეგიონის მიერ მთელ თემებში ტარდება ერთ-დღიანი შეკრებები ცვალებად შემადგენლობის, სადაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ახსნა-განმარტებითი მუშაობას ამ საკითხის გარშემო.

ლეგიონის შემსებ რაიონში, სადაც დღეს იმყოფება მთელი უფშემადგენლობა, დავალებული აქვს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ორგანიზაციებს სამზადისო მუშაობის ჩატარებაში.

ლეგიონის მრავალტირაჟიანი გაზეთი იგზავნება მთელ რიგ თემებში, სადაც ცვალებად შემადგენლობას ეძლევა მითითებანი, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში.

ჩვენი ლეგიონი ტერიტორიალურია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მოსახლეობასთან (წერტები, შეკრებები, თათბირები და სხვა ხდება თემებში).

ლეგ-სარდლობამ მისცა სათანადო დირექტივები თემებში მომუშავე უფ-პოლიტშემადგენლობას, რათა ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ საბჭოთა გადარჩევების გარშემო წარმოებულ მუშაობას.

ლეგიონის სამზადისო მუშაობა საბუთს გვაძლევს, რომ საბჭოთა არჩევნები ჩვენთან საუკეთესოდ ჩატარდება.

კორ—ლი.

ჭიათურა

რა გაკეთდა ჭიათურაში ერთი თვის განმავლობაში

1928 წლის დეკემბრის განმავლობაში ამოღებულია 78.988 ტონა მარგანეცი, გარეცხილია 88.278 ტონა, გატანილია ფოთში 81.524 ტონა.—სულ ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა: 51 მაღარო და 9 ქარხანა, რომლებშიაც დაბანდებული იყო 8.228 მუშა.

ჩვენი მიღწევები და ნაკლი

(საუბარი ამხ. კ. გამეზარდაშვილთან)

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველის მოადგილეს ამხ. კ. გამეზარდაშვილს, რომელმაც ჭიათურის წარმოების შესახებ განაცხადა შემდეგი:

თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო მუშაობა ჭიათურის წარმოების აღსადგენათ მაგრამ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჭიათურის წარმოების აღდგენის პერიოდი თითქმის დამთავრებულია.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ჭიათურის მუშების აქტიური დახმარებით და მათი თავდადებული შრომით შესძლო მრავალი დაბრკოლებების გადალახვა და, ჩვენ ვხედავთ, რომ ჭიათურის ქარხანა-მაღაროები წარმატებით ასრულებენ იმ გეგმას, მარგანეცის ამოღება-გაზიდვის დარგში, რომელიც მიეცა ჭიათურას უმაღლესი ორგანოების მიერ.

ამხ. კ. გამეზარდაშვილი

როგორც ვიცით, კონცესიონერმა ჭიათურა განადგურებული დასტოვა: ქარხნები იდგნენ უმოქმედოთ, მაღაროები იყვნენ დანგრეული და მათში არ შეიძლებოდა მუშაობის წარმოება.

დღეს ჭიათურა სულ სხვა სურათს წარმოადგენს: შეკეთებულია მაღაროების დიდი რაცხვი, ამუშავებულია მრავალი ქარხანა. ამ დღეებში დაიწყო მუშაობა ქარხანა № 14, რამოდენიმე დღის შემდეგ ამუშავდება კიდევ ერთი ქარხანა.

ამ ქარხნებისათვის ტრესტმა შეიძინა ახალი მანქანა-ხელსაწყოები.

მარგანეცის ტრესტი ზრუნავს რა ძველი ქარხნების აღდგენაზე, ამასთანავე აქცევს უდიდეს ყურადღებას წარმოების ტეხნიკურად გაუმჯობესებას. ჭიათურა საჭიროებს მომარაგებას ახალი, გაუმჯობესებული მანქანებით, რაც გაადიდებს პროდუქციას და გაადვილებს მუშაობას.

ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები: გამოწვეულნი იქნენ როგორც საბჭოთა კავშირის მსხვილ საწარმოო ცენტრებიდან, ისე გერმანიიდან მარგანეცის საქმის მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც გაეცნენ ჭიათურას და შეიმუშავეს პროექტები მარგანეცის ამოღება-გარეცხვის დარგში.

უკვე გადაწყვეტილია ძლიერი საჰაერო გზის აგება რგანის ხეობაში. გერმანელი ინჟინერი ვაგნერი, რომელიც მუშაობს მადანის სარეცხი ქარხნების აგების საკითხებზე, ამ დღეებში დაამთავრებს მუშაობას და წარუდგენს ტრესტს თავის პროექტებს.

შეიძლება ითქვას, რომ ახლო მომავალში ჭიათურის წარმოებაში შემოღებული იქნება მრავალი გაუმჯობესებული ტეხნიკური საშუალებები, რაც დიდათ შეუწყობს ხელს მადანის ექსპორტის ზრდას.

დღეს დღეობით მადანის გაზიდვის საქმეს ხელს უშლის ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა. მთელი სიმძიმე მარგანეცის გაზიდვაში ქარხნებიდან რკინის გზის სადგურებამდე აწევს ურმებს. ჭიათურა კი ჯერ-ჯერობით არ არის მომარაგებული ფურაჟით, მეტადრე სიმინდით, რაც იწვევს ურმების სიმცირეს. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება სათანადო ორგანოებმა.

რაც შეეხება რკინის გზას, უნდა ითქვას, რომ იგი აკმაყოფილებს ტრესტის მოთხოვნილებას და იძლევა ვაგონების იმ რიცხვს, რომელიც სჭირია ტრესტს. მაგრამ, რკინის გზამ უნდა მიაქციოს ყურადღება ვაგონების მდგომარეობას, რადგან მრავალი ვაგონი გაფუჭებულია. რის გამო გზაში იკარგება მარგანეცის დიდი რაოდენობა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ჩვენი ინჟენერ ტეხნიკოსების ენერგიული და თავდადებული მუშაობა. ჩვენი სპეციალისტები არ ზოგავენ ძალას და ღონეს, რომ ჭიათურის წარმოება დააყენონ სათანადო სიმაღლეზე და შეუწყონ ხელი მის წინმსვლელობას.

ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორია მდგომარეობა ჭიათურაში მუშა-ხელის მხრივ, ამხ. გამეზარდაშვილმა სთქვა: მუშა-ხელი ჭიათურაში მოიძებნება საკმაო რაოდენობით. მუშაობა ფართოვდება და ტრესტი ყოველდღიურად თხოულობს შრომის ბირჟიდან რამოდენიმე ათეულ მუშას.

იანვრის პირველ დღეებში გაგზავნილ იქნა სამუშაოზე 120 კაცი.

დანგრეულ მაღაროების აღდგენასთან ერთად ტრესტს სჭირდება გამოცდილი მტვრევულები (კირკის მუშები), რომლებიც თითქმის არ მოიძებნება ბირჟას. ამ გარემოებამ შეიძლება იქონიოს ცუდი გავლენა მაღაროების აღდგენაზე.

ი. ხუციშვილი.

ჭიათურა.
4 იანვარი, 1929 წ.

ჭიათურის ქრონიკა

ახალი ბიბლიოთეკები

მოკლე ხანში ჭიათურის სამრეწველო რაიონში დაიწყებს მუშაობას 10 ახალი ბიბლიოთეკა.

ჭიათურის თეატრში

მორიგ პრემიერად ჭიათურის თეატრი სდგამს ლეო ქიაჩელის მოთხრობის „ტარიელ გოლუა“-ს ინსცენიროვკას 8 სურათად.

ექსკურსანტები ჭიათურაში

4 იანვარს ბათომიდან ჭიათურაში ჩამოვიდნენ დონის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მსმენელები, რიცხვით 12 კაცი.

ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მაღაროები, ქარხნები, გაეცნენ მუშების ბინებს.

ექსკურსანტებმა დაჰყვეს ჭიათურაში 2 დღე.

ახალი ქარხნები

5 იანვარს დაიწყო მუშაობა ქარხანა № 17. მოკლე ხანში ამუშავდებიან ქარხნები № 85 და 87, რომლებიც მდებარეობენ დარკვეთის მაღაროების ახლო.

საექიმო პუნქტების გახსნა

სამთო-მადნო კავშირის ჭიათურის რაიკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ეთხოვოს აღნიშნულ კავშირის ცენტრ. გამგეობას, რათა მიღებულ იქნეს ზომები ჭიათურის სამრეწველო რაიონში საექიმო პუნქტების გახსნის შესახებ.

რაიკომმა საკითხი საექიმო პუნქტების გახსნის შესახებ დასვა აგრეთვე ჭიათურის მარგანეცის ტრესტის წინაშე.

საქ. კომპარტიის ცეკა 1929 წ. 12 იანვარს იწვევს

აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებათა გამგეების სრულიად საქართველოს თათბირს

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურულ მშენებლობის ძირითადი ამოცანები საქართველოში.
2. პარტიული განათლების საკითხები.
3. მასიური პოლიტგანათლების და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა.
4. სექციური წესით დამუშავება შემდეგი საკითხებისა:

ა) ანტირელიგიური მუშაობა;
ბ) წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია;
გ) სოფლის სამკითხველოების მუშაობა;
დ) კინოსა და რადიოს მუშაობა;
ე) მუშების და გლეხების კოოპერატიული და აგრონომიული განათლება;
ვ) პროფკავშირების კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა;
ი) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში კულტაღმზრდელობითი მუშაობა;
უ) მუშათა განათლება;
ქ) ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობა;
ლ) ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა.

თათბირზე **გადამწყვეტი ხმით მოწვეული** არიან: აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგეები ს. კ. პ. (ბ) თბილისისა, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებისა და შემდეგი რაიკომებისა: 1) ჭიათურის, 2) ბორჯომის, 3) ტყიბულის, 4) სამტრედიის და 5) თბილისის რაიკომების.

თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ **სათათბირო ხმით** გამოწვეული არიან: ს. კ. პ.(ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტების წარმომადგენელი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს და ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები; განათლების კომისარიატიდან: კომისარი, მისი მოადგილე და ყველა განყოფილებათა გამგეები. მუშა და გლეხ-ქალთა განყ. გამგე, სახკინმრეწვის და სახელგამის წარმომადგენლები, საქ. პროფკავშირთა საბჭოდან: კულტ. განყ. გამგე და ყველა ც. გამგეობის კულტგანყ. გამგეები. თბ. განათლების განყ. და პოლიტგანის გამგე, ცეკავშირის კულტ. განყ: გამგე. ყველა ნებაყოფლობით საზოგადოებათა ც. კ. თავმჯდომარეები და პ.-მგ. მდივნები. კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკები, თბილისის ყველა გაზეთების რედაქტორები და ნორჩ პიონერთა ც. ბ. წარმომადგენლები, ცენტრ. პარტსკოლის გამგე, ცაკთან არსებულ ნაც. უმცირესობათა კომისიისა და განათლების კომისარიატთან არსებულ ნაციონ. უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი მ. კახიანი.
ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგე ს. მამულია.

იდეოლოგიური კონტრ-რევოლიუცია

(რას ასწავლიან ჩვენს სკოლებში)

სამწუხაროა, რომ ასე გვიან ექცევა ყურადღება იმ მასალებს, რომელიც აქ მინდა გავარჩიო. მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ უკანასკნელ დროს არა ერთი და ორი კოროტება გამოაშკარავებულა იმისგამო, რომ კომუნისტური პარტიის მეთაურობით სასტიკი თვითკრიტიკის ცეცხლში ტარდება მთელი ჩვენი მუშაობა და აღმშენებლობა. პარტია დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტურული აღმშენებლობის საკითხებს. ამიტომ ზედმეტი არ არის, რომ შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც გამოაშკარავდეს ის სიძნელენი რომელიც ხელს უშლის კულტურულ რევოლიუციის, ახალი კომუნისტურ იდეოლოგიის განვითარებას.

სადაო არ უნდა იყოს, რომ სკოლა უდიდესი იარაღია, რომელიც გარკვეული მიმართულებით აყალიბებს ადამიანის მსოფლ-მხედველობას. უფრო მეტი: გარკვეულ სოციალურ - ეკონომიურ პირობებში სკოლაზე დამოკიდებულია ამ პირობებისათვის შესაფერი „ცოცხალი მანქანის“ — ადამიანის პიროვნების ორგანიზაცია. ამით აიხსნება, რომ ყოველ დროს, ყოველ ეპოქაში ის საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ცხოვრებას განაგებს, თავისი კლასობრივი იდეალების მიხედვით უსახავს სკოლას ამოცანებს.

ყველა მჩაგვრელი კლასი ყოველთვის და ყველგან გარკვეული მიზნით აყენებს სკოლას: იმ მიზნით, რომ მოამზადოს ერთი მხრით მფლობელი, ბატონი, მმართველი, და მეორე მხრით მონა, მორჩილი, ამსრულებელი, როგორც ერთისათვის, ისე მეორესათვის სათანადო ინდივიდუალური — სუბიექტიური მსოფლმხედველობით. ხოლო რომ ის კლასი, რომელიც უნდა იყოს დამონებულის, დამორჩილებულის, ამსრულებლის როლში, უფრო შეეფერებოდეს ამ დანიშნულებას, ამისათვის დამმორჩილებელი, დამმონებელი, მჩაგვრელი მუდამ მიმართავდა და დღესაც მიმართავს გარკვეულ საშუალებას, იმას, რასაც ამხ. ლენინი უწოდებდა ოპიუმს, დამთრობელ ბანგს — რელიგიას. ეს ასე იყო მუდამ და ასეა ეხლაც ყველგან, სადაც ბურჟუაზია ბატონობს.

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და გლეხობამ თავი გაინთავისუფლა ჩაგვრისა და მონობისაგან. მან გაანადგურა მჩაგვრელი კლასი, საფუძველი გამოუთხარა მის არსებობას, შესცვალა ის წესი, რომელზედაც ემყარება კაპიტალისტური ექსპლოატაცია. დაიწყო ახალი საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური წყობილების აღმშენებლობა.

რაღა თქმა უნდა მუშათა კლასს აქვს თავისი იდეალები, თავისი იდეოლოგია და ამ იდეოლოგიაზე უნდა აღიზარდოს ერთი მხრით მთელი მომავალი თაობა და მეორე მხრით ის საზოგადოებრივი ფენები, რომლებიც ჯერ კიდევ ძველი წვრილ - ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ეს ამოცანა ასე არის ჩამოყალიბებული მუშათა კლასის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის პროგრამაში: „სკოლის გარდაქმნა ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღის ნაცვლად, საზოგადოების კლასობრივი დაყოფის მოსპობის იარაღად, საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის იარაღად“. უფრო ქვევით: „პროლეტარიატის დიქტატურის დროს სკოლა უნდა იყოს კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი არა ზოგადად, არამედ პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ზეგავლენის გამტარებელი, მშრომელ მასების ნახევრად პროლეტარულ და არა პროლეტარულ ფენებზე, რომ აღიზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს საბოლოოდ დაამყაროს კომუნიზმი“ (კომუნისტური პარტიის პროგრამა, ღონისძიებანი განათლების დარგში). ამ ამონაწერით გამოირკვა ორი საკითხი: ერთი რომ მუშათა კლასმა თავისი „იდეური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ზეგავლენა“ უნდა გაატაროს მშრომელი მასების ნახევრად პროლეტარულ და არა პროლეტარულ ფენებზე, და მეორე, რომ ამ ზეგავლენის გამტარებელი პირველ ყოვლისა სკოლა არის.

ამიტომ, ცხადია, მუშათა კლასი უდიდესი ყურადღებით ეპყრობა, თუ როგორ არის დაყენებული სკოლის საქმე, როგორ ასრულებს ამ უდიდეს ამოცანას „პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ზეგავლენის“ გატარების ამოცანას „ნახევრად პროლეტარულ და არა პროლეტარულ ფენებზე“. სწორედ ამ თვალსაზრისით მინდა განვიხილო ის საკითხი, თუ როგორ მდგომარეობაშია ჩვენი სკოლის იდეოლოგიური მხარე, როგორ გაატარებს სკოლა ამ უდიდეს ამოცანას იმ საშუალებით, რომელიც დღეს მის ხელშია.

როდესაც საშუალებაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, სკოლის მუშაობის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოებს, ე. ი. იმ სასწავლო მასალას, რომელზედაც ყალიბდება მოწაფის აზროვნება და მსოფლმხედველობა.

ჩემს ხელთ არის 4 სახელმძღვანელო შრომის სკოლისათვის გამოცემული. ორი მათგანი გამოცემულია 1927 წ. 1927-28 სასწავლო წლისათვის, ორი—1928 წ. 1928-29 სასწავლო წლისათვის. ეს სახელმძღვანელოებია: 1) „ჩვენი მხარე“ — სამუშაო წიგნი შრომის სკოლის მე-3 ჯგ. 1927 წ. სახელგამი; 2) „სხივი“ — ლიტერატურული ქრისტომატია შრ. სკოლის მე-5 ჯგ.: სახელგამი, 1927 წ. 3) „ჩვენი კავშირი“ სამუშაო წიგნი შრ სკოლის მე-4 ჯგ. სახელგამი, 1928 წ. და 4) „ახალი სოფელი“ — სამუშაო წიგნი, შრომის სკოლის მე-3 ჯგ. სახელგამი, 1928 წ.

რას წარმოადგენს ეს სახელმძღვანელოები? რამდენად შეიძლება ამ სახელმძღვანელოების საშუალებით შესრულებულ იქნეს, რასაც მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი პარტია უსახავს სკოლას ამოცანად?

სქოლასტიურ - იდეალისტურ სკოლიდან ჩვენი სკოლა განსაკუთრებით იმით განირჩევა, რომ ის ემყარება მარქსიზმის დებულებას: ადამიანის შრომა - საქმიანობა და საწარმოო ძალთა განვითარება უდევს საფუძვლად საზოგადოების განვითარებას. ამიტომ ადამიანის შრომა - საქმიანობა შრომის სკოლის პროგრამების ცენტრალური თემაა.

სახელმძღვანელო „ჩვენი მხარეს“ ავტორები („მასწავლებელთა ჯგუფი“) ამას არ სცნობენ. მათი აზრით საზოგადოების კულტურული მიღწევები უმთავრესია და პირველად უნდა იქნეს შესწავლილი. მათ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში ჯერ ჩვენი კულტურული დაწესებულებებია შესასწავლ თემად აღებული (გვ. 75,—192), შემდეგ „ჩვენი საქმიანობა“ (გვ. 193—250) თითქოს არა ადამიანის შრომა - საქმიანობა, ე. ი. საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა განსაზღვრავს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას, არამედ პირიქით. საიდან აიღეს ავტორებმა ასეთი „პრინციპი“, ან განათლ. კომისარიატმა როგორ დართო ნება ასეთ „აბრუნდს“.

ეს — წიგნის პრინციპიალური საფუძვლის შესახებ. რას წარმოადგენს წიგნის შინაარსი? აქ უვიცობის და მეშჩანურ, წვრილ - ბურჟუაზიულ იდეოლოგიის დიდი ჭაობია. დავრწმუნდეთ ფაქტებით. წიგნის დასაწყისში არის თემა „ჩვენი ქალაქის მდებარეობა“. ამ საკითხზე ლექსი „დილა თბილისში — (გვ. 7), ასეთ სურათს იძლევა:

„მთის მწვერვალიდან გადმოსხლტა სხივი,
მზემ მიწას მოსდო ოქროს დვედები,
მთის უბით დასწვდა ნიავი ცივი
და აიშალნენ ზღვაზე გედები“..

(ხაზი ჩემია. პ. ა.)

რაღა თქმა უნდა ჭკუამახვილობა სრულიად არ არის საჭირო იმისათვის, რომ შეამჩნიო უკანასკნელი ფრაზის სისულელე: დილით თბილისში... აიშალნენ ზღვაზე გედები“. მაგრამ როგორ უნდა წარმოიდგინონ თბილისი იმ ბავშვებმა, რომლებიც ამ ლექსით ეცნობიან თბილისის მდებარეობას?

ბავშვებმა თბილისის წარსულიც უნდა იცოდნენ. ამიტომ მე-10 გვ. დაბეჭდილია „ლეგენდა თბილისის შესახებ“. აქ აღწერილია, რომ იმ „ადგილას, სადაც თბილისია... საქართველოს მეფე ვახტანგი ნადირობდა ერთხელ და გაჩვეული მიმინო გაუყენა ხოხობს“. ხოხობი წყალში ჩავარდა, მეფემ ის მოხარშული ნახა, მეფემ „უბრძანა გაეკაფათ, გაესწორებიათ ეს ადგილი და შესდგომოდენ სახლების აშენებას. ასე დააფუძნა ვახტანგმა ახალი ქალაქი... თბილისი... რომელიც აღიარებული იქნა დედა-ქალაქად, და მასში იქნა გადმოტანილი სამეფო ტახტი“. ქართული ხომ სამაგალითოა: „მასში (!) იქნა გადმოტანილი“.. მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე საკითხი: როგორ ასწავლის სახელმძღვანელო ქალაქის წარმოშობას? ნუ თუ რაიმე საფუძველს ემყარება ლეგენდა მეფის კეთილი ნების შესახებ? ჩვენ ვიცით, რომ ქალაქების წარმოშობას გარკვეული ეკონომიური სარჩული ჰქონდა; ასევეა თბილისის შესახებაც. თბილისის მდებარეობა მეტად ხელსაყრელია იმისათვის, რომ აქ სავაჭრო ცენტრი. ქალაქი გაეშენებიათ: სხვადასხვა მხარის გზების შეხვედრის ადგილი, მტკვარი, მიმოსვლის და გადაზიდვის კარგი საშუალება, შესანიშნავი ბუნებრივი მდებარეობა მტრებისაგან თავდასაცავად (რგვლივ მთები) და სხვა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა, რომ აქ ქალაქი გაჩენილიყო. ბოლოს და ბოლოს „შემთხვევებს“ ხომ არ უნდა ვასწავლიდეთ სკოლაში ისტორიული განვითარების კანონების ნაცვლად? თუნდაც ყოფილიყო ასეთი „შემთხვევა“, რომ მეფე ნადირობის დროს მოხარშულ ხოხობს წააწყდა და მან გასცა ბრძანება „შესდგომოდნენ სახლების აშენებას“. განა ეს იყო საკმარისი, რომ თბილისი დღევანდელ თბილისად ქცეულიყო? რაღა თქმა უნდა არა. აქ კი ჩვენ ვხედავთ, რომ **საზოგადოების განვითარების მატერიალისტურად ახსნის მაგივრად** (ამას მოითხოვს მაგალითად რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამები — „ქალა, როგორც სავაჭრო ცენტრი“) აღნიშნული სახელმძღვანელო მოზარდ თაობას აწვდის **ლეგენდას მეფის კეთილი გუნების შესახებ.**

თემა „**ჩვენი კულტურული დაწესებულებები**“. მე-77 გვერდზე დაბეჭდილია აკ. წერეთლის „მოგონება“ როგორ სწავლობდა ის მნაზიაში, როგორ აკეთებდნენ „რიზიას“ „პოპეჩიტლები“ და „რევიზორები“, ეკითხებოდნენ მოწაფეებს მაკებზე, ანგელოზებზე, ბოროტ სულებზე და სხვ. როდის იყო ეს ან როის შეიცვალა ასეთი „სწავლა“, — ამაზე ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი.

მე-127 გვ. ისევ „მონება“.

აქ არის მოთხრობილი, რომ მღვდლის შვილი, რომელიც „საშობაოდ“ დაითხოვეს მიდის სოფელში, — სოფლიდან ქალაქში.

„თანდათან მივუახლოვდით ჩვენს სოფელს.. **აგერ ჩვენი საყდარი განმარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდ-მარტო გადმოსცქერია** [illegible] **ხეობას**“. შემდეგ აღწერილია მისი ეზო... „გაბარჯღული **იმედის** [illegible] (! დამამშვენებელი მამულებისა“.. და სხვ. „ყველაზე წინ დედა ჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ“.. შემდეგ „გამიტაცეს სახლში, **სადაც ჩემთვის, როგორც კეისრისათვის, ბუხრის წინ გაემართათ დასაბრძანებელი**“.. მძახემი ფეხზე არ იდგა, სტოლთან იჯდა (!). მე მივედი, ხელზე ვემთხვიე. **იმნ ჯვარი გადამსახა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ“**-ო სთქვა და შუბლზე მაკოცა ასეთი „ლოცვა“ და ასეთი „კურთხევა“ გრძელდება თურმეტ გვერდზე. აღწერილია მარხვისთვის მზადება, მღდლის ლოცვა, წირვა საყდარში, მორწმუნეთა ავტორის თავმოწონებით გასეირნება საყდრისაკენ „კარტუზითი ქუდით“ („**ჩემდა სახახელოდ კარტუზიანი ერთი მარტოკა მე ვიყავი სოფელში, ამით დიდად მომქონდა თავი**“. ცრუმორწმუნეობა: „**ღმერთო და წმინდა ლაშარის ჯვარო, რა იღბლისაც ეს ტყვია არი, სხვანიც ამ იღბლისანი იქნებიანო**“. და ბოლოს საშობაო სადილი მღვდლის ოჯახში, რომელზედაც „რამოდენიმე სხვა სოფლის დარბაისელი კაცი დაეპატიჟნა მამას“ და რომელთა გარდა აქ იყო „დიაკვანიც“. (ხაზგასმული ყველგან ჩვენია. პ. ა.).

მთელ ამ დიაკვნურ ამბავს რა აქვს საერთო ჩვენს სინამდვილესთან? მთელ ამ დიაკვნურ ლოცვა - კურთხევიდან და მეშჩანურ მამლაყინწაობიდან („კარტუზიანი ერთი მარტოკა მე ვიყავი სოფელში, ამით დიდად მომქონდა თავი“) რა უნდა ისწავლოს ჩვენმა ახალმა თაობამ? ვისთვის არის საჭირო ასეთი „ყოფა - ცხოვრება“? თვითეული სიტყვა, რომელიც ამ გრძელ მოთხრობაში (12 გვ.) არის მოყვანილი, **შხამია** იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც ეხლა ჩვენს სკოლებში იზრდება.

შემდეგ ავტორებს შესასწავლათ აუღიათ სტამბა. არის მოთხრობები სადაც ავტორები პირველ რიგში იმას ამჩნევენ, თუ როგორ ეჩქარება შაბათობით მუშებს ავანსის მიღება, რომ როგორ ეჩქარება გავიდნენ სტამბიდან და მივიდნენ იქ, სადაც „უცდიან“ სარდაფში, **საქეიფოდ**. ავტორები ამჩნევენ აგრეთვე, რომ სტამბაში არის ადგილკომი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, თავმჯდომარე „10 საათზე მობრძანდება... **სადაც საჭიროა იქ ხმას არ ამოიღებს, აბა ვნახოთ, დღეს ავანსების მოცემის შესახებ თუ უთხრას გამგეს რამე**“... რაღა თქმა უნდა ავტორები ვერ ამჩნევენ სტამბაში წითელ კუთხეს, კედლის გაზეთს, სამკითხველოს, მით უმეტეს ვერ ამჩნევენ უჯრედს, კომკავშირს და სხვ. ვერ ამჩნევენ აგრეთვე, რომ მუშები დაინტერესებულნი არიან არა შაბათის მოახლოვებით მხოლოდ, არამედ წარმოების ზრდით, შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებით. ისინი „ხედავენ“ მხოლოდ, რომ მუშები ელოდებიან შაბათს, რომ სტამბიდან გავიდნენ და სარდაფში ჩავიდნენ.

ლექსი „სიმღერა ასოთ - ამწყობისა“ ასეთ სურათს იძლევა:

„**მკვდრის სუდარას სახე მიგავს,**
თვალები კი მიმქრალ სანთელს..
...ხერხემალი გაგვიშრა,
მუხლები გვიკანკალებს.. და სხვა.

ეს სურათი პოეტ ევდოშვილის მიერ 20 წლის წინად დახატული მოთავსებულია 1927 წლის სახელმძღვანელოში, როგორც ჩვენი დროის მუშის სახე. მეორე ლექსიც „მეგაზეთის სიმღერა“, ასე ასურათებს:

„**ოფლი მოდის, ოფლი წმინდა შრომისა,**
ოხვრას ვუერთებ კვნესას მოძმისას“...

რისთვის „ოხრავს“, ან რისთვის „კვნესის“ მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატორის დროს? რომელი მუშა „მღერის“ დღეს ასე, როცა მთელი ძალ-ღონე მიმართულია სოციალისტური აღმშენებლობისაკენ, როცა ყოველწლიურად უმჯობესდება მუშათა კლასის მდგომარეობა.

ასეთი სურათი მხოლოდ რეაქციონური ბოდვაა იმათი, ვისაც ჯერ კიდევ მშრომელი ხალხის თავისუფლება ვერ შეუგნია...

მე-188 გვ. არის მოთხრობა „კონცერტი“. მოხუცი — სკრიპკაზე დამკვრელი დგას ქუჩაში. ის მშიერია. მას ფული არა აქვს. მასთან მიდის სამი ახალგაზრდა, ისინი ეხმარებიან მასიმღერას და სკრიპკაზე დაკვრას. ამრიგად ფული შეაგროვეს. გახარებული მოხუცი ეკითხება: ვინ არიან ისინი. — უპასუხებენ: „მე სარწმუნოება ვარ, მე—იმედი, მე კი— მოწყალება“. ეს იყო პარიზის ქუჩაზე. იმისთვის, რომ აუხსნან (როგორ აუხსნან! პ. ა.) რა არის კონცერტი, ავტორებს დაჰყავთ ბავშვები პარიზის ქუჩაზე, თითქოს ჩვენს მუშათა კლუბებში ან თვით სკოლებში არ ეწყობა კონცერტი (რაღა თქმა უნდა არა ასეთი! პ. ა.) იმისთვის კი, რომ აუხსნან მუსიკის მნიშვნელობა, ისინი ამთავრებენ მოთხრობას: „**მე — სარწმუნოება ვარ, მე — იმედი, მე კი — მოწყალება**“. რაღა თქმა უნდა ეს მათი აზრით მეტად დამარწმუნებელია და ამაზე უკეთესად ახსნა არ შეიძლება.

მე-212 გვ. არის ლექსი „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“:

„**ჩანაყვითლი სახე ჩემი ჰგავს ფოთოლსა შემოდგომის,**
ვშრომობ, მაგრამ ეჰ, ვინ არის მადლიერი ჩემი შრომის.
და თქვენ, და თქვენ, სვე—მღვიძარნო, როს იკავებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი **ჰკვდება შრომა - გასაჭირში.**
. . . .
ეჰ, ვის უთხრა ჩემი დარდი, ფიქრი ვილას განუმარტო,
როგორ მარტო გავჩნდი ქვეყნად და ჩავკვდები ისევ მარტო,
ან ვის დავსწყვეტ გულს სიკვდილით ვინ მიტირებს ოხერ მკვდარსა,
მხოლოდ დარდს კი თან წავიღებ, დარდს ჩემს მუდმივ მეგობარსა“.

ასეთ მოტივზე მღერის ავტორების აზრით ჩვენი მშრომელი ქალი. **აქ ყოველი სიტყვა სავსეა ვიწრო მეშჩანური ინდივიდუალიზმით. აქ ყოველი სიტყვა შხამიანი ღვარძლია ჩვენი სინამდვილის წასაბილწავად გადმოღვრილი.** და ეს ეძლევა სკოლას, ამით უნდა აღიზარდოს კომუნიზმისათვის მებრძოლი მოქალაქე. როგორი საშინელი დაცინვაა ამაში ჩვენი **საბჭოთა** შრომის მიმართ...

მე-241 გვ. დაბეჭდილია მოთხრობა „პატარა ვაჭარი“. პატარა ბიჭი ქუჩაში ზონრებს ჰყიდის. როგორც სჩანს ფული ცოტა აიღო და სჩივის, რომ „**ადამიანები, მეტადრე ქალები ძუნწები არიან**“. აი ფილოსოფია. ადამიანები, **მეტადრე ქალები ძუნწები არიან.** ბავშვი მაინც არ ცხრება და გამვლელებს პირდაპირ ცხვირში აჩრის „**ეიბოდ, ხაროში ტისომკი, პარა პეტ კაპეიკ**“. ესეც ენის სიწმინდის საუცხოვო ნიმუში. „კინტოური“ ლექსების ტექსტი არ გეგონოთ. **შრ. სკოლის სახელმძღვანელოს ტექსტია.**

თემა „**სოფელი**“. მე-283 გვ. დაბეჭდილია ლექსი „შრომის შვილი“. ამ ლექსის სტრიქონებიც ისეთივე „მარგალიტებია“, როგორც წინა მოყვანილი ლექსების სტრიქონები. მთელი ეს ლექსი სავსეა ასეთი „მარგალიტებით“.

„შრომობს, მღერის შრომის შვილი,
შრომობს. სიცხით უწუხს გული..

შემდეგ ასეთი ტაეპები:

„**ჰსურს ლილინში მაინც ჩაჰკლას,**
ტანჯვა, კვნესა, სიმწუხარე,
ერთხელ მაინც დაივიწყოს
განუყრელი სევდა მწარე.
შრომობს გლეხი, თან ღიღინებს,—
ნაღვლიან და ოხვრის ხმაზე,
შრომობს, ოფლს ღვრის და ღიღინში.
მოსთქვამს თავის ცხოვრებაზე“.

როდესაც ასეთ სურათს იძლევიან „შრომის შვილის“ სახეს, სად სცხოვრობენ ისინი, ვის ცხოვრებას ხატავენ. ნუ თუ შეიძლება ასეთ ნიღაბახდილ რეაქციონურ სულისკვეთებას ადგილი დაეთმოს სახელმძღვანელოში. საიდან მონახეს მათ ასეთი ლექსები, ნუ თუ მათ ჰგონიათ, რომ ეს შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. ეს არის მათი „ბოდვა“ და სამწუხარო ის არის, რომ ეს „ბოდვა“ გადის მთავლიტის და განსახკომის ბეჭდით.

328 გვ. არის ლექსი „სოფელი“, აქ დაპირდაპირებულია სოფელი და ქალაქი შემდეგი სტრიქონებით:

„**იქ, ქალაქში, სიცრუეა, იქ ბუნებაც მატყუარობს,**
აქ სოფლად კი ედემია, სული ლაღობს, გული ხარობს,
იქ სუყველა გულცივია, იქ ბატონობს ჩოთქი, ადლი,
აქ კი ღვივა მაშვრალთ ქუჩა, აქ შრიალებს შრომის მადლი.

(ხაზი ჩემია პ. ა.)

ასე ესმით სახელმძღვანელოს ავტორებს ქალაქი. სოფლად — ედემია (უსათუოდ ეს სახარების ტერმინოლოგია, ისე არ იქნება. პ. ა.) ქალაქში — სიცრუეა, სოფელში—შრომაა—(„შრომის მადლი“), ქალაქში ადლი და არშინი. აი როგორ ელფერს ღებულობს მათ წარმოდგენაში ჩვენი ინდუსტრიალიზაცია, ჩვენი კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის.

მე-66 გვ. „7 ნოემბერი“ ასე იწყება: დღევანდელ დღეს მთელი ქვეყნის მუშები და გლეხები, **ახალგაზრდობა და პროლეტარული ახალგაზრდობა** (ხაზი ავტორებისაა) ერთად გამოვლენ ქუჩებში მჩაგვრელთა წინააღმდეგ“. **ახალგაზრდობა და პროლეტარული ახალგაზრდობა.** როგორ გავიგოთ ეს? პროლეტარული ახალგაზრდობის გარდა კიდევ სხვა რომელი ახალგაზრდობა გამოდის ქუჩებში საბრძოლველად? რამდენად ვიცით, ბურჟუაზიული ახალგაზრდობა არ გამოდის ქუჩებში მჩაგვრელთა ე. ი. თავის თავის წინააღმდეგ. ეს ავტორებმა არ იციან.

1-ლი და მე-2-ე მაისი. დიდებიდან მაისობა დღეს მიდის ქალაქში მემაწვნე გლეხი თავისი შვილით — ვანოთი... ვანო ხედავს მუშების დემონსტრაციას დროშებით, ბელადების პორტრეტებით. ავტორები ასე ასწერენ ამ სურათს: „წითელი დროშა თავის სოფელშიაც ენახა ვანოს, მაგრამ ესენი უკეთესები იყვნენ, მორთულები, **ხატებიანები**“... აი, აი ერთი **დიდი ხატიცა**, რომელიც მოწიწებით მოჰქონდათ ერთი ჯგუფის წინ. მამა, ხედავ **ხატს** მოასვენებენ. — მიაქცია ვანომ ამ გარემოებას მამის ყურადღება“. და სხვ. (ხაზი ჩემია პ. ა.) **ეს არის ხელოვნურად მოჩმახული საუბარი, აშკარად ბინძური, აშკარად რეაქციონური.**

მთელი წიგნის მანძილზე **უხვად** არის გაბნეული „**ხატი**“, „**ღმერთი**“,— „**უფალი**“, „**ღვთის მშობელი**“, „**წმინდა გიორგი**“, „**ანგელოზი**“, „**ეშმაკი**“, როგორც ჩვეულებრივი თითქოს ბუნებრივი და ნორმალური, გამოთქმები. მე-363 გვ. არის ასეთი მიმართვა: „**გორიჯვარო პატიოსანო, წმინდა გიორგო, ლაზვრით მოსილო, ღვთის მშობელო ქალწულო, ქრისტე მაცხოვარო, თქვენ გვიწინამძღვრეთ, თქვენის მფარველობის ქვეშ შეიფარეთ ჩემი საწყალი თავი და ჩემი პატარა ობლები**“.

ასეთი ვედრება და ლოცვა იშვიათი შემთხვევა არ არის წიგნში. მე შევნიშნე წიგნში განმეორება „ღმერთის“, „უფალის“ 59-ჯერ „კურთხევა“, „ლოცვა“ 19-ჯერ და სხვადასხვა საეკლესიო ტერმინები—ასამდე. ვიმეორებ,— ეს მოყვანილია წიგნში, როგორც წესიერი და დასაშვები საუბარი, რადგანაც არსად არც ერთი სიტყვა ასეთი მიმართვების და გამოთქმების წინააღმდეგ ნათქვამი არ არის.

მეშჩანურ - წვრილ ბურჟუაზიული მიმართვები: ბატონო — ქალბატონო, რომელიც თავადაზნაურულ ყოფის ნაშთია, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება წიგნში.

ეს ერთი სახელმძღვანელო, რომელიც დაბეჭდილია 1927 წელ. ახლა ვნახოთ მეორე სახელმძღვანელო. ამაზე შემდეგ წერილში.

(დასასრული იქნება)

პ. აფხაძე.

წარმოების მტკივნეული საკითხები

უნაყოფო ხარჯებს რკინის გზაზე ბოლო არ ელება.—ახალი წყალსადენის სამუშაოებზე საწარმოო თათბირების მუშაობა გაცხოველდა.—თამბაქოს ტრესტის თანამშრომლებს შენობის სივიწროვის გამო აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა

უნაყოფო ხარჯები

ამის წინად რკ. გზაზე მოხდა მატარებლების კონტროლიორების შტატის შემცირება. შემცირება შეთანხმებული იყო როგორც პროფკავშირთან ისე შრომის დაცვის ორგანოებთანაც. ასე რომ შტატის შემცირების დროს არავითარ შეცდომას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ რა მოხდა? მოხდა ის, რომ დათხოვნილებმა აღძრეს საჩივარი შრომის სასამართლოს წინაშე საქმის გარჩევას კარგა დრო მოუნდა. ბოლოს სასამართლომ უკანონოდ სცნო მათი დათხოვნა და 13 კონტროლიორი აღადგინა სამსახურში გაცდენილი დროის ხელფასის მიცემით. ამგვარად ერთი ადმინისტრატორის დაუდევრობით რკინის გზა იძულებული შეიქმნა გაეღო 7.174 მანეთი.

ს—ძე.

მუშაობა გაცხოველდა

საწარმოო თათბირის მუშაობა თბილისის ახალ წყალსადენის სამუშაოებზე (ნატახტარი) უკანასკნელ ხანებში გაცხოველდა. მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საწ. თათბირის მუშაობაში და ხელს უწყობენ წარმოების რაციონალიზაციას. ამის წინად შესდგა აღნიშნულ საწარმოო თათბირის სხდომა, რომელსაც დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა. თათბირმა განიხილა 7 სხვადასხვა საკითხი. მუშები თავიანთ სიტყვებში მიუთითებდნენ ადმინისტრაციის მრავალ დეფექტებზე და მოითხოვდნენ მომავალში მათ გამოსწორებას.

თათბირზე გამოირკვა, რომ წყალსადენის მუშები ძალიან ხშირად მუშაობენ ზედმეტ საათებში, მაგრამ ამაში ისინი არავითარ ჯილდოს არ ღებულობენ. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია მუშებში. ისინი მოითხოვდნენ ზედმეტ საათების ჯილდოს, მაგრამ სამუშაოზე ადმინისტრაცია ცივ უარზე იდგა. ადმინისტრაციის განცხადებით ზედმეტ საათებში მუშაობა გათვალისწინებულია ახალ კოლხელშეკრულებაში. ეს მართალია, მაგრამ კოლხელშეკრულებაში ეს არ არის და არც შეიძლება იყოს ნათქვამი, რომ ზედმეტ მუშაობისათვის არავითარი ჯილდო არ მიეცესო. ეს გათვალისწინებულია შრომის კანონში, რომელსაც ვერავითარი კოლხელშეკრულება ვერ დაარღვევს.

სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები შრომის კანონების დასაცავად. გარდა ამისა საჭირო საწარმოო თათბირებზე ისმებოდეს ისეთი საკითხები, რომლებსაც აქვთ რამე დამოკიდებულება წარმოებასთან. დღემდე ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ლ. ბურჭულაძე.

საგარეჯოს მუშკომის მუშაობა

საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო და მიწატყის მუშაკთა პროფკავშირი აერთიანებს 170 წევრს აქედან 70 მოჯამაგირეა, დანარჩენი მუშა-მოსამსახურენი და მწყემსები არიან. მუშკომს აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 160 მოჯამაგირე. არის შემთხვევები როცა დამქირავებელი მალავს მოჯამაგირეს და არ ატარებს აღრიცხვაზე. ასეთების წინააღმდეგ მუშკომმა მიიღო საჭირო ზომები; სახალხო სასამართლოს საშუალებით დაჯარიმებული იქნენ ყველა საიდუმლო დამქირავებელნი.

გარდა ამისა, საგარეჯოს მუშკომი აერთიანებს: გარე-კახეთის სატყეო განყოფილებას. უდაბნოს სახ. მამულს, სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობას, თივის დამამზადებელ პუნქტს, მანავის სახ. მამულს და სხვ. აღნიშნულ დაწესებულება-ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთ ჯამაგირები და სპეცტანისამოსი ეძლევათ თავის დროზე. მუშკომის ინიციატივით უდაბნოს სახ. მამულში დაიდგა რადიო მიმღები აპარატი, მოეწყო წითელი კუთხე, გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები და სხვ. მოკლე ხანში გაიხსნება მუშათა კლუბიც.

უდაბნოში დღიურ და სეზონურ მომუშავეთა რიცხვი 120-ამდე აღწევს. მუშებს შორის კულტურული და ორგანიზაციული მუშაობა გაცხოველდა. მუშკომის მითითებით მანავის სახალხო მამულში მოეწყო მუშებისათვის აბანო. საგარეჯოში დაარსებულია აგრონომიული წრე. პროფმოძრაობის შემსწავლელი წრე და „მოჯამაგირის ხმა“-ს მეგობართა წრე. მუშკომთან გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთი „მშრომელთა კავშირი“, რომელშიაც შუქდება კავშირის წევრთა და მოჯამაგირეთა ყოფა-ცხოვრება. ხშირად იწვევა მოჯამაგირეთა კრებები, სადაც ირჩევა სხვადასხვა საკითხები და იკითხება ლექციები.

ა. ბ.

თანამშრომლები ავადმყოფდებიან

(შრომის სახკომისარიატის საყურადღებოთ)

ს.მ.უ.ს. თამბაქოს ტრესტის სამმართველოს შენობა თავის უვარგისობით დიდად აფერხებს სამმართველოს ნორმალურ მუშაობას და ხელს უწყობს თანამშრომლების დაავადმყოფებას.

განსაკუთრებით ცენტრალური ბუხჰალტერიის ბინაში, სადაც თანამშრომლების რიცხვი აღემატება ოთახის სივრცის რაოდენობას, სივიწროვის გამო შეუძლებელი ხდება მუშაობა. ამ ოთახს არსაიდან ჰაერის გასავლელი არა აქვს. ჰაერის გასაწმენდის მოწყობა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. ამასთან ერთად ოთახი სავსეა პაპიროსის ბოლით და ტრესტის შენობის ქვეშ—სარდაფიდან, სადაც თამბაქოს მარაგი ინახება, ამოდის თამბაქოს სუნი. ყველაფერი ეს ძალზე მოქმედობს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ამ ორი წლის წინად აღნიშნული შენობა დაათვალიერა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც სათანადო იარაღით გამოარკვია შენობის მავნებლობა ჯანმრთელობისათვის, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა.

უკანასკნელად ადგილობრივმა შრომის დაცვის კომისიამაც გამოიტანა დადგენილება, რომ გამონახულ იქნას სხვა ადგილი ტრესტისათვის ანდა მოეწყოს ვენტილიაცია, მაგრამ ვენტილიაციის მოწყობა მოუხერხებელი შეიქნა და ტრესტის შენობაც ისევ თავის ადგილას დარჩა.

საჭიროა შრომის სახკომისარიატმა მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს და მიიღოს ზომები, რათა თამბაქოს ტრესტის სამმართველო გადატანილ იქნას სხვა ადგილას.

გ. მთ—შვილი.

მუშაობა ფერხდება

(წერილი ხაშურიდან)

ხაშურის აღმშენებელთა კავშირის ელექტროფიკაციის სამუშაოზე არსებულ საწარმოო ეკონომ. კომისიამ თავის სხდომაზე აღნიშნა ელექტროფიკაციის 1-ლი უბნის მიმდინარე სამუშაოს დამაბრკოლებელი და სხვა ზედმეტი ხარჯების გამომწვევი მიზეზები. სამუშაოზე წყალი არ იშოვება.

ამისათვის გათხრილი იქნა ჭა, რომელიც დაჯდა 400—450 მანეთამდე, მაგრამ ჭა სრულიად უვარგისი გამოდგა, როგორც სასმელად—აგრეთვე აღმშენებლობის მასალისათვისაც. ამგვარად მის გათხრაში დახარჯული თანხა, უნაყოფოდ დაიხარჯა.

კარგა ხანია დაიწყეს ურმებით წყლის ზიდვა, რაც დღიურად 20—25 მანეთი ჯდება. ურმის მოსვლისთანავე მშენებლობაზე მომუშავე 160 მუშა ერთბაშად აწყდება ურმით მოტანილ ბოჭკას და სცდებიან სამუშაოს ერთი და ხშირად ორი საათიც. ეს კი ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

სათანადო ორგანომ დროზე უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

დ. მ.

საშეფო უჯრედი კარგად მუშაობს

(ამ. სტ. სახ. ორთქ. შემკ. ქარხანა)

მიუხედავად საშეფო სოფლის სიშორისა, ორთქლმავლების სამქროს საშეფო უჯრედი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს, როგორც თავის საშეფო სოფელში, ისე საზოგადოების წევრთა შორისაც.

სოფელ მოხისში (გორის მაზრა) შეფუჯრედმა გახსნა კლუბი, სადაც რამდენიმე წარმოდგენა დადგა კიდეც. მოაწყო აგრეთვე სამკითხველო და გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები. ამჟამად შეფბიუროს თაოსნობით და მისი ხელმძღვანელობით, შენდება 25 საჟენიანი ბეტონის ხიდი. ხიდისათვის ცემენტს გლეხები იძენენ, დანარჩენ მასალას კი თვით შეფუჯრედი აძლევს.

სოფელში არსებობდა „ეპო“-ს სავაჭრო, მაგრამ წევრების სიმცირის გამო იგი დაიხურა; შეფუჯრედი ცდილობს ხელმეორედ გახსნას სოფელში კოოპერატიული სავაჭრო.

გარდა ამისა საშეფო უჯრედმა დაარსა სამანქანო ამხანაგობა ღარიბ გლეხებისაგან, მაგრამ სათანადო თანხების უქონლობის გამო ტრაქტორის ყიდვა დღემდე ვერ მოხერხდა. სოფელში გახსნილია წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელსაც გლეხები ძალიან ეტანებიან. მოწყობილია რადიო-მიმღები სადგური, მაგრამ უკანასკნელი, გორის რადიო-ტეხნიკების მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული.

მუშა.

შეიარაღებული თავდასხმა მუშკორზე

ლენინის რაიონის მუშკორთა საერთო კრება

მოვისმინეთ რა ინფორმაციული ცნობა გაზ. „კომუნისტის“ მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ რომელიც ჩაიდინეს გასული წლის 30 სექტემბერს არჩიპე ბახტაძემ და ივ. ბრეგაძემ, ლენინის რაიონის მუშკორთა გაერთიანებული კრება სასტიკად ილაშქრებს ზემოთ-აღნიშნულ ნაძირალების და მოძალადეების წინააღმდეგ.

ჩვენ, ლენინის რაიონის მუშკორებს, ვერ შეგვაშინებენ ბახტაძე-ბრეგაძეები. გასკეცებულ ენერგიით განვაგრძობთ ბრძოლას საბჭოთა აღმშენებლობის და სოციალიზმის ყველა ჯურის მტრებთან. მკვლელები სამაგალითოდ უნდა იქნან გასამართლებულნი ერთ-ერთ მუშათა აუდიტორიაში.

მოკეთე.

თბილისის დეპოს ორთქლმავალთა კომუჯრედის დადგენილება

პარასკევს, 4 იანვარს, თბილისის დეპოს ორთქლმავალთა კომუჯრედის ღია კრებაზე დაისვა საკითხი მუშკორ ამხ. ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. სოლ. დოლიძემ, რის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია. რეზოლუციაში ნათქვამია: „მუშათა კლასი არავის მისცემს ნებას ხელი ახლოს სოციალისტური აღმშენებლობის სადარაჯოზე მდგომ მუშაკებს, როგორიც არიან მუშკორები.

მუშკორები ერთი ხელით ფიზიკურ შრომას ეწევიან, ხოლო მეორეში კალამი უპყრიათ და აღნიშნავენ ჩვენ ნაკლს და შეცდომებს, უმზგავსო ადამიანების უმზგავსო საქციელს.

კრება მოითხოვს ამხ. ვაჩეიშვილზე თავდამსხმელების არჩიპე ბახტაძის და ივ. ბრეგაძის სასტიკად დასჯას. მათი გასამართლება უნდა მოხდეს საჯაროთ ერთ-ერთ მუშათა რაიონში.

ქვილი.

თბილისის საქონლის სადგურის მუშკორთა ხმა

მოვისმინეთ რა ინფორმაციული ცნობა გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორ ამხ. ვაჩეიშვილზე მოკვლის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ, რომელიც მოიმოქმედეს არჩიპე ბახტაძემ და ივ. ბრეგაძემ. ჩვენ, თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველი მუშების მუშკორები, ღრმა აღშფოთებას გამოვსთქვამთ ამ მოძალადეების წინააღმდეგ. კრება ამასთანავე მოითხოვს მათ გასამართლებას საჩვენებელი წესით და სასტიკად დასჯას საბჭოთა კანონების მთელი თავისი სიმკაცრით.

მუშა ბ—ლი.

გაზაფხულის მატყლის კონტრაქტაცია

გაზაფხულის მატყლის დამზადების გეგმის თანახმად მომავალ გაზაფხ. საქართველოში დამზადებული უნდა იქნეს 902 ტონა გაზაფხ. მატყლი. ამ რაოდენობიდან კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნეს 813 ტონა მატყლზე. („მწყემსი“—400 ტონა, „ბირლიკი“—213 ტონა და „თერგის ხევი“—200 ტონა). კონტრაქტაციის მიზანია მატყლის საქონლიანობის გადიდება, მატყლის ხარისხის გაუმჯობესება და ცხვრის უზრუნველყოფა საკვების და სამკურნალო მასალით.

ფუთ ბატკნის მატყლში მეცხვარეებს მიეცემათ ავანსი 7 მანეთის რაოდენობით, ხოლო სხვადასხვა ჯიშის ცხვრის მატყლში 4 მან. და 50 კაპიკიდან 6 მან. 65 კაპიკამდე.

ხელშეკრულების დამდები მეცხვარეები ვალდებული არიან მატყლის მთელი მოსავალი ჩააბარონ მეცხვარეთა ამხანაგობას. თითო სულ ცხვარზე მატყლი უნდა ჩააბარონ ღარიბმა მეცხვარეებმა არა ნაკლებ 0,8 კილოგრამისა და შეძლებულმა მეცხვარეებმა არა ნაკლებ 0,9 კილოგრამისა.

1 კილოგრამ მატყლზე მეცხვარეებს (ღარიბებს) მიეცემათ 2 კილოგრამი, შეძლებულ მეცხვარეებს 1 კილოგრამი ხორბალი. ამ მიზნით გამოყოფილია 55 ვაგონი ხორბალი, რომელიც დარიგებული უნდა იქნეს მთლიანად აპრილის დამლევამდე.

გარდა ხორბლისა, მეცხვარეებს მიეცემათ აგრეთვე ფართალი, როგორც ხორბალი (ან ფქვილი), აგრეთვე ფართალი მეცხვარეებს მიეცემათ ნაღდ ფულზე. კონტრაქტაციის ჩასატარებლათ გადადებულია 338.600 მანეთი.

კონტრაქტაციის ჩატარება მატყლზე დავალებული აქვს სას.-სამ. კოოპერაციას.

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

დღემდის მიღწეული შედეგები

როგორც ვსწერდით, კომკავშირის კულტურული ლაშქრობა ქ. თბილისის რაიონებში პირველ ხანებში ნელი ტემპით მიმდინარეობდა ამ ბოლო დროს ცენტრალური კომისიის მიერ მიღებულ ზომებით, კერძოთ კომკავშირის ქალაქის რაიონში ამ მიმართულებით სათანადო მიღწევებია.

კომკავშირის ქალაქის რაიკომმა მთავარი ყურადღება მიაქცია წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ალკოჰოლიზმთან და უსუფთაობასთან ბრძოლას. ამ მიმართულებით შემდეგი სამუშაო შესრულებულია:

„ზაკვტოპრომტორგის“ უჯრედში მოეწყო ორი ლიკ-სკოლა, ლილების ქარხანასთან დაარსებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინართა წრე, სადაც ასწავლიან 6 წერა-კითხვის უცოდინარს. ქალთა მესამე პროფსკოლამ წერა-კით. სწავლაში ჩააბა 20 წერა-კით. უცოდინარი და დაარსა სამკითხველო. წერა-კით. უცოდინარობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელ რიგ უჯრედებთან ჩამოყალიბებულ იქნა ასეთივე წრეები.

ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტის უჯრედმა წერა-კითხვის შესწავლაში ჩააბა 58 კაცი და მათთვის მოაგროვა საჭირო სასწავლო ნივთები—300-მდე ფანქარი და ამდენივე რვეული.

ამავე უჯრედმა ჩამოაყალიბა „მსუბუქ კავალერიის“ სამი ჯგუფი, რომლებიც უკვე გაემგზავრენ სხვადასხვა ადგილებზე მუშაობის შესამოწმებლად და გლეხობის დასახმარებლად საბჭოთა არჩევნებში. მაგ. ერთი ჯგუფი გაემგზავრა გურიაში, მეორე კახეთში და მესამე აზერბეიჯანში—ქ. განჯაში. კავალერისტები იმუშავებენ თემ-საბჭოებში, სამკითხველოებში, კოოპერატივებში და სხვა დაწესებულებებში.

თეატრებსა და კინოებში მოეწყო და ეწყობა კოლექტიური დასწრება კლუბებში მოეწყო საღამო-წარმოდგენები და სხვ.

ამასთან დაკავშირებით კომკავშირელებმა გააძლიერეს ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. პიონერთა ლაშქრობის გარდა თითქმის ყველა უჯრედებში მოეწყო ექიმების მოხსენებები და საუბრები.

დღეს ქალაქის ყველა უჯრედები ჩაბმული არიან კულტ. მუშაობაში.

მუშ.

სამზადისი კულტურული ლაშქრობისათვის

(წერილი საგარეჯოდან)

კომკავშირის საგარეჯოს სათემო კომიტეტმა განიხილა რა თავის უკანასკნელ სხდომაზე ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის დირექტივა კულტურული ლაშქრობის ჩატარების შესახებ სოფლად, გამოიმუშავა სამისოდ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. შემუშავებული გეგმის მიხედვით დაევალა ადგილობრივ პროფორგანიზაციებს, რათა ნებაყოფლობითი საშუალებით გამოჰყონ ორგანიზ. წევრები რომელთაც დაევალოთ წ.-კით. უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება. დაევალა წერა-კითხვის მცოდნე კომკავშირელებს, რათა თვითეულმა მათგანმა შეასწავლოს წერა-კითხვა თითო უცოდინარ გლეხს. თემკომთან დაარსდა ცალკე კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ინდივიდუალური სწავლების საქმეს თემში. ღარიბ გლეხთა კრებებზე, სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში, პროფ-ორგანიზაციების სხდომებზე, კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებულ კრებებზე ჩატარდება მოხსენება-საუბრები კულტურულ ლაშქრობის მიზნებსა და ამოცანებზე. ამისათვის უკვე გამოყოფილია მომხსენებელთა ხელმძღვანელი კადრი.

პროფორგანიზაციების და კომკავშირის უჯრედებს დაევალათ, რათა მოაწყონ საჯარო საჩვენებელი გასამართლებები იმ ამხანაგების, რომლებიც ცუდათ იქცევიან ოჯახში. ლოთობენ, ჩხუბობენ და სხვ. აღიძრა შუამდგომლობა ადგილობრივ თემ-საბჭოს წინაშე, რათა გამომუშავებულ იქნეს სასადილოებში და სამიკიტნოებში სასმელების ნორმა. ორგანიზაციამ დაადგინა აგრეთვე დაათვალიეროს თემის ყველა დაწესებულებები სანიტარულ მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ თემკომმა სთხოვა თბილისის განათლების განყოფილებას, რათა საგარეჯოს 9 წლედს მიეცეს სასულე ორკესტრი.

ა. ზ.

ქრონიკა

7 იანვარი სამუშაო დღეა

შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, ორშაბათი 7 იანვარი სამუშაო დღეა.

ცვლილებები სპარსეთის საკონსულოებში

თეირანიდან მიღებული ცნობით, სპარსეთის გენერალურ კონსულად თბილისში ინიშნება სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტის ყოფ. დირექტორი ნესირ ულ-მულკ-ფენდერესკი.

ბათომში იხსნება სპარსეთის საკონსულო კონსულად ინიშნება სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოთხე დეპარტამენტის ყოფ. დირექტორი მუაზადი.

ბრძოლა შრომის უშიშროებისათვის

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ტრესტებს, ცალკე წარმოებებს გააძლიერონ მეთვალყურეობა წარმოებებში შრომის უშიშროებისა და სამრეწველო სანიტარული პირობების დაცვაზე. კერძოდ, თამბაქოს ტრესტს წინადადება მიეცა მე-2 თამბაქოს ფაბრიკაში შეუდგეს ვენტილიაციის მოწყობას.

ამასთანავე ტრესტებს წინადადება მიეცათ დაუბრკოლებლივ შეასრულონ შრომის დაცვის საკითხებზე დადებული ხელშეკრულებები.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, მრეწველობაში ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია უნდა დამთავრდეს 15 იანვრამდე.

ავეჯეულობის მაღაზია

ახლო მომავალში თბილისის მუშკოოპი გახსნის ავეჯეულობის მაღაზიას. მაღაზიიდან მუშკოოპის წევრებს ყოველგვარი ავეჯი მიეცემათ ნისიად.

ამჟამად მუშავდება წესი, რომლის მიხედვითაც იწარმოებს საქონლის ნისიად გაცემა.

განზრახულია რაც შეიძლება მარტივი წესის შემუშავება.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ 1000 კომლის დასახლება სოჭის ოლქში. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სახალშენო განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა სოჭის ოლქში დასავლეთ საქართველოდან 1000 კომლის გადასახლების შესახებ.

სოჭის ოლქში დასახლების მსურველთა კონტინგენტის შეკრება დაიწყება ახლო ხანში, ხოლო გადასახლებას და გადასახლებულთა მოწყობას ახალ სამოსახლო რაიონში შეუდგებიან გაზაფხულიდან.

◆ სატაქსაციო ჯგუფების დაბრუნება. თბილისში დაბრუნდნენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მაზრებში დაგზავნილი, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მომწყობი სატაქსაციო ჯგუფები.

სულ წელს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსაწყობათ მუშაობდა 10 ჯგუფი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ პასტერის ქვესადგური. ჯანმრთელობის კომისარიატმა ნება დართო ახალციხის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებას გახსნას პასტერის ქვესადგური, სადაც პირველ დახმარებას აღმოუჩენენ ცოფიანი ცხოველებისაგან დაკბენილ მოქალაქეებს.

◆ ჯანსახკომების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი. ჯანმრთელობის კომისარიატში მოსული ცნობებით, 9 იანვარს მოსკოვში გაიხსნება მოკავშირე რესპუბლიკების ჯანსახკომების სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებათა გამგეების თათბირი. საქართველოს ჯანსახკომიდან თათბირზე მიემგზავრება ამხ. ლ. ნაზარეტიანი.

◆ საქართველოს ექიმთა კონგრესისათვის. საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო იტყობინება, რომ კონგრესზე გამოყოფილი იქნება ტროპიკულ სნეულებათა სპეციალისტების სექცია. სექციაში მუშაობის შესახებ მსურველებმა წინასწარ უნდა აცნობონ საორგანიზაციო ბიუროს.

ს.მ.უ.ს.-ში

◆ ტრესტების საკონტროლო ციფრები. ს.მ.უ. საბჭომ დაამტკიცა ყველა ტრესტების საკონტროლო ციფრები 1928—29 საბიუჯეტო წლისათვის.

◆ ჩათახის მადნების მარაგი. ს.მ.უ. საბჭომ მოსთხოვა სამთო განყოფილებას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მარაგია ჩათახის რაიონში.

◆ სამრეწველო გამომცემლობა. ს.მ.უ. საბჭომ დაადგინა დაარსოს საკუთარი გამომცემლობა ქართულ ენაზე პოპულარული წიგნების გამოსაცემათ მრეწველობის სხვადასხვა საკითხებზე.

სხვადასხვა

◆ უცხოეთის მუშკორთა დელეგაცია. დღეს ბათომიდან თბილისში მოელიან უცხოეთის მუშკორთა დელეგაციას, რომელიც თბილისში დარჩება რამდენიმე საათი და შემდეგ გაემგზავრება მოსკოვისაკენ.

◆ სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის გახსნა. დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახალხო მეურნეობის მუშაკთა საქმიანი კლუბის გახსნა, რომელზედაც შეძლება დასწრება კლუბის საწევრო წიგნაკებით.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი გამოცემანი: რედაქციამ მიიღო უნივერსიტეტის შემდეგი ახალი გამოცემანი: არნ. ჩიქობავა—პარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგი—ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი. დოც. ალ. წერეთელი—ძველი აღმოსავლეთი, ნაწ. 1. მიხ. ზანდუკელი—თერგდალეულნი და ხალხოსნები ჩვენს ლიტერატურაში და მიხ. გოგიბერიძე—მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე.

◆ ფიზკულტურის მასწავლებელთა კონფერენცია. ფიზკულტურის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 29 დეკემბრისათვის, გადადებულია 7 იანვრისათვის (განათლების მუშაკთა სახლში, საღამოს 6 საათზე). დღის წესრიგი რჩება ძველი. კონფერენციის პირველ სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე განათლების სექციის მთელი შემადგენლობა. კონფერენციას უნდა დაესწრონ აგრეთვე სკოლის გამგეები და სასკოლო ექიმები.

◆ საქართველოს მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში, კვირას, 6 იანვარს, დილის 10 საათზე, მთიელთა საბავშო სახლის საკრებულოში მოწვეულია თბილისში მყოფ სვანთა კრება.

შეცდომის გასწორება

ამხ. ს. მამულიას წერილში „თათბირი კულტურული მშენებლობის საკითხებზე“ რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, შემდეგი კორექტურული შეცდომები გაიპარა: მეორე სვეტის მეორე აბზაცის ბოლოში სწერია—„...დასასვენებელი დღეები, სახელმწიფო სოციალისტური დაზღვევა, საკრედიტო და სხ. მკურნალობა“, უნდა იყოს—„...სოციალური დაზღვევა საკურორტო და სხვ. მკურნალობა“; მეხუთე სვეტის პირველი აბზაცის ბოლოში სწერია: „სკოლამ ჩვენ უნდა გვაძლიოს სისტემატიურად სოციალიზმის მშენებელთა და ამ სოციალიზმის ხელმძღვანელთა ახალი კადრები“. უნდა იყოს: „სოციალიზმის მშენებელთა და ამ მშენებლობის ხელმძღვანელთა ახალი კადრები“.

სამტრედიის და ნავთლუღის საცივრების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სატრანსპორტო ინსპექციამ ამიერ-კავკ. რკინის გზების სახელმწიფო ფინკონტროლთან ერთად მოახდინა სამტრედიის და ნავთლუღის საცივრების მშენებლობის სარევიზიო გამოკვლევა.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობის საგზაო განყოფილება საკმაო მეთვალყურეობას ვერ უწევდა საამშენებლო სამუშაოებს. რევიზიის მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეფექტები აღმოჩენილია სამტრედიის საცივრის მშენებლობაში, სადაც საცივრის საამშენებლო სამუშაოების ყოფ. უფროსის ინჟ. გეინმანის ბოროტი უთადარიგობის წყალობით რკინის გზამ იზარალა 135.000 მანეთი.

მასალების ხარჯვისადმი უთადარიგო მოპყრობა, რომელსაც არ მოყოლია ასეთი მძიმე შედეგები აღმოჩენილია აგრეთვე ნავთლუღის საცივრის მშენებლობაში. ასე, მაგალითად, იქ იყო შემთხვევა, როდესაც ფული გადაიხადეს ფაქტიურად შეუსრულებელ სამუშაოში.

რევიზიის თანახმად, ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა რა ინჟ. გეინმანის მიერ დაშვებული უთადარიგობა და საქმისადმი გულგრილი მოპყრობა, აუცილებლად სცნო მისი პასუხისგებაში მიცემა; მთელი სარევიზიო მასალა გადაეცა იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოებს.

კოლეგიამ აღნიშნა უყურადღებობა მშენებლობისადმი გზათა განყოფილების მხრიდან, რომელმაც არ მიიღო ზომები უსარგებლო ხარჯების დროზე შესაწყვეტად, და წინადადება მისცა ამიერ-კავკ. რკინისგზების გამგეობას მიუთითოს გზათა განყოფილებას და საგეგმო-საკონტროლო განყოფილებას იმაზე, რომ აუცილებელია უფრო გულდასმით იქნეს გახილული აღმშენებლობის ხარჯთაღრიცხვები და ყურადღება მიექცეს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის შერჩევას.

ამასთანავე გზების გამგეობას წინადადება მიეცა ფხიზელი თვალყური ადევნოს საცივრების მშენებლობას და თავის დროზე მიიღოს ზომები, რომ ადგილი არ ექნეს უთადარიგობას და სხვა საამშენებლო დეფექტებს.

ხელოვნება

სახ. ოპერის აბონენტთა კონფერენციის რეზოლუცია

1929 წლის 4 იანვარს, თბილისის სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრის აბონენტთა კონფერენციამ, თეატრის დირექტორის ამხ. ლ. ს. ჯაფარიძისა და სამხატვრო ნაწილის გამგის ნ. ნ. ბოგოლიუბოვის მოხსენებათა გამო, მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრის აბონენტთა კონფერენციამ, მოისმინა რა ლ. ს. ჯაფარიძისა და ნ. ნ. ბოგოლიუბოვის მოხსენებები, აღნიშნა 1928—29 წლის სეზონში თეატრის დიდი მხატვრული და საორგანიზაციო მიღწევები. კონფერენციამ კმაყოფილება გამოსთქვა დადგმული წარმოდგენებით. მან გამოსთქვა სურვილი, რომ შეძლებისდაგვარად, აბონენტებს წინდაწინვე გაეგებინოს ის [illegible] და [illegible], რომელთა ჩვენებაც [illegible]. ამასთან ერთად კონფერენცია [illegible], რომ მომავალ [illegible] ახალ ფორმებში ჩამოყალიბებული ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.

კონფერენცია კმაყოფილებას გამოსთქვამს მასიურ მაყურებელთან კონტაქტის დასამყარებლად დირექციის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და კონფერენციის მოწვევის გამო. ამასთან კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია, რომ თეატრთან ახლად შემდგარ სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოში ადგილი დაეთმოს მუშათა ფართო წარმომადგენლობას“.

ხელოვნების ქრონიკა

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრის მიწვევა მოსკოვში

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრმა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხების ხელოვნებათა შემსწავლელი კომიტეტისაგან მიიღო მიწვევა მოსკოვში გასტროლების გამართვის შესახებ.

ქუთაის-ბათომის თეატრის გასტროლები მოსკოვში უნდა დაიწყოს მაისის პირველი რიცხვებიდან. თეატრს თან გაჰყვება რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

◆ კომკავშირელ მწერალთა წრეში. კვირას, 6 იანვარს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი კრება, რომელზედაც ამხ. დ. რონდელი წაიკითხავს მოხსენებას კინოს საკითხებზე.

◆ დღეს, 6 იანვარს მოზარდ მაყურებელთა სახ. თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „რობინ ჰუდ“.

◆ მომღერალთა გუნდების შეჯიბრება. სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს გადაწყვეტილებით მაისის 1-ლ რიცხვებში თბილისში გაიმართება საქართველოში არსებულ მომღერალთა გუნდების შეჯიბრება.

შეცდომის გასწორება

სახკომსაბჭოსა და ეკონომიური საბჭოს დადგენილებაში სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტი“-ს 5 იანვრის ნომერში, გაპარულია შემდეგი შეცდომები:

I. სოფლის მეურნეობა

მე-3 მუხლში დაბეჭდილია: „ისე რომ საერთო მოსავალი 1929 წელს, 1926 წელთან შედარებით გადიდდეს 19 პროცენტით“.

უნდა იყოს: „ისე რომ საერთო მოსავალი 1929 წელს, 1926 წელთან შედარებით გადიდდეს 10 პროცენტით, ხოლო 1928 წელთან შედარებით კი 19 პროცენტით“.

II. მრეწველობა

მე-7 მუხლში დაბეჭდილია: „რათა სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ“,

უნდა იყოს: „ხოლო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ“

III. შრომა

მე-11 მუხლში დაბეჭდილია: „დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოსთან ერთად“,

უნდა იყოს: „დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან ერთად“.

IV. ვაჭრობა

მე-3 მუხლში დაბეჭდილია: „საერთო საშუამავლო საქონლის ბრუნვა გაიზარდა 10,9 პროცენტით, ამასთან სახკომსაბჭოში ეს ბრუნვა გაიზარდა 10 პროცენტით“.

უნდა იყოს: „საერთო საშუამავლო საქონლის ბრუნვა გაიზრდება 10,9 პროცენტით, ამასთან სახვაჭრობაში ეს ბრუნვა გაიზრდება 10 პროცენტით“.

იქვე დაბეჭდილია: „ხოლო კერძო ვაჭრობაში შემცირდა 8 პროცენტით“.

უნდა იყოს: „ხოლო კერძო ვაჭრობაში შემცირდება 8 პროცენტით“.

ორშაბათს, 7 იანვარს საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

I. კომუნალური—მუშათა თეატრში (ჟორესის ქ.)

დღის წესრიგი:

1. კომუნალურ დარგებზე მიმაგრებულ კომისიების საანგარიშო მოხსენების გაგრძელება.
2. მიმდინარე საკითხები.

II. სახალხო განათლების—განათლების მუშათა სახლში.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ფიზკულტურის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

III. სახალხო ჯანმრთელობის—მთავარ საავადმყოფოს კლუბში (ყ. მიხეილის საავადმყოფო) პლეხანოვის პრ. № 58.

დღის წესრიგი:

1. ჯანმრთელობის განყოფ. 1928-29 წლ. ბიუჯეტის განხილვა.
2. ინფორმ. მოხს. ბავშთა ავადმყოფ. მიმდ. შესახებ.

IV. მუშათა და გლეხთა ინსპექციის—საბჭოს წითელ დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. კამათის გაგრძელება ტრამვაელთათვის აგებულ სახლის შესახებ მოსმენილ მოხსენების გარშემო.
2. მიმდინარე საკითხები.

V. საფინანსო-სამრეწველო — საბჭოს შენობა, ოთახი № 40.

დღის წესრიგი:

1. თბილისში სავაჭრო ბრუნვის და მასში კერძოკაპიტალის მონაწილეობის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

VI. სავაჭრო-კოოპერატიული—საბჭოს შენობა, ოთახ. № 32.

დღის წესრიგი:

1. აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილების საანგარიშო მოხსენება 1927-28 წ. ჩატარებულ მუშაობის შესახებ.
2. ამავე განყოფილების მოხსენება კერძო ვაჭრების ხელში მანუფაქტურის გადასვლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესახებ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ქართული მხატვრული პროზა 1928 წელში*)

(მიმოხილვის მაგიერ)

აკაკი პაპავა რეალისტი მწერალია. ხშირად ეს რეალიზმი უხეშ ნატურალიზმში გადადის, ე. ი. მხატვრულ შემოქმედებაში გადამუშავებულ სურათების მაგივრად ფოტოგრაფიულ სურათებს გვაძლევს იმისა, რაც არის და რაც უნახავს. ფოტოგრაფობაც ცხადია კარგია თავის ადგილას, მაგრამ ხელოვნება არ არის იგი. ფოტოგრაფი სხვა არის და მხატვარი, ხელოვანი კი სულ სხვა. მოთხრობა „სპირიდონის გასაჭირი“ ვერ ასცილებია ამ ნაკლს. ფოტოგრაფიული გადაღებანი იმისა, რაც ავტორს უნახავს და სმენია ხშირია ამ მოთხრობაში. ეს ნაკლი მოთხრობას უკარგავს ნაწილობრივ მხატვრულ ნაწარმოების სახეს; ადგილ-ადგილ მოთხრობაში კარგი მხატვრული ადგილებიც არის. მეორე ნაკლი, რომელიც ამ მოთხრობას თან ახლავს, ეს ის არის, რომ მოთხრობა ძალიან გაგრძელებულია. „სპირიდონის გასაჭირი“ არ არის ეკონომიურად გაკეთებული. ბევრია მოთხრობაში ზედმეტი ადგილები, მთელი ეპიზოდები; მათი ამოკლება თუ ხელს შეუწყობდა, თორემ არაფრით ავნებდა მოთხრობას. საქმე იმაშია, რომ მოთხრობის ღერძი ძალიან მარტივია და უბრალო. მოთხრობის გაშლა არ მოითხოვდა ამდენ ფურცლებს. მოთხრობა მოიგებდა, რომ იგი ნახევრით მაინც იყოს შემოკლებული. სიდიდით „სპირიდონის გასაჭირი“ რომანს მოგვაგონებს, მაგრამ რომანი მოითხოვს ძირითადი თემის რაც შეიძლება ღრმა და ფართო განვითარებას და გაშლას. „სპირიდონის გასაჭირი“ რომანი არ არის. ის ზედმეტად არა ეკონომიურად გაზრდილი მოთხრობაა. უსამართლობა იქნებოდა ხაზი არ გაგვესვა იმ გარემოებისათვის, რომ აკაკი პაპავას კარგი ენა აქვს. კარგი ვამბობთ იმიტომ, რომ ეს ენა სადაა, მარტივი, ყოველგვარ ხელოვნურ პათოსს და პოზას მოკლებული. ამავე დროს, სადაც ავტორი ფოტოგრაფობას თავს აღწევს, ეს ენა მეტად მხატვრულია. პაპავა ფართო მასებისათვის გასაგები ენით სწერს, ნოვატორობას არ იჩემებს. შეიძლება არც არის ეს ამ საქმეში მაინც და მაინც საჭირო. აკაკი პაპავა გიორგი წერეთელის, ნინოშვილის და ლალიონის სკოლის წარმომადგენელია... მოთხრობის მთავარი გმირი, სპირიდონი, კარგად არის დახატული, მხატვრულად, ცოცხლად, მაგრამ დიტო და ასმათი უსიცოცხლოდ არიან გამოყვანილი. განსაკუთრებით დიტო—რაღაც უსიცოცხლო და უხერხემლო-მანეკენს მოგვაგონებს უფრო მეტად, ვიდრე ცოცხალ ადამიანს და ისიც რევოლიუციონერს... კარგია მოქეიფე ჯვები და სპირიდონის ზოგიერთი მეზობლები. საერთოდ მოთხრობის თემის და სამოქმედო ასპარეზის გაშლის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ უკვე მოსაწყენი და მოსაბეზრიც ხდება ის ამბავი, რომ ქართველ მწერალთა უმრავლესობა იწურება — რევოლიუციამდე არსებულ ეპოქით. რევოლიუცია რაღაც გარდაუვალ კლდეთ გადაქცეულა მათთვის. პაპავაც ვერ სცილდება ამ კლდეს. მოთხრობა ძველი დროის ეპოქას ეკუთვნის. საერთოდ უნდა ითქვას: წარსული ეპოქით რომ დააინტერესო მკითხველი, ღირებულების მქონე ნაწარმოები შექმნა—საჭიროა დიდი ნიჭის პატრონობა. ხელოვნება ისტორია არ არის, ყოველ შემთხვევაში არა მარტო ისტორიაა ის: მთავარი მასში სხვა რამეა. ის ნაწარმოები, რომელსაც მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, სხვას არაფერს ეუბნება დღევანდელს მის მკითხველს, გარდა იმისა, რომ აცნობს ძველ დროს, ასეთი ნაწარმოები უკვე მხატვრულიც არ არის დღევანდელ დღეისათვის. აკაკი პაპავა არ არის ისეთი დიდი მწერალი—ჯერ-ჯერობით მაინც, — რომ წარსულ დროის ისეთი მონუმენტალური ასახვა მოგვცეს, რომ ეპოქას გადააბიჯოს. ასეთი დიდი მწერალი არ არის პაპავა და საშიშია თუ კი მან დროზე—დღევანდელ დროის ყოფა-ცხოვრების ეპიზოდებს არ მოჰკიდა ხელი—დღევანდელი დროის წვრილმანიც კი საინტერესოა, რადგან ახალია და საჭირბოროტო — ცხოველმყოფელია. — ის აუცილებლივ დავიწყებული იქნება მკითხველი მას დაივიწყებს. ცოდვა კი იქნება, რადგან აკაკი პაპავა დასაკარგი მწერალი არ არის.

* * *

ელიზბარ პოლუმორდვინოვი. ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა უკანასკნელ ხანებამდე უმთავრესად ლექსით ამოიწურებოდა. პროლეტარულ მწერალთა ძველ თაობას არ მოუცია არც ერთი პროზაული ნაწარმოები. ამის ერთი მიზეზთაგანი ის იყო, რომ ლექსით უფრო ადვილად ხერხდება ყოველ დღიურობაზე პასუხის გაცემა და თავის დროზე, ვიდრე მოთხრობით და განსაკუთრებით რომანით. რომანის შექმნას დიდი დაკვირვება უნდა, ბევრი და ხანგრძლივი განცდა, მას უნდა დრო და მეცადინეობა და... ცოდნაც... ლექსი კი უფრო წუთიერ განწყობილების ნაყოფია. ნიჭის მქონე პოეტს ლექსი შეუძლია რამოდენიმე საათში დასწეროს, რომანი კი თვეებს და ხშირად მეტ დროსაც მოითხოვს. პროლეტარულ მწერლობის ძველი თაობა ლიტერატურულ სამუშაოზე მაშინ გამოვიდა, როდესაც ჩვენი ცხოვრება სამოქალაქო ომის დუღილში იყო მომწყვდეული. მდგომარეობა მაშინ მოითხოვდა — ყველასაგან—პოეტებისაგანაც — ყოველდღიურ საკითხებზე საჩქაროდ და თავის დროზე პასუხის გაცემას; პლაკატური და საგიტაციო შემოქმედება ყველაზედ უკეთ ასრულებდა ამ დავალებას. პროლეტარული მწერლებიც ამ გზით მიდიოდნენ... ასე იყო რუსეთში, ასე იყო ჩვენშიაც. მდგომარეობის შეცვლამ — რევოლიუციის განვითარება ახალ საფეხურზე შესდგა — ნეპი — მოთხოვნილებაც სხვაგვარი წარუდგინა მწერლობას. საჭირო შეიქნა ხელოვნების უფრო ფართო ტილოები, საჭირო შეიქნა ეპოქის მნიშვნელოვან ეპიზოდების მხატვრული გაშუქება: არა მარტო წუთიერი განცდათა ასახვა—არამედ მასების ხანგრძლივი ბრძოლების პირობების მხატვრულად დახატვა, ახალი და ძველი ყოფა-ცხოვრებათა ბრძოლა — ახალ და შეცვლილ პირობებში. საჭირო შეიქნა ბელეტრისტიკა — რომანი. მწერლობამაც იწყო სათანადო შემოტრიალება. ლექსი შეიცვალა პროზით, მოთხრობით, რომანით. გამოჩნდა არა მარტო ახალი მწერლები პროზაიკები, არამედ მელექსეებმაც შესცვალეს ნაწილობრივ მაინც—თავისი კალამი პროზაზე. ასე იყო რუსეთში, ასე მოხდა ჩვენშიაც. პროლეტარული მწერლობაც ვერ ასცდებოდა, ცხადია, ამ პროცესს. აქ გამოირკვა ერთი რამ: მოთხრობის და მით უფრო რომანის შექმნა გაცილებით უფრო ძნელი და მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე გარითმული და გარიტმული სიტყვების ლექსათ აწყობა... ამიტომ არ არის სრულებითაც გასაკვირი ის ფაქტი, რომ საქართველოს გასაბჭოების მერვე წელზე ჩვენ კიდევ არა გვაქვს არც ერთი რევოლიუციონური რომანი. („ჯაყოს ხიზნებიც“ არ ჩაითვლება, ცხადია, ასეთად). პროლეტარიატით ღარიბ და ნაციონალიზმის შხამით საკმაოთ მოწამლულ ინტელიგენციის ქვეყანაში, არც თუ ისე ადვილი საქმე შეიქნა პროლეტარული ბელეტრისტიკის შექმნა, მაგრამ მდგომარეობა მაინც მოითხოვდა მწერალთა ყურადღებას ხელოვნების ამ ფრონტისაკენ; სიძნელე კიდევ არ ნიშნავს შეუძლებლობას, რადგან სიძნელეც შეიძლება დაძლეულ იქნას.

და აი, აქ უნდა ითქვას, რომ პროლეტარულ მწერლებში პროზის ლიანდაგზე გადასვლის ცდაში, ამ რთულ სიძნელეთა დაძლევაში, ყველაზე უფრო ნაყოფიერი ელიზბარ პოლუმორდვინოვი შეიქნა... ცხადია, ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ პოლუმორდვინოვმა დიდ გამარჯვებებს მიაღწია. დიდი გამარჯვებები ბელეტრისტიკაში — რევოლიუციის სარგებლიანობის თვალთახედვით — საქართველოში ჯერ არავის ჰქონია... მაგრამ ის მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლებიც უთუოდ აქვს პოლუმორდვინოვის მუშაობას ქართულ პროზაში დასაფასებელია და აღსანიშნავი. არ უნდა დავივიწყოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ პოლუმორდვინოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ის ყოველდღიურად იზრდება როგორც მწერალი. მის ნაწერებს პროგრესის ნიშანი აზის; ის წინ მიდის; ეს ბევრს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი დღევანდელი ნაწერებიც ბევრ ნაკლს ატარებენ პროლეტარულ მწერლებში მას, როგორც პროზით მწერალს, უთუოდ პირველი ადგილი უკავია.

მოთხრობა „შაშმილარს“ თან ახლავს პოლუმორდვინოვის ყველა უარყოფითი და დადებითი თვისებები როგორც მწერლის. პატარაა ეს მოთხრობა. მისი თემა საინტერესოა. ახალი და ძველი სვანეთი. ძველი სვანეთი ყოფა-ცხოვრებაში ჯერ კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ახალი. პირველი შეტაკებები ამ ფრონტზე ბათირის დამარცხებით თავდება. ბათირი კი ახალი სვანეთის შვილია. ხვალინდელი დღე კი მისია, რადგან ხვალინდელი დღე ახალი სვანეთისაა. პირველი დამარცხება — ხალხმა დაამსხვრია რადიო — ცხადია არ არის უკანასკნელიც. დამარცხება კიდევ იქნება, ბრძოლებიც მძიმე, მაგრამ დამარცხებებს გამარჯვებებიც მოჰყვება... „შაშმილარ“ მხოლოდ ნაწყვეტია იმ დიად პროცესისა, რომელსაც ქვეყნის შექმნა ეწოდება. ჩამორჩენილ კუთხეში ხდება პოლუმორდვინოვის მოთხრობაში —ეს ამბავი—ახლისა და ძველის ბრძოლისა. ცხადია, მეტი სიმახინჯით და ტკივილებით ტარდება იგი აქ... მოთხრობას არ აკლია საჭირო სიმკვირცხლე და სიცოცხლე. ენა სადაა და უბრალო, გასაგები, მაგრამ მხატვრული სიძლიერე აკლია მას. ეს კი მთავარია. პოლუმორდვინოვმა—ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, ბევრი უნდა იკითხოს მხატვრული ენის ოსტატები, ცხოვრებას კიდევ უფრო უნდა გაეცნოს. ნახტომებს, არაგაზომილს და სახიფათოს, ის არ აკეთებს—ამ მხრივ ის დაზღვეულია კისრის მოტეხისაგან. ის ჯერ არ ჰკიდებს ხელს რომანების წერას — ეს კარგი ნიშანია: მოთხრობებში საჭირო გამარჯვებით—რომანისაკენ. დრო, რევოლიუცია და მხატვრული ნიჭი დაკავშირებით საჭირო ცოდნასთან და ჰორიზონტის გაფართოებასთან—მოგვცემენ საინტერესო მწერალ პოლუმორდვინოვს.

* * *

კონსტანტინე ლორთქიფანიძეც მუშაობს პროზაზე. მან დასწერა დიდი მოთხრობა „ხავსი“. „პროლეტარულ მწერლობის“ №№ 7 და 8 მოთავსებულია „ნაწყვეტები რომანიდან“. (სხვათა შორის ძალიან გახშირდა „რომანებიდან ნაწყვეტების“ ბეჭდვა; ჩვენის აზრით რაღაც არა ლამაზი გამოდის ეს ჩვეულება. საკუთარ რეკლამად ხომ არ სჭირდებათ იგი მწერლებს? რადგან ხშირი შემთხვევაა: წააწყდებით სადმე ასეთ ნაწყვეტს „რომანიდან“—შემდეგ წლები გადიან და რომანი კი არსად სჩანს). უნდა ითქვას: კ. ლორთქიფანიძე გაცილებით უფრო ძლიერია ლექსებში, ვიდრე პროზაში. ჩვენ არ გვინდა ამით იმის თქმა, რომ ლორთქიფანიძის პროზა უვარგისია .არა. მას შეუძლია პროზითაც წერა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ პირველხარისხოვანი (დღევანდელობაში) პოეტი, ასეთი არ არის პროზაში. მისი პროზა ძალზე მშრალია და პროტოკოლური. არ ვარგა მაგალითად ასეთი მხატვრული პროზა:

„მარჯვენა ჯიბიდან ყველასათვის ხელის მომმართველი, თუ მარცხენა ჯიბე უფრო გრძნობს ყველასაგან გამორჩენილ ოქროს სიმძიმეს. ქველმოქმედი, როცა გავლენიან, მისთვის გამოსადეგ მედროვეს ჩაკეტილ კართა გაღებაა საჭირო“.

არ არის ეს მხატვრული პროზა. ან და ძალიან მდარე ღირსებისაა იგი. „ნაწყვეტი“ ასე იწყება და თავიდანვე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს. კარგი ადგილებიც არის ნაწყვეტებში, მოხდენილი გამოთქმებიც. საკვირველიც იქნებოდა, რომ ასეთები არ შეგვხვდეს კ. ლორთქიფანიძის ნაწერში. კარგია ქალაქის თავის ბარნაბას გასეირნება ეტლით ქალაქ კობაში და მისი სალამი შემხდურებთან. ვფიქრობთ ლორთქიფანიძე არ დაგვატყუილებს და ნაწყვეტების გარდა მალე თვით რომანსაც ვიხილავთ. ქართული პროლეტარული პროზა (და განა მარტო პროლეტარული?) მეტის მეტად ღარიბია. კ. ლორთქიფანიძის ცდა იმუშაოს ამ დარგში—მისასალმებელია. დიდი მიღწევები მას ჯერ ამ დარგში არა აქვს. მაგრამ მომავალი მის ხელშია. მხატვრული უნარიანობა წერისა მას არ აკლია და გამარჯვება უარსაყოფი არ არის.

* * *

ქართველ ახალგაზრდა ბელეტრისტებში განსაკუთრებული ადგილი უკავია **სტეფანე კასრაძეს.** დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც კასრაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და მიუხედავად ამისა მან მოახერხა საკუთარი ადგილის დაკავება ქართულ პროზაში. ორიგინალობა არ აკლია კასრაძეს მხატვრულ ხერხს. ეს ორიგინალობა არ არის მოდური“, რაც დრო გადის, მით უფრო ბუნებრივი ხდება ეს მისი ორიგინალობა. კასრაძის პირველ მოთხრობას აფუჭებდა ენის ბუნდოვანობა; მის ქართული არ იყო საკმაოდ დამუშული მწერალის მიერ. ეტყობოდა, რომ ენა არ ემორჩილებოდა მას საკმაოდ. ამიტომ ხშირი იყო მის პირველ მოთხრობებში უხერხული გამოთქმები, უშნო მიხვრა-მოხვრა წინადადებების. ხანდახან გრამატიკული შეცდომებიც. მისი უკანასკნელი მოთხრობები „მეჯინიბე“ და „მებადურთ უბანი“ ნათლად მოწმობენ, რომ ახალგაზრდა მწერალმა უკვე დაიმორჩილა ენა. მოთხრობების სიტყვა საკმაოდ მოძრავი და სიცოცხლით სავსეა. კასრაძეს უყვარს მოკლე ფრაზა. მაგრამ მოკლე ფრაზა ბუნებრიობას აკარგავს ოდნავათაც; ეს იმას ნიშნავს, რომ გამოყვანილ გმირებს სწორედ ასეთი ენა ეხერხებათ. მოთხრობის მთელ კონსტრუქციასთან და მთელ პირთან შესაფერისია ეს და ამიტომ ხელოვნურობის ბეჭედი არ აზის მას... მკითხველი თავიდანვე გრძნობს, რომ ფარნას, კობას, ბათურიას—მხოლოდ ამ ენით ეხერხებათ ლაპარაკი, რომლითაც მათ ამეტყველებს ავტორი. ზოგიერთი სხვა მწერალიც ხმარობს მოკლე ლაკონიურ წინადადებებს, მაგრამ უშნო და არა ბუნებრივი გამოდის ეს ენა. რატომ? იმიტომ, რომ ეს ენა მომქმედ პირების ენა კი არ არის, არამედ ავტორის მიერ ხელოვნურად გაკეთებული. ასეთ წინადადებებით არავინ ლაპარაკობს და არავინ აზროვნობს. რამოდენიმეთ ასეთი ენით არის შესრულებული „ფალესტრა“. კასრაძე საერთოდ ერიდება საზეიმო გამოთქმებს, რთულ კომპოზიციას ერიდება; უფრო მარტივი და სადა ხაზები უყვარს, მისი გმირებიც არ არიან რთული ხასიათის პატრონები. ეს არ უშლის მათ ხელს ცოცხლები იყვნენ. ეს კი მთავარია. ხშირად მწერალი ცდილობს გაართულოს თავისი გმირის ხასიათი,—შედეგად მანეკენი და უსიცოცხლო ფიგურა გამოდის. კობა, ბათურია, ფარნა, მაგდანა ზედმიწევნით ცოცხალი ტიპებია. კასრაძეს განსაკუთრებით ეხერხება ქალაქის განაპირა მცხოვრებთა ასახვა. ეტყობა ის კარგად იცნობს ქალაქის გარე უბნებს. მისი ხშირი გმირები მეჯინიბენი, შოფერები, მეეზოვენი, მებადურები, სწორედ იმ სოციალურ ფენის ადამიანები, რომლებიც სოფელს დასცილებიან, მაგრამ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნულ ცხოვრებას ჯერ კიდევ არ ჩაბმიან. კასრაძე ცდილობს ამ პატარა ადამიანთა ცხოვრებაში მონახოს დიდი საკითხები. მებადურთა უბანი, სწორედ ასეთ საკითხზე აშენებული — პატარა ადამიანები დიდ რევოლიუციაში. კასრაძის სამოქმედო ტილოს შესახებ უნდა ითქვას, რომ ის ჯერ კიდევ ვერ [illegible] ფართო ხაზებით ხატვას. მისი გმირები არ არიან მოცემულნი—ყოველმხრივად გაშუქებული. კასრაძე ერიდება ადამიანების ფსიხოლოგიაში ღრმად ჩახედვას, ერიდება თუ ეშინია ამ ფსიხოლოგიის ფართოდ გაშლა. ამიტომ არის, რომ მისი გმირები ნაწყვეტ-ნაწყვეტად არიან მოცემული; მთლიანად განვითარებულ ტიპის დახატვა კასრაძეს ჯერ ვერ გაუბედავს. ერთი რამ კიდევ უნდა ითქვას კასრაძის შემოქმედების შესახებ: ჩვენი რევოლიუციის საკითხებს რატომღაც ის ემალება. მართალია ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დროის პირობებში ვითარდება მოთხრობა „მეჯინიბე“, მაგრამ კასრაძე ცდილობს ისეთ პირობებში განავითაროს თავისი მოთხრობა, რომლებშიაც რევოლიუციას ნაკლებად შეუშუქებია ჯერ. კასრაძე ისეთ ადამიანებს გვიხატავს, რომელთაც ცხოვრება ფაქტიურად და უმთავრესში რევოლიუციის გარეთ მიმდინარეობს. მიუხედავათ ამისა, სტეფანე კასრაძის ახალი მოთხრობები ნათლად ლაპარაკობენ ავტორის წინსვლაზე. ქართველი მკითხველი მხოლოდ სიხარულით შეხვდება ამ ფაქტს. სტეფანე კასრაძე ნიჭიერი მწერალია და მისი გამარჯვება ქართული პროზის მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნება.

* * *

ლეო ქიაჩელის ორი მოთხრობა „თავადის ქალი მაია“ („არიფიონი“) და „ალმასგირ კიბულან“ (ქართული მწერლობა № 10,11) გამოცდილი ბელეტრისტის ხელით არის შესრულებული. განსაკუთრებული სიძლიერით არის დაწერილი პატარა მოთხრობა „ალმასგირ კიბულან“. ეს მესამე მოთხრობაა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ამ წლის განმავლობაში სვანების ცხოვრებიდან და უნდა ვთქვათ: იგი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ელიზბარ პოლუმორდვინოვის „შამილარ“. და მით უფრო ხანოვანის „სამართალს სისხლით მოვძებნი“. მთელი მოთხრობა იმ დაგვარად არის დაწერილი, რომ ტრაღედიის აჩრდილი თავს დასტრიალებს დაწყებიდანვე მკითხველს. ღევი ადამიანები—ალმასგირ კიბულან და მისი ახალგაზრდა ვაჟი გივერგი — ილუპებიან გაგიჟებულ მდინარეში—მდინარესთან ბრძოლაში. გივერგილის დაღუპვა და ალმასგირის გოდება ნინოშვილის პალიასტომის ტბაზე მომხდარ საშინელ ტრაღედიის სიძლიერით არის მოცემული. მოთხრობა „თავადის ქალი მაია“ ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, როგორც პირველი მოთხრობა, მაგრამ ისიც უთუოდ ნიჭიერად არის დაწერილი. მიზეზი იმისა, რომ „თავადის ქალი მაია“ ვერ სტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ჰქმნის „ალმასგირ კიბულან“, სხვათა შორის. იმაშიაც მდგომარეობს, რომ ამ მოთხრობაში ავტორს განზრახული აქვს ადამიანის ტრაღედია მოგვცეს — პირუტყვული სიყვარულის საფუძველზე, გარდა ამისა ეს ადამიანი, რომლის „ტრაღედია“ ახატული ჰყავს ქიაჩელს, არის თავადის ქალი მაია, ძველი ქვეყნის შვილი, რომელიც სიკვდილის უკანასკნელ წუთებშიაც ძველი ბრწყინვალე საქართველოს შვილად რჩება... ცხადია ასეთი ადამიანის ტანჯვა ვერ ჰქმნის დღევანდელ მკითხველისათვის მისახვედრ და გასაგებ ტრაღედიას, მით უმეტეს როდესაც საფუძველი ამ ტრაღედიისა პირუტყვული სიყვარულია. უთუოდ ძლიერი ხასიათის მქონეა ეს თავადის ქალი მაია, მას აქვს დიდი ნებისყოფა საკუთარ თავის ხელში დაჭერისა. ამ მხრივ ის ძალიან წააგავს ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ მოთხრობათა ძველ ქართველ თავადებს.. ვიმეორებთ, მოთხრობა ძლიერათაა დაწერილი, მაგრამ სათანადო შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, იმიტომ რომ საფუძვლად მას უძევს უკვე დრომოჭმული, ჩვენთვის ოდნავადაც არასაინტერესო ადამიანთა ბრძოლა, ტანჯვა და წუხილი. ლეო ქიაჩელი სამართლიანად იკავებს მნიშვნელოვან ადგილს ქართულ ლიტერატურაში.

* * *

ამით ვათავებთ ჩვენ ქართულ 1928 წლის პროზის მიმოხილვას. ჩვენ აქ არ შევეხეთ ზოგიერთ ქართველ პროზაიკების ნაწერებს, კერძოთ ნიკო ლორთქიფანიძეს; მწერალს, რომელსაც აუცილებლად მთავარი ადგილი უჭირავს დღევანდელ ქართულ პროზაში. არ შევეხეთ იმიტომ, რომ მისი მთავარი ნაწარმოები — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ცხადია, შესაძლო იყო ბევრი თქმა იმ თავების მიხედვითაც, რომლებიც უკვე დაიბეჭდა „მნათობის“ მეცხრე და მეათე ნომრებში. ასე მოვიქეცით, მაგალითად, ჩვენ ზოგიერთ სხვა ნაწერების მიმართ. მაგრამ სჯობს დაუცადოთ რომანის დამთავრებას, საქმე იმაშია, რომ „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ — ნიკო ლორთქიფანიძესათვის ძველად უჩვეულო —რევოლიუციონურ შინაარსზე არის მთლიანად აგებული. ჩვენ არ ვიცით სად გაჩერდება ავტორი. ეგებ მოხდეს და 1917 წლის რევოლიუციის კედლებიც გადმოლახოს; მით უფრო საინტერესო იქნება რომანი. ჩვენ არ გვავიწყდება ის ფაქტიც, რომ გამოჩენილმა ქართველმა ბელეტრისტმა ნიკო ლორთქიფანიძემ დიდი ხნის სიჩუმე დაარღვია სწორედ ამ რომანით. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ცალკე გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება ნაწარმოების დამთავრებისას. მხოლოდ ამ იმედით არ შევჩერდით ჩვენ ლორთქიფანიძის ახალ ნაწერებზე ამ მიმოხილვაში, თორემ ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ გადმოსვლა დიდათ საყურადღებო მოვლენაა.

სხვა ქართველ მწერლების წლევანდელ ნაწარმოებში ჩვენ საყურადღებო ვერაფერი ვნახეთ. ჩვენი დასკვნა ასეთია: გასული წელი არ იყო მდიდარი მნიშვნელოვანი ნაწერებით (მხედველობაში არა გვაქვს „ბილიკებიდან ლიანდაგზე“), მაგრამ არც სულ ღარიბი იყო იგი. მხატვრული პროზა თანდათან იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს ქართულ ლიტერატურაში. ლექსი კვლავ სჯობნის მას, მაგრამ უკვე ვერ „იჯაბნებს“ ძველებურად. ეტყობა პროზისადმი ინტერესი იზრდება და ღრმავდება არა მარტო მკითხველებში, არამედ თვით მწერლებშიაც. ეს კარგი მოვლენაა. იგი ბევრ რამეს ამბობს: კერძოდ იმას, რომ მხატვრული პროზა მალე დაიმკვიდრებს სათანადო ადგილს, როგორც გამარჯვებული, ჩვენს ლიტერატურაში. ცხადია ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთი დღევანდელი პროზის მწერალთ თავისთავად ჩამოსცილდებიან არა მარტო პროზას, არამედ საერთოდ მხატვრულ სიტყვის სამსახურს. სამაგიეროდ სხვები გაიზრდებიან და მართლაც მტკიცე საფუძვლად გაუხდებიან — ნინოშვილის, ყაზბეგის, წერეთლის და კლდიაშვილის — ქართულ მხატვრულ ენას, რევოლიუციის საქმეებით ალაპარაკებულს.

ვალ. [illegible]

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 3.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

რაზე დაიხარჯა ნახევარი მილიონი მანეთი

აგებული 7 სახლი ხელახლა ასაგებია

გასულ წელს დაიწყეს ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის 7 საცხოვრებელი სახლის აგება. გეგმის თანახმად სახლების აგება უნდა დაესრულებინათ 1928 წლის შემოდგომისათვის და ამავე ხნიდან მუშები უნდა ჩასახლებიათ ახალ ბინებში.

გასულ ოქტომბერში ს. მ. . საბჭომ დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მიეღო ეს სახლები და ჩაესახლებია იქ მუშები, კომისიამ აღმოაჩინა შემდეგი:

აშენებული 7 სახლიდან არც ერთი არ შეეფერება თავის დანიშნულებას, რადგან ახლად აგებული სახლები ეხლავე საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას. სახურავები ვერ ფარავს სახლს წვიმისაგან, ფანჯრების ჩარჩოები დაგრეხილ - დამსკდარია, იატაკი ფიცრებს შორის თავისუფლად ჩვარდება კაცის ფეხი, კედლები დამსკდარია და სხვა. კომისიამ ყველაფერი ამის შესახებ დასწერა შესაფერი აქტი და საქმეს მიეცა შესაფერი მსვლელობა.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სახლი საცხოვრებლად არ ვარგოდა, მუშებს ისე უჭირდათ უბინაობით, რომ გადასწყდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, მუშები მაინც ჩაესახლებიათ ახალ ბინებში.

ტყიბულის მაღაროებში საბინაო მშენებლობის გამოკვლევა მოახდინა ა.-კ. ფინსახკომის ფინკონტროლის წარმომადგენელმაც, რომლის დასკვნის თანახმადაც ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის ახალი საბინაო მშენებლობა უწარმოებიათ ყოვლად დაუდევრად, უფლებების ბოროტად გამოყენებით, ადგილი ჰქონია სამუშაოს ხელმძღვანელის გულგრილობას.

ს. მ. უ. ს. სარევიზიო განყოფილების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამაც ანალოგიური დასკვნები მოგვცა. ვინ ხელმძღვანელობდა ტყიბულში დაწყებულ საბინაო მშენებლობას? — ინჟ. პ. მოლჩანოვი. რას აკეთებდა ის? მოლჩანოვი აწარმოებდა თავის უფლებებს, პირადი ინიციატივით სდებდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან წარმოებისათვის და აღმშენებლობისათვის მკაფიოდ საზარალო ხელშეკრულებებს, გაჰქონდა თითქოს საალმშენებლო სამუშაოების შესასრულებლად ავანსები, საიდანაც თანხებს ხმარობდა პირადი საჭიროებისათვის, ეწეოდა უსაქმოო ხარჯებს და სხვა. დასასრულ ამ ქუბარმა „სპეცმა“ მოახერხა მიეღო სხვადასხვა საშუალებებით 1.327 მან. და სამსახურიდან მოხსნის შემდეგ, ეს თანხაც მიისაკუთრა.

მეორეს მხრივ გამოკვლევამ გამოარკვია, რომ მაღაროების ბუხჰალტერიაში მეტად არეული ყოფილა დავთრები. ბუხჰალტერიას არ აქვს ცნობები ვისზე რამდენი ავანსი ირიცხება, რამდენმა გაამართლა ე. წ. ანგარიშ ქვეშ წაღებული თანხები. ასე მაგალითად, 433 ცალი საანგარიშო დოკუმენტიდან 244 ცალს არავითარი გასამართლებელი საბუთები არა აქვს დართული. თვითონ ბუხჰალტერი ჯვარიშეიშვილიც არ ჩამორჩენია მოლჩანოვს და „ავანსის“ სახით გაუქაფავს 250 მანეთი. ერთი სიტყვით, ბუხჰალტერია ისე არეულდარეული აღმოჩნდა, რომ საჭიროა მთელი განვლილი ორი წლის მუშაობის ხელახლა გადაშინჯვა - გადამუშავება.

გამოკვლევის შედეგებზე მოხსენების მოსმენის შემდეგ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება რომლითაც სამთო მრეწველობის ტრესტს წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს მაღაროების ბუხჰალტერია, მოახდინოს აგებული სახლების შეკეთება, შეადგინოს ტექნიკური ხარჯთ - აღრიცხვა, რომ გამორკვეულ იქნეს ტყიბულის მშენებლობაზე დახარჯული ზედმეტი თანხების რაოდენობა. პასუხისგებაში იქნეს მიცემული ინჟ. პ. მოლჩანოვი 1.327 მან. 96 კაპ. წაღების და აქედან გასამართლებელი საბუთების წარმოუდგენლობისათვის. პასუხისგებაში იქნენ მიცემული მაღაროების ყოფილი უფროსი ბუხჰალტერები: **ჯვარიშეიშვილი, ჟორჟოლიძე და მოსტიცკი.** ტყიბულის მაღაროების მმართველს ამხ. კვანტალიანს გამოეცხადა გაფრთხილება, ხოლო სამთო ტრესტის მთ. ბუხჰალტერს ზაიცს გამოეცხადა საყვედური ტყიბულის ბუხჰალტერიაში საქმის დაყენების შესაფერი ხელმძღვანელობის გაუწევლობისათვის.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია, ავღნიშნო, რომ ახალ აღმშენებლობის წარმოების პერიოდში საზოგადოთ ნაკლები ყურადღება ექცევა ეგრედ წოდებულ მიმდინარე კონტროლს. გათავდება მუშაობა, მოვახდენთ გამოკვლევას და გამოირკვევა, რომ დეფექტებს ადგილი ჰქონიათ. მე ვფიქრობ, რომ მუშაობის გათავების შემდეგ ძებნა, თუ ვინ რამდენი შეჭამა, ან გაფლანგა და დამნაშავის პასუხის გებაში მიცემა ჩვენ ვერ მოგვცემს დადებით შედეგს. აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ყოველდღიური კონტროლის წარმოება, რომ შემდეგ ადგილი აღარ ექნეს ტყიბულის მსგავს მაგალითებს.

ტყიბულის ამბავი საგულისხმოა, 7 სახლის აგება სახელმწიფოს დაუჯდა ნახევარ მილიონამდე და შედეგი არ მიგვიღია დახარჯული თანხის ნახევრის ღირებულებისაც. კიდევ ხარჯების გაწევაა საჭირო, რომ სახლები, მართლაც სახლებს დაემსგავსონ.

ნიკ.

რატომ არის ძვირი აგური?

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივების თანახმად მიმდინარე წელში აღმშენებლობა უნდა გაიაფებულ იქნას 15 პროც.

ამ წერილში მინდა შევეხო აგურს, რასაც მშენებლობის საერთო ღირებულებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. აგურის ხვედრითი წონა შეადგენს აღმშენებლობაში საშუალოდ 11 პროცენტს. საქართველოს მშენებლობას აგურს აწვდის უმთავრესად თბილისის აღმასკომის აგურის ქარხნები, რომლებიც წლიურად ამზადებენ 25 მილიონ ცალ აგურს. ეს რაოდენობა მთლიანად აკმაყოფილებს ჯერ-ჯერობით თბილისის მოთხოვნილებას. ნაწილი ქალაქს გარეთაც მიდის.

რომ მთლიანად შესრულებული იქნას მთავრობის დირექტივა საალმშენებლო მასალებზე ფასების შემცირების შესახებ, ცხადია, ეს შემცირება უნდა შეეხოს აგურსაც. სინამდვილეში კი ჩვენ სხვას ვხედავთ: აგურის ქარხნების სამმართველო ჯერ-კიდევ 1927-28 წლის მეორე ნახევრის დასაწყისიდან აყენებს საკითხს აგურზე არსებულ ფასების გადიდების შესახებ, რასაც ასაბუთებს თვითღირებულების გაზრდით და ქარხნების დეფიციტიანობით. მთელ რიგ კომისიების საშუალებით დადასტურებულია, რომ უკანასკნელ წელში აგურის ქარხნები მართლაც ზარალობენ.

აგურის გასაყიდი ფასი ამჟამად 1.000 ცალზე დაწესებულია პირველ ხარისხისათვის 30 მან, ხოლო მეორე ხარისხის აგურზე 26 მანეთი, რაც საშუალოთ შეადგენს ათას ცალზე 29 მან. 60 კ. ეს ფასები დაწესებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წლის 1 ივნისიდან და მას შემდეგ უცვლელათ რჩება. იმ დროს ასეთი ფასები შეფარდებული იყო აგურის თვითღირებულებასთან, ქარხნები არ ზარალობდნენ, პირიქით მოგებასაც ღებულობდნენ — 1000 ცალ აგურზე 6 კაპიკს. 1927-28 სამეურნეო წელში მდგომარეობა იცვლება. აგურზე დაწესებული ფასები ველარ ფარავს თვითღირებულებას, რადგან თვალსაჩინოთ იზრდება ზოგიერთი ქარხნების ხარჯები. ეს გამოწვეია შემდეგ მიზეზებმა: აგურის წარმოება ცნობილ იქნა არასეზონურ ხასიათის წარმოებათ. რის გამო მუშებს ეძლევა უამინდობის გამო გაცდენილი დღეების ხელფასი, გადიდებულ იქნა სოციალურ დაზღვევის ანარიცხები 17,2 პროცენტიდან 21,5 პროცენტამდე.

1927-28 წლის პირველ 9 თვეში 1000 ც. აგურის თვითღირებულება საშუალოდ გაიზარდა 1 მან. და 30 კაპეიკით, ხოლო მთელი წლის საშუალო თვითღირებულება კიდევ უფრო მეტით, ვინაიდან ხარჯების ზრდა მოხდა უმთავრესად წლის მეორე ნახევარში.

ადგილი აქვს შეუსაბამობას თვითღირებულებისა და გასაყიდ ფასებს შორის — თვითღირებულება მატულობს, გასაყიდი ფასები კი წინააღმდეგ — კლებულობს, რადგან ამას მოითხოვს ვაჭრობის კომისარიატი.

ამნაირად აგურის ქარხნებმა 1927-28 წელში იზარალეს რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი.

ქარხნების დეფიციტის მიზეზი არ არის მარტო ზემოდასახელებული გარემოება. მიზეზი უმთავრესად თვითწარმოების მოუწესრიგებლობაში უნდა ვეძიოთ. შესაძლებელია ფასების შემცირება გატარდეს ცხოვრებაში და ეს არ იწვევდეს ზარალს.

თბილისის აგურის ქარხნებში ადგილი აქვს დღეების სადაჭარბებულ გაცდენას, თუ ცოტადენი წვიმიანი დღეა ან სუსტი ქარი ჰქრის, მუშები სწყვეტენ საქმეს და ადმინისტრაციას მაინც უხდება ხელფასის გაცემა. მუშების სხვა სამუშაოზე გამოყენება არ ხდება, ვინაიდან ყოველ ასეთ შემთხვევების დროს არ მოიპოვება დახურულ შენობაში სამუშევარი.

გასულ სამეურნეო წელში გაცდენილ დღეების არაჩვეულებრივ სიმრავლის გამო თვით მუშები წავიდნენ დათმობაზე და განაცდენ დღეებში ღებულობდნენ საშუალო ხელფასის 50 პროც.-ს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაცდენილ დღეების ხელფასის სახით გაცემული თანხა შეადგენს საერთო სამუშაო ხელფასის ფონდის 18 პროც.-ს, ამრიგად ფაქტიურად გაცდენილი დღეები შეადგენენ 36 პროც.

თბილისი თავისი კლიმატიური პირობებით წვიმიან ქალაქად არ ითვლება. გაცდენილი დღეების ასეთი დიდი პროცენტი აიხსნება შრომის დისციპლინის დაცემით აგურის ქარხნებში.

საჭიროა კულტურული მუშაობის გაძლიერება მუშებს შორის და საწარმოო თათბირების გამოცოცხლება.

აღმშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა აგურის ქარხნების მუშებს.

პროფკავშირის გამგეობამ უნდა გამოასწოროს ეს დეფექტები და უფრო მჭიდრო კავშირი დაიკავოს აგურის ქარხნების მუშებთან.

მეორე, კიდევ უფრო სერიოზული და მტკივნეული საკითხი არის სამუშაო ნორმების განსაზღვრის საკითხი. არსებული ნორმები დაწესებულია 1922-23 წელში, როცა ქარხნების მუშაობა ვერ იყო სათანადოთ დაყენებული, არ იყო საკმაოთ გამოკვლეული მუშების შრომის ნაყოფიერება და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა პირველად დაწესებული ნორმები ჩათვლილიყო მტკიცე და საბოლოო ნორმებათ. მიუხედავად ამისა, ეს ნორმები მთელი 6 წლის განმავლობაში უცვლელად რჩება.

გამომუშავების არსებული ნორმები გაცილებით ჩამორჩება რეალურ შრომის ნაყოფიერებას, რაც არა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. შრომის ნაყოფიერება მუშებში ბუნებრივად სისტემატიურად უნდა იზრდებოდეს და, როგორც სჩანს, კიდეც იზრდება, მაგრამ ეს ზრდა უნდა ემყარებოდეს პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებას, რასაც ვერ ვამჩნევთ თბილისის აგურის ქარხნებში.

აღმშენებლობის გაიაფების საკითხი უშუალოდ ებჯინება აგურის წარმოების მოწესრიგების საკითხს. ეს არ უნდა გაუშვან მხედველობიდან სათანადო სამეურნეო ორგანოებმა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებმა. თბილისის აგურის ქარხნების მუშაობა უნდა მოწესრიგებულ იქნას.

თ. თიკანაძე.

მოწმობა, მოწმობა, მოწმობა...

ბიუროკრატიზმი მარტო ცენტრალური დაწესებულებების სენი არ არის. პროვინციის მცხოვრები არანაკლებ გრძნობს ადგილობრივ ორგანოების უხეირო მუშაობას წყალობით ბიუროკრატიზმის მავნე შედეგებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწმობების საქმის მოუწესრიგებლობა. სოფელში ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველ საქმის დაწესებისათვის საჭიროა მოწმობა. გინდათ საქმე სამუშაო, უნდა აიღოთ პირადობის მოწმობა, სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მოწმობა იმის შესახებ, თუ რამდენი სული გყავთ სარჩენი და სხვა. თუ გლეხს ოჯახის წევრი მოუკვდა, საჭიროა მოწმობა, ცოლი შეირთო — მოწმობა, შვილი შეეძინა — მოწმობა, შემდეგ ყოველთვე მოწმობა, რომ ბავში ცოცხალია. ერთ მოქალაქეს წელიწადში დაახლოებით 10-15 მოწმობა დასჭირდება.

ბავშის სკოლაში ჩასარიცხავად საჭიროა მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, სწავლის ფულის გადახდის დროს საჭიროა მოწმობა იმის შესახებ, თუ რამდენი გაქვთ შეწერილი სახ.-სამ. გადასახადი.

გაზაფხულზე თვითეულ ოჯახს ტყიდან ფიჩხის ამ წნელის გამოტანის მოწმობა სჭირდება, შემოდგომაზე შეშის მოწმობა, ხის ანუ სხვა სააღმშენებლო მასალების გამოტანის მოწმობა, ამას გარდა საჭიროა საქონლის ყიდვა-გაყიდვის მოწმობა, საქონლის დაზღვევის მოწმობა, საქონლის სიკვდილის შემთხვევაში — მოწმობა და ასე დაუსრულებლად.

სოფლის მრავალი დაწესებულება იმდენად დატვირთულია ასეთი კანცელიარშჩინით, რომ ყოველივე მოთხოვნილების დროზე შესრულებას ვერ ასწრებს.

არის შემთხვევა, როცა თემაღმასკომის აპარატი ვერ ახერხებს თავის დროზე სხვადასხვა სამეურნეო და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

საჭიროა იმ არევ-დარევას და უწესობას, რომელსაც ადგილი აქვს მოწმობების გაცემის დარგში, ბოლო მოეღოს. ბიუროკრატიზმი იკვებება არა მარტო დაუდევრობით, არამედ ჩვენი მუშაობის სისტემის მოუწესრიგებლობით.

ნოე გიგინავა.

რა მოხდა „საქართველოს ღვინო“-ში

„საქართველოს ღვინო“ საკმაოდ ცნობილი სამეურნეო ორგანიზაციაა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მევენახეობა - მეღვინეობის განვითარების საქმე დიდათ განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ნორმალურად იმუშავებს ეს ორგანიზაცია. ის აერთიანებს რამოდენიმე ათასეულ მევენახე გლეხს, „საქართველოს ღვინო“-ში ასობით ირიცხება მუშა-მოსამსახურეები.

პირველ წლებში ეს ორგანიზაცია დიდად მოიკოჭლებდა. ცუდათ იყო დაყენებული ღვინის შეძენის, დამუშავება-გასაღების საქმე. არ იყო მოწესრიგებული დამოკიდებულება სხვა სამეურნეო ორგანოებთან, რის გამო „საქართველოს ღვინო“ მუდამ ვალებში იყო. მაგალითად, 1927 წელში, როდესაც მოხდა გამგეობის მორიგი არჩევნები, ახალმა გამგეობამ მემკვიდრეობით მიიღო 3 ათასამდე ვედრო ღვინო და 200.000 მანეთამდე ვალი. ახალი გამგეობა ენერგიულად შეუდგა საქმეს. დაუღალავად მუშაობდა „საქართველოს ღვინო“-ს მთელი შტატი. ამან გამოიღო თავისი ნაყოფი. წარმოებამ არა თუ დასძლია მრავალი ძველი ტკივილები, არამედ 300.000 მანეთის მოგებითაც დაასრულა სამეურნეო წელი.

ეს მეტად საგულისხმო მოვლენაა. მოგებით მომუშავე სამეურნეო ორგანიზაცია ყოველგვარი წახალისებისა და ხელის შეწყობის ღირსია. სასურველი და საქმისათვის სასარგებლოც იყო, რომ „საქართველოს ღვინო“-ს შესაფერისად აღენიშნა ეს თავისი, უთუოდ, მნიშვნელოვანი მიღწევა. გამგეობაც ამ აზრის დაადგა. მაგრამ, საუბედუროდ, მან თავიდანვე დიდი შეცდომა დაუშვა. იმის მაგივრად, რომ მოგების ერთი ნაწილი გადადებული ყოფილიყო მუშების საერთო საქმის გაუმჯობესებაზე, იმის მაგივრად, რომ მოეწყოთ, ვთქვათ ბავშვთა ბაგები, შეექმნათ ამავე წარმოების მუშებისათვის კულტურულად დასვენების მეტი შესაძლებლობანი და სხვა, გამგეობა წავიდა, ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ნაკლებად დასაშვები გზით.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებით, გამოვიდა გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც შეჰპირდა დამსწრეთ, რომ მადლობის ნიშნად, ენერგიული მუშაობისათვის „საქართველოს ღვინო“-ს მუშა - მოსამსახურეებს მოგებიდან დაურიგდებათ ჯილდო, თვითეულს თითო თვის ჯამაგირი...

გავიდა ერთი კვირა, კვირას მოჰყვა თვეები და გამგეობა არავითარ ნიშანს არ იძლეოდა იმის შესახებ, რომ ის დაპირებას შეასრულებს. ამავე დროს მუშა-მოსამსახურეებში შეიქნა მითქმა-მოთქმა. ვიღაცა ვიღაცას ეჩურჩულებოდა, სადღაც რაღაცაზე სჩიოდნენ საეჭვო კომბინაციების შესახებ, რომელსაც თითქოს ადგილი ქონდა „საქართველოს ღვინო“-ს გამგეობაში. გამგეობა კი თავსაც არ იცხელებდა იმისათვის, რომ დაინტერესებულიყო მუშებში შექმნილ განწყობილებით და აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გამოეტანა.

პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციაც, მაინცა და მაინც არ ჩქარობდა. პირიქით, ადგილკომის თავმჯდომარე ყოველ ნაირად ცდილობდა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ ჩაეჩუმებია ისინი, ვინც დაინტერესებული იყო საქმის ნამდვილი ვითარებით. ბევრი ადგილკომის თავმჯდომარის ამგვარ საეჭვო პოზიციას სხვადასხვანაირად ხსნიდა, მაგრამ რაკი საბუთები არ იყო, მითქმა-მოთქმა მითქმა-მოთქმადვე რჩებოდა.

ასეთი მდგომარეობა დიდი ხანი ვერ გაგრძელდებოდა. საჭირო იყო ატმოსფერის გაწმენდა, ყოველგვარი ეჭვების საბოლოოდ გაფანტვა. და აი, მუშათა ერთმა ჯგუფმა დასვა საკითხი საერთო კრებაზე იმის შესახებ, რომ გამორკვეული ყოფილიყო, თუ რა მდგომარეობაშია საკითხი გამგეობის დაპირების შესრულების შესახებ. საზოგადო კრებამ ამოირჩია სამი მუშა, რომელთაც დაავალა საკითხის გაცნობა და მოხსენების გაკეთება მუშა-მოსამსახურეთათვის. ამასთანავე კრებამ დააკისრა ამორჩეულებს შეემოწმებიათ, თუ რამდენად მართალია ხმები იმის შესახებ, თითქოს დაპირებული ჯილდო მიიღო „საქართველოს ღვინო“-ს კანტორის პერსონალმა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი საგულისხმო დეტალი. კრებას, სადაც არჩეული იყო სამი კაცი საკითხის გამოსარკვევად, დაესწრო გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფორაქიშვილიც, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკითხის განხილვაში და ცდილობდა დაერწმუნებინა დამსწრენი, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს ჯილდო მიიღო კანტორის მუშაკების ერთმა ნაწილმა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. კრებამ მაინც საჭიროდ სცნო კომისიის არჩევა.

არჩეულ პირებმა დაიწყეს მუშაობა. პირველ ყოვლისა მიაკითხეს ბუხჰალტერიას, მაგრამ ხან ბუხჰალტერი თბილისში არ იყო და ამიტომ კანტორამ „ვერ მისცა“ საზოგადო კრების რწმუნებულებს საჭირო ცნობა, ხან დრო არ ჰქონდათ და სხვ. ხუთჯერ სცადეს, „ზედი“ კომისიის წევრებმა, ხუთჯერ უარით გაისტუმრეს ისინი. ბოლოს, როდესაც მოთმინება დაკარგულ მუშებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს, ბუხჰალტერიამ მაინც არ მისცა მათ ცნობა და გაგზავნა ისინი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ფორაქიშვილთან. მიმართეს ფორაქიშვილს. ეს უკანასკნელი არ სცნობს ზეპირ განცხადებას. თქვენ საერთო კრების რწმუნებული ხართ? გაკვირვებით იკითხა მან, თითქოს პირველად ესმის ამ საქმის შესახებ და არც საერთო კრების დადგენილების შესახებ იცის რამე, იმ კრების, სადაც თვითონ გამოდიოდა აქტიურად. მობრძანდით ამონაწერი კრების ოქმიდან და შემდეგ ვილაპარაკოთ. მართალია, არჩეული პირები აღაშფოთა ამგვარ ჩინოვნიკურ, ცინიკურ პასუხმა, მაგრამ მათ მაინც მოთმინება არჩიეს, მით უფრო, არც თუ ისე ძნელი საქმე იყო ოქმიდან ამონაწერის მიღება.

ისინი მაშინვე გაემართნენ ადგილკომისკენ. აბა, გეთაყვა, მიმართეს მათ ადგილკომის თავმჯდომარეს საქმე გაჯიჯანჯლეს, მოგვეცი ამონაწერი ოქმიდან.

ადგილკომის თავმჯდომარე გიორგი სამადაშვილი არც ისე წინდაუხედავი კაცია, რომ ასე თავისუფლად არიგოს მან ოქმიდან ამონაწერები. ამიტომ სამადაშვილმა მთელი ადგილკომის ავტორიტეტი მოიშველია. ადგილკომის დადგენილებით ეს საკითხი ამოწურულია, განაცხადა მან. რაღა საჭიროა ლაპარაკი ოქმიდან ამონაწერზე?

კი მაგრამ, საერთო კრების დადგენილება?.. ადგილკომი ხომ ემორჩილება საერთო კრებას?.. უპასუხებდნენ მას ერთი-მეორეზე ამორჩეული მუშები. მაგრამ სამადაშვილი ურყევია, როგორც სალი კლდე. არ მოგცემთ და გათავდა...

წადით ეხლა და შეასრულეთ საერთო კრების დავალება! ფორაქიშვილი ითხოვს ქაღალდს, რა უყოთ, რომ თვითონ დაესწრო კრებას, ქაღალდი ყველაზე უმალ და შემდეგ საზოგადო კრება. ადგილკომი არ იძლევა ამ თილისმა ქაღალდს. არ იციან ფორაქიშვილმა ან სამადაშვილმა წინასწარ მოილაპარაკეს თუ არა ასეთი ფანდის მოწყობის შესახებ, ხოლო ფაქტი კი ფაქტად რჩება. საზოგადო კრების დადგენილება აბუჩად იქნა აგდებული და საშუალება ესპობოდა მუშებს, რომ გამოერკვიათ საქმის ნამდვილი ვითარება. ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ეჭვები უფრო გაიზარდა. ამრიგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ გამგეობის თავმჯდომარის დაპირება ერთი თვის ჯილდოს [illegible] შესახებ [illegible]. ვიმეორებთ, ამით ჩვენ [illegible] ასეთი თქმა არ გვინდა, რომ „საქართველოს ღვინო“-ს გამგეობის [illegible] ჯილდოს დარიგების შესახებ სწორია. საქმე ისაა, რომ არც, დადგენილება არის მისაღები და არც, მით უფრო, ისეთი უმსგავსობა, რომ ეს უკანონო დადგენილება გატარებულ იქნას ნაწილობრივად, ისიც მხოლოდ კანტორის პერსონალზე, სიც იმ ხალხზე, რომელიც შედარებით დიდ ჯამაგირს ღებულობს.

ეს რომ ასეა, ამას მოწმობს თვით, ჩვენთვის უკვე ცნობილ ფორაქიშვილის მიერ ხელმოწერილი შემდეგი ცნობა:

1. აქვ. შელიძემ მიიღო 150 მან.,
2. ირ. ჩიჯავაძემ „ —300 მან.,
3. ვალ. ტაბლიაშვილმა 96 მ. 25 კ.
4. გიორ. გაბრიშვილმა 115 მან.,
5. კირილე გოგუამ 150 მან.,
6. არ. ციციშვილმა 92 მ., 69 კაპ.,
7. გიორ. სამადაშვილმა 100 მან.,
8. გიორ. ქარუმიძემ 120 მან.,
9. ზალიკო მჭედლიძემ 27 მ. 93 კ.

ეხლა უკვე გასაგები ხდება, თუ რატომ იჩენდა ადგილკომის თავმჯდომარე სამადაშვილი ასეთ იშვიათ ურყეობას და არ აძლევდა ცნობებს საზოგადო კრების რწმუნებულებს. ადგილკომის თავმჯდომარეს თვით ჰქონია ცხვირი ბუმბულში, მას უკვე მიუღია ჯილდოთ 100 მანეთი. მასთან ერთად მიიღო ჯილდო ერთი თვის ხელფასის რაოდენობით რვა კაცმა, ისეთებმა, რომელნიც ახლო სდგანან სალაროსთან, ადმინისტრაციასთან, რომელნიც შედარებით სხვებთან ერთად უზრუნველყოფილნი არიან მატერიალურად.

ფორაქიშვილს რომ კითხოთ, ის ბრძნულად აგიხსნით, რომ ეს ფული გაიცა არა ჯილდოს სახით, არამედ როგორც ხელფასი, რადგან მისი სიტყვით, ზემოაღნიშნული პირობები მუშაობდნენ ზედმეტ საათებში. ორში ერთი, — ან ის უნდა იყვეს, მოკლეთ რომ ვთქვათ, გულუბრყვილო, ვინც ასე ასაბუთებს აღნიშნულ თანხების გაცემას,—ან მისებრ გულუბრყვილოთ უნდა მიაჩნდეს მას ისინი, ვისთვისაც დამზადებულია ასეთი ფორაქიშვილისებური „ახსნა-განმარტება“.

ჯერ ერთი,—თითქმის ყველა დასახელებული პირი ღებულობს მუდმივ ზედმეტ ხელფასს დატვირთვისათვის, ასე რომ მათ ზედმეტი საათების ჯილდო არ ეკუთვნის,—გარდა ამისა, თუ ისინი მართლაც მუშაობდნენ ზედმეტად, და ადმინისტრაცია უთუოდ საჭიროდ სცნობდა კანონის გარეშე მათ დაჯილდოებას. რატომ არ იქნა შედგენილი უწყება, რატომ არ არის აღნუსხული დაახლოებით მაინც რამდენი ზედმეტი საათი იმუშავეს ხსენებულ პირებმა და რატომ ამის მიხედვით არ არის გამოწერილი ფული? რით ხელმძღვანელობდა ადმინისტრაცია, როცა ყველა მათგანს სწორედ თითო თვის ხელფასს აძლევდა? ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ზედმეტი არ იქნება ვიკითხოთ, რა სპეციფიურ საწარმოო პირობებით იყო გამოწვეული ადგილკომის თავმჯდომარე გ. სამადაშვილის ზედმეტი მუშაობა, თუ ასეთს საერთოდ ქონდა ადგილი?

საკითხი საკმაოდ ნათელია. მითქმა-მოთქმა და ეჭვები, რომელიც შეიქმნა „საქართველოს ღვინო“-ს მუშებს შორის არ ყოფილა მოკლებული საფუძველს. გამგეობამ ჩაიდინა ერთი შეცდომა, მან ხელი შეუწყო არა ჯანსაღ განწყობილებათა გაღვივებას იმით, რომ გამოიტანა დადგენილება წარმოების მოგებიდან მუშებისათვის თითო თვის ჯილდოს დარიგების შესახებ. ეს თანხა უნდა გადადებული ყოფილიყო ამავე წარმოების მუშათა საჭირო საზოგადო საქმის მოსაგვარებლად. გამგეობამ დაუშვა მეორე, უფრო მიუტევებელი შეცდომა, რომელიც დანაშაულს უდრის, როცა თითო თვის ჯილდო დაურიგა მოსამსახურეთა ერთ ჯგუფს.

იმას გარდა, რომ ეს ფაქტები თავისთავად დასაგმობი და გასაკიცხავია, აღმაშფოთებელია თვით იმ პირთა როლი, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქმის ამგვარად [illegible]. ჩვენ მხედველობაში გვყავს ადმინისტრაციის წარმომადგენელი ფორაქიშვილი და მისი კუდი ადგილკომის თავმჯდომარე სამადაშვილი. მათ, იმ მიზნით, რომ სინამდვილე არ ყოფილიყო გამომჟღავნებული, გაამასხარავეს საზოგადო კრების რწმუნებულები, ყოველნაირი ზომები იხმარეს იმისათვის, რომ არჩეულ კომისიას მუშაობა უშედეგოთ დაესრულებია, დაარღვიეს მუშათა დემოკრატიის, მასსიური კონტროლის ელემენტარული პრინციპები.

რა უნდა ვთქვათ ამაზე? სჯობს ჯერჯერობით თავი შევიკავოთ. სჯობს დაუცადოთ მათ, ვისაც ეს ეხება. „საქართველოს ღვინო“-ში მომხდარი უმსგავსოება უთუოდ ღირსია განსაკუთრებული ყურადღების?

ვ. ბ—ლი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის გაჯანსაღებისათვის

გაზეთ „კომუნისტ“-ის № 303-ში ამხ. მოსე ჭყონია ეხება ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დეფექტებს.

ამხ. მოსე ჭყონია სამართლიანად აღნიშნავს, რომ გასულ საანგარიშო წელში გამოშვებული საქონლის თვითღირებულება შედარებით წინაწელთან მეტად გადიდდა. ეს იმ დროს, როდესაც ფაბრიკა შედარებით წინა წლებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა: მუშა ხელი 172 კაციდან 255 კაცამდე ავიდა. რა თქმა უნდა, მიღწევები იყო კვალიფიკაციის მხრივაც.

რაც შეეხება ნედლი მასალის მომარაგებას, ეს საქმეც დამაკმაყოფილებელ დონეზე იდგა. მიუხედავათ ყველა ამისა, საქონლის თვითღირებულება მაინც გაიზარდა. ტრესტის მმართველობამ გასული წლის მარტში მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება, გამოარკვია მიზეზები და მოხსენება გაუკეთა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს, სადაც მიუთითებდა თვით ღირებულების გადიდების მიზეზებზე და იმ ღონისძიებებზე, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩატარებული. 1928 წლის ივლისში და აგვისტოში ჩატარებულმა რევიზიამ სრული სურათი გადაშალა იმ უყაირათობისა, რომელსაც ეწეოდა ფაბრიკის ადმინისტრაცია: ფაბრიკის უჯრედმა, ფართო მუშების კრებამ და მუშათა საკონტროლო კომისიამ თავისი დადგენილებით არაერთხელ აღნიშნეს ფაბრიკის ადმინისტრაციის უვარგისობა. ტრესტის მმართველობა მთლიანად ეთანხმებოდა მუშათა დადგენილებას, მათ მოთხოვნილებას, მაგრამ ფაბრიკის ადმინისტრაციამ შესძლო არა სწორი ინფორმაციით შეცდომაში შეეყვანა სამაზრო ორგანიზაციები და ზოგი პასუხისმგებელი მუშაკებიც, რომლის მიზეზით მუშათა სამართლიანი მოთხოვნილება რჩებოდა უშედეგოთ. ამ გარემოებამ უფრო გაართულა საქმე, რამაც გაუძნელა ტრესტის მმართველობას დროზე გაეტარებია ის ღონისძიებანი, რასაც თხოულობდა ფაბრიკის ინტერესები.

გასული წლის სექტემბერში ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. ყურულაშვილის უშუალო მონაწილეობით და განკარგულებით გატარებულ იქნა საჭირო ღონისძიებანი. მოხსნილია ფაბრიკის დირექტორი ი. დევიძე, წარმოების გამგე ინჟ. კურენკოვი, მღებავი ხელოსანი მენდელოვსკი და აგრეთვე მოხდენილია წვრიმალი ცვლილებანი, ფაბრიკის ხელმძღვანელობა დროებით უშუალოთ ტრესტის ხელშია. ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციის დახმარებით მიღებულია შესაფერისი ზომები შრომის დისციპლინის და შრომის ნაყოფიერების ასაწევათ, მოწვეულია ახალი სპეციალისტები და სხვა.

მიღებულ ღონისძიებებმა მოგვცა სასურველი შედეგები. ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან უკვე ჩატარებულია 10% თვით ღირებულების დაკლება, არის იმის ნიშნები, რომ ფასების დაკლება მომავალში გაგრძელდება. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები გაგვიწევენ აუცილებელ დახმარებას, რომელიც მათზედაა დამოკიდებული.

რაც შეეხება წერილის მეორე ნახევარს, აქ ამხ. მოსე ჭყონია ვიღაცას შეცდომაში შეუყვანია. ფაბრიკის ბუხჰალტერია თავის სიმაღლეზე სდგას. ს. მ. უ. ს-ის პრეზიდიუმმა რევიზიის შემდეგ ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ბუხჰალტერიას მადლობა გამოუცხადა. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის მუშკორებმა სუსტად გამოიჩინეს და დროზე დახმარება ვერ გაგვიწიეს ფაბრიკაში არსებულ ტკივილების გამომჟღავნებით.

საფაბრიკო ზეთ-სახდელ და საპნის ტრესტის მმართველი **დ. რუხაძე.**

„სულის მცხონებელთა“ ქეიფი

(თბილისი)

ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს თანამშრომლებმა დაასაფლავეს საავადმყოფოს სანიტარი პოლემჩუკი. დამკრძალავ კომისიამ ხელისმოწერის საშუალებით თანამშრომლებს შორის შეკრიბა 130 მანეთამდე, მაგრამ სალაროში ფული არ აღმოჩნდა და იძულებული იქმნენ საჭირო თანხა ესესხნათ. ცხედრის დასაფლავების შემდეგ დაბუნებული კომისია მთელი შემადგენლობით და სხვა ძმობილების თანხლებით გაემართნენ მახლობელ სამიკიტნოში „სულის საცხონებელის“ დასალევად, საიდანაც გამოვიდნენ ქუჩაში „თეთრი ცხელების“ მდგომარეობაში და ერთი აურ-ზაური ასტეხეს.

ახლოდახლო მოლაპარაკებით გადწყდა ქეიფის გაგრძელება და ეტლით ჩიჟურაშვილის დუქნის მხარეს გასეირნება. „მოშეირნეობის“ მიზნით კერძო ეტლი არ დაიქირავეს და 8 თუ 9 სული ღვინით გაბერილი ჩასხდა საავადმყოფოს სამ ადგილიან ეტლში. ცხენების ისრის ტეხით გააქანეს თეთრ დუქნისკენ. მგზავრები სივიწროვის გამო ერთმანეთზე ისხდნენ, რამაც გამოიწვია წონასწორობის დაკარგვა და გადაბუნებულ ეტლს მოქეიფენი ქვეშ მოექცნენ.

მეორე დილით, როდესაც ჩვენს გმირებს „თეთრმა ცხელებამ“ გაუარა, ჯამი გაუკეთეს წინა დღის შედეგებს და შემდეგი გამოარკვიეს:

1. საავადმყოფოს კუთვნილი ეტლი დამსხვრეულია;
2. მძიმედ დაშავდნენ: საავადმყოფოს საწყობის გამგე ანტონ ზედიაშვილი (დაწინაურებული მუშა) და სედრაკ მარქაროვი ადგილობრივი ბუფეტის მეპატრონე. საშუალო კატეგორიის დაშავება მიიღეს ადამიამ და ისაკ ფაფუკიანმა (ადგილკომის წევრი). მსუბუქად დაშავდა მეეტლე არშენაკ ანანოვი და მიკიჩ კაზანჯიანცი (უჯრედის მდივანი) უვნებლად გადარჩა ალექ. დიდოსოვი (ადგილკომის წევრი).

ამასთანავე გადაწყდა: „ვინაიდან „გმირობა“ გამომჟღავნდა, „პურმარილზე“ გაწეული ხარჯები იკისროს მოქეიფეთა შემადგენლობამ“. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ხულიგნობაა, რომ ქუჩაში ქეიფი და ქალაქ გარეთ ქეიფი ყოვლად დაუშვებელი დანაშაულია პარტიულ და საზოგადო ორგანიზაციების წევრთა მხრივ. აღნიშნულ ვაჟბატონებს პასუხს მოსთხოვენ ადგილობრივი პარტიული და პროფ. ორგანოები. ამას გარდა საავადმყოფოს ეტლი დაიმტვრა, სახელმწიფოს რამოდენიმე ასეული მანეთის ზარალი მიეცა. ეს თანხა უნდა აანაზღაურონ დამნაშავეებმა.

ლანცეტი.

დირექტორის გზით ბოროტმოქმედებამდე

(მახინჯი მოვლენები დაწინაურების საქმეში)

მუშათა დაწინაურების საქმეს მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება ეღობება წინ. არის შემთხვევები, და ძალიან ხშირი შემთხვევებიც, როცა მუშების დაწინაურებას მტრულად ხვდება ჩვენი დაწესებულება - წარმოებებში მოკალათებული მუშაკთა ერთი ნაწილი. მათ „არ სწამთ“, რომ განათლების ცენზს მოკლებული მუშა შესძლებს რთულ და საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლას. მათ გული „ეწვით“ საქმისათვის, „შიშიათ“, რომ დაწინაურებულის მუშაობა ცუდ შედეგებს გამოიღებს. თუმცა მთელი რევოლიუციონური მშენებლობის პრაქტიკა ამ ძველ, ჩინოვნიკურ შეხედულებას ძირფესვიანად უარყოფს, მაგრამ რას იზამთ, როცა ძველი შეხედულება ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არაა. უმეტეს შემთხვევაში კი, ასეთი შეხედულება დაფუძნებულია პირად მოსაზრებაზე, საკუთარი ტყავის დაცვის სურვილზე. აპარატის და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი პოსტების გამუშურება თავისთავად „მისწი-მოსწევს“ ვისმე-ვისმეს, დაარღვევს ზოგიერთების კეთილდღეობას. საქმის მოყვარულ და ღირსეულ მუშაკს ამის არ ეშინია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც თავის თავის იმედი არა აქვთ. სწორედ ეს ხალხი უწუნებს ჩუმად თუ აშკარათ, სწორედ ესენი ებრძვიან მუშათა დაწინაურებას „საქმის“ დაცვის მიზნით.

პრაქტიკულად ასეთი განწყობილება სხვადასხვანაირ ფორმებს ღებულობს. ადგილი აქვს ჩუმ საბოტაჟს დაწინაურებულ მუშისადმი დამოკიდებულებაში, ისიდაც ხდება, რომ დაწინაურებულ მუშისათვის იძებნება გარეგნულად საპასუხისმგებლო, ხოლო არსებითად სრულიად უმნიშვნელო თანამდებობა. არის მაგალითები, როცა დაწინაურებულს განზრახ ისეთ საქმეზე აყენებენ, რომელსაც ის პირველ ხანებში აშკარად ვერ გაუძლებს და სხვა. ბრძოლა დაწინაურების იდეის გასაბიაბრუებლად ზოგჯერ პირდაპირ ვირტუოზულ ფორმებს ღებულობს.

ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ის შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სპირტის წარმოებაში. რა მოხდა აქ? „სახელმწიფო სპირტი“-ს დირექტორად წამოყენებულ იქნა მუშა-ზეინკალი, პარტიის წევრი 1924 წლიდან არჩილ გულითაშვილი. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გულითაშვილის დაწინაურების დროს დაშვებული იქნა დიდი შეცდომა: „სახელმწიფო სპირტი“-ს დირექტორის თანამდებობაზე წამოყენებულ იქნა შეუფერებელი კანდიდატი. გულითაშვილი აღმოჩნდა სუსტი ნებისყოფის კაცი. მოექცა თუ არა გულითაშვილი ახალ „გარემოცვაში“, ის მაშინვე თავქვე დაეშვა. ახალმა მდგომარეობამ გულითაშვილი დაათრო და გააბრუა. ის შეუდგა პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას. ბურჟუაზიულად მოაწყო საკუთარი ბინა და დაიწყო განიერი ცხოვრება. ნადიმ დღე ქეიფი ქალაქში და ხშირად ქალაქს გარედაც, ქეიფს მოჰყვა ქალებიც, რომლებიც, როგორც ბუზი თაფლს, ისე დაეხვივნენ დირექტორ გულითაშვილს. დაიწყო ოჯახური დრამებიც. ქმარის უზნეო საქციელს ვერ გაუძლო ცოლმა, რომელმაც თავი მოიწამლა და ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს.

ერთ-ერთმა ბანოვანმა კი თავი გასწირა დირექტორის გულისათვის და საბოლოოდ გამოესალმა წუთისოფელს.

არ ქონდა მოსვენება ღამით გულითაშვილის ახლო მეზობლებსაც. მუდამ დღე ხმაურობით და აურზაურით აკლებული იყო მთელ სახლში ყველაფერი. ძალაუნებურად იბადებოდა კითხვა: საიდან ხდება ყოველივე ეს, რომელი სახსრებით სარგებლობს დაწინაურებული მუშა გულითაშვილი ასეთი დაუსრულებელი ორგიებისა და დროს ტარებისათვის? ამ საკითხზე პასუხი არ დააყოვნა თვით გულითაშვილმა. აი, რას სწერს ის კერძო, „საიდუმლო“ ბარათში თავის უშუალო უფროსს:

> „ჩემ ფულებში გაუგებრობის გამო, რომელიც მე მქონდა წამოღებული სალაროდან და ითვლებოდა ანგარიშის ქვეშ, დამაკლდა დაახლოებით 800 ან 900 მანეთამდე. არ ვიცი, შეიძლება მე გადავაყოლე ამ თუ დამეკარგა. ვერაფერი გავიგე საიდ წავიდა. რა ვქენი, მე ეს არ ვიცი. როდესაც საკონტროლო განყოფილებამ დამირეკა ანგარიშები სასწრაფოდ წარმოადგინეო ცამ წინადღით ჩვენმა ბუხჰალტერმა მითხრა, რომ შენზე ფული ირიცხება და მეიტანე სალაროშიო, მე ფული არ მქონდა. გადავაკეთე ყალბი საბუთები, რომელიც არის როგორც ნახშირის, თითქოს ნახშირი მივიღია ქარხანაში. აგრეთვე შეშის და ბუხჰალტერიაში წარდგენილი საბუთი ხელმეორედ წარვადგინე, რომელიც მე ამოვიღე უკვე გატარებულ საბუთებიდან.
> ზემოაღნიშნულის გამო მე ვცნობ ჩემს თავს დამნაშავედ, მეტადრე საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და გთხოვთ მაპატიოთ. ჩემს ასეთ დანაშაულობას შემდეგში გამოვასწორებ. რაც რომ ფული დამაკლდა დავფარავ პირველ ივლისამდე. ყოველ შემთხვევაში 5 ივლისამდე. დღეის შემდეგ კი ფულთან არავითარი კავშირი არ მექნება“.
>
> **გულითაშვილი.**

ამრიგად მუშა-ზეინკალი, კომუნისტი გულითაშვილი ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც გამფლანგველი, როგორც ყალბი საბუთების შემდგენი. იმისათვის, რომ ის ასე დაცემულიყო, საჭირო გახდა, რომ მას ზეინკლის დაზგისაგან გაევლო მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანიზაციის — „სახელმწიფო სპირტი“-ს დირექტორის თანამდებობა. დირექტორობის გზით ბოროტმოქმედებამდე! უცნაური ამბავია, მაგრამ ასეა. ან კი რატომ უნდა გვიკვირდეს გულითაშვილის ამგვარი დაცემა.

საკითხავია, რა ზომები მიიღო იმ პროფესიონალურ ორგანიზაციამ და პარტიულ უჯრედმა, რომლებმაც ის წამოაყენეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, რომ გულითაშვილს ფეხი არ წაეკრა. რა დახმარება გაუწიეს დაწინაურებულ მუშას სახელმწიფო სპირტის ადგილობრივი ორგანიზაციებმა და კავშირმა? რამდენჯერ მოისმინეს მათ დირექტორ გულითაშვილის საანგარიშო მოხსენება, რა ღონისძიებანი იხმარეს იმისათვის, რომ დროზე შეეჩერებიათ თავქვე მიმავალი გულითაშვილი? ხომ თითქმის ყველამ იცოდა, რომ დაწინაურებული დირექტორის გულითაშვილის შესახებ მრავალი საეჭვო ხმები დადიოდა? რატომ არავინ შეეცადა, შეემოწმებინა ეს ხმები, რატომ არავინ დაინტერესდა დაწინაურებული მუშის ბედით? ნუ თუ აუცილებლად საჭირო იყო, რომ „მეხი გავარდნილიყო“, რომლის საქმის შველა შეუძლებელია?

ვის ანაბარა, ვის ხელში, ვისი რჩევა-დარიგებით და მითითებებით მუშაობდა გულითაშვილი? ასეთი დაწინაურებით, ჩვენ არა ერთ და ორ მუშას გავხდით სისხლის სამართლის ხასიათის დამნაშავედ. გულითაშვილი დამნაშავეა, და დიდი დამნაშავეც, ის პასუხს აგებს დანაშაულისათვის, მაგრამ ეს ხომ საქმეს არ შველის? ასეთი შემთხვევების შესახებ ვამბობთ ჩვენ, რომ დაწინაურების იდეის გაბათილებაში ბევრჯერ თვით ჩვენივე ორგანიზაციებსაც შეაქვთ უნებლიეთ თავიანთი წვლილი. არ ხდება დასაწინაურებელი მუშის წინასწარი, სათანადო შემოწმება და არ ექცევა ყურადღება დაწინაურებულის მუშაობას. ამავე დროს სხვები, დაინტერესებული პირები ჩუმად თუ აშკარათ თავის საქმეს აკეთებენ... შემთხვევა სახელმწიფო სპირტის წარმოებაში, ამას ერთხელ კიდევ მოწმობს: გულითაშვილის მაგალითი იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ არ უნდა ხდებოდეს მუშათა დაწინაურება.

ს. მეგრელიშვილი.

გამოძახილი წერილებზე

უსაფუძვლო ბრალდება

გაზ. „კომუნისტი“-ს № 285-ში მოთავსებული კორესპონდენცია ხაშურიდან შემდეგი სათაურით: „590 მ. ჯილდო უსაქმურობისათვის“. წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ რკინის გზის სკოლების გამგეებმა ა. შჩეპანსკიმ, ნ. მიქაძემ და ნ. თაბუკაშვილმა მიიღეს შვებულების საკომპენსაციო ჯილდო მაშინ, როდესაც ეს პირები თითქოს ზაფხულზე ისვენებდნენ და სკოლები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. როგორც წარმოდგენილ საბუთებიდან გამოირკვა, ეს ბრალდება არც ერთ ზემოხსენებულ პირის მიმართ სიმართლეს არ შეიცავს. ა. შჩეპანსკი, ნ. მიქაძე და ნ. თაბუკაშვილი მთელი საზაფხულო არდადეგების განმავლობაში შეუწყვეტლივ მუშაობდნენ სკოლის საქმეებზე, რის გამოც მათ შვებულებით ვერ ისარგებლეს. საკომპენსაციო ჯილდო გაცემულ იქნა ადგილობრივ შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის დადგენილებისა და რკინის გზის სკოლების განყოფილების გამგის განკარგულების თანახმად. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია და რკ. გზის სკოლების ადმინისტრაციაც ხელმძღვანელობდნენ კოლექტიურ ხელშეკრულების სათანადო მუხლით.

კორესპონდენცია დადასტურდა

(სენაკის მაზრა)

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 204-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ქ. სენაკიდან შემდეგი სათაურით: „ავტომობილებს პატრონი არა ყავთ“. აღნიშნულ კორესპონდენციის ავტორი სწერდა, რომ სენაკის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში მყოფი ავტო-მანქანებს და ველოსიპედს ბევრ შემთხვევაში ამა თუ იმ პირის კერძო საჭიროებისათვის ამუშავებდნენ. იყო მაგალითები, როცა ავტომობილით საბანაოთაც კი დადიოდნენ.

ამ კორესპონდენციის გარშემო მუშგლეხინის წარმომადგენელმა სენაკის მაზრაში მოახდინა კვლევა-ძიება, რომელმაც სავსებით დაადასტურა კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები. ამის გამო წინადადება მიეცა მაზრაღმასკომს, რომ მომავალში აღკვეთოს სატრანსპორტო საშუალებათა პირად საჭიროების გამოყენების შემთხვევები.

მუშგლეხინის რწმუნებული სენაკის მაზრაში **ვ. ნოდია.**

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი“-ს № 303, ინსპექციის ფურცელში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „დაბრკოლებანი შეშის დამზადების საქმეში“. აღნიშნულ წერილში გაიპარა შეცდომები:

სწერია: „საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ტრესტის დამამზადებელ რაიონებიდან ერთი-ერთი მთავარი რაიონი არის კახეთის დამამზადებელი რაიონი“.

უნდა იყოს: „..ერთ-ერთი რაიონი არის კახეთის დამამზადებელი რაიონი“.

სწერია: ტრესტს „თბილისში საწყობამდე მოტანილი შეშა უჯდება: მაგარი ჯიში — 70 მანეთი. კ. ს. ხაზზე კი საშუალო ფასი იყო 90 მანეთი, მიუხედავად ამისა, ტრესტმა, როგორც იყო შესძლო შეეძინა 100 ვაგონამდე შეშა 22 მ. თითო ვაგონი“. **უნდა იყოს:** „ტრესტს თბილისში საწყობამდე მოტანილი შეშა უჯდება: მაგარი ჯიში—75 მან. კუბ. საჟ., ხაზზე კი საშუალო ფასი იყო 90 მ. კუბ. საჟენი. მიუხედავათ ამისა ტრესტმა, როგორც იყო, შესძლო შეეძინა 100 ვაგონამდე შეშა—220 მანეთად ვაგონი“.

ქუთაისი

მოჯამაგირეთა მდგომარეობა მაზრაში

უკანასკნელ ხანებში სამაზრო პარტიულ და პროფორგანოების მიერ მიღებულ იქნა ენერგიული ზომები მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით ჩატარდა მოჯამაგირეთა ხელახალი აღრიცხვა, რის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 150 მოჯამაგირე აღრიცხვის გარეშე იმყოფებოდნენ დამქირავებელთა მძიმე ექსპლოატაციის ქვეშ. ამ მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა მოჯამაგირეთა სათემო კომიტეტები. დაიდო ხელშეკრულებები დამქირავებლებთან მოჯამაგირეთა შრომის დასაცავად. ამჟამად სათემო კომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოჯამაგირეთა სათემო და სარაიონო კონფერენციები, ხოლო ამავე საკითხზე სამ იანვარს გაიხსნა სამაზრო კონფერენცია.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანია

ქუთაისის სამაზრო პროფკავშირებში კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად გაცხოველებული კამპანია მიმდინარეობს. ჯერჯერობით ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო მთავარ დაწესებულებებში და ქარხნებში. ხელშეკრულების დადება დაიწყო 1 დეკემბრიდან და დამთავრდება 30 იანვრამდე.

ახალი კოლექტივების ჩამოყალიბება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების აგრონომიულმა კოლეგიამ დამატებით დამტკიცა მაზრაში ოთხი კოლექტივის ჩამოყალიბება. აქედან სამი არტელია და ერთი სამანქანო ამხანაგობა. კოლექტივებში გაერთიანებულ ღარიბ და საშუალო გლეხთა რაოდენობა უდრის 85 გლეხს.

მრ. სვანიძე.

ქალთა სამაზრო კონფერენცია სენაკის მაზრაში

ახალი-სენაკი, 4 იანვ. დაიხურა ქალთა სამაზრო კონფერენცია, რომელმაც ორი დღის გასტანა. კონფერენციას დაესწრო 50 დელეგატი. ქალ. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ქალთა შორის მუშაობისა და საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო დელეგატი ქალების უმრავლესობამ. იმ მიღწევებთან ერთად, რომლებსაც ადგილი აქვთ ქალთა შორის მუშაობის დარგში, ამხანაგებმა აღნიშნეს სხვადასხვა დეფექტებიც. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ქალების ჩასაბმელად საზოგადოებრივ საბჭოების საქმიანობაში.

საბჭოების წევრი-ქალები სულ არ იჩენენ აქტივობას და ხშირად არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს. ბევრი ორატორი-ქალი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ქმრები ხელს უშლიან ქალებს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში.

კონფერენციაზე აღიძრა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. დადგენილ იქნა—მაზრაში დაარსდეს ლოთობასთან მებრძოლი საზოგადოება და აქტიურ მუშაობაში ჩაბმულ იქნას მაზრის ყველა კულტურული ქალი.

რძის პროდუქტების სამზარეულოს მოწყობა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის თათბირზე მოსმენილ იქნა თბილისის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების გამგის ნ. კიღაიშის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის აღმასკომის დადგენილებით ქალაქის 1-ლ საავადმყოფოსთან იხსნება რძის პროდუქტების სამზარეულო, სადაც პატარა ბავშვებისათვის რძიდან დაამზადებენ სხვადასხვა საჭმელებს.

სამზარეულოში დამზადებული პროდუქტები პირველ რიგში დაურიგდება დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო ბიუროებს და საბავშვო სახლებს. შემდეგში განზრახულია სამზარეულოში დამზადებული პროდუქტები დაურიგონ დაზღვეულებს რძის ფულის მაგიერ.

სამზარეულოს გასახსნელათ და მოსაწყობათ თბილისის აღმასკომს გადადებული აქვს 10.000 მანეთი.

სასამართლო

ვინ მოწამლა 9 დღის ბავშვი

როგორც ვსწერდით, სოფელ თოხლიაურში მოქ. ნიკოლოზ გიორგისძე ხაბარაშვილის ოჯახში შაბიამანის ხსნარით მოწამლულ იქნა 9 დღის ბავშვი (დედრობითი სქესის).

წინასწარი გამოძიების დროს შეკრებილი მასალების მიხედვით, პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი ბავშვის მშობლები ნიკოლოზ და ეკატერინე ხაბარაშვილები.

ბავშვის მოწამვლის ინიციატივა ბრალად ედებოდა დედას ეკატერინე ხაბარაშვილს. ბავშვის მამა ნიკოლოზიც, რომელიც თანამონაწილედ იყო მიჩნეული, ბრალს დებდა თავის ცოლს და ლაპარაკობდა, რომ ბავშვს ეკატერინე მოწამლავდა, რადგან ფეხმძიმედ ყოფნის დროს მას არაერთხელ უთქვამს: „ქალი თუ შემეძინა არ გავზრდით".

ეკატერინეს დედამთილიც დიდ აქტივობას იჩენდა იმისათვის, რომ მის რძალს დამტკიცებოდა შვილის მოწამვლა. ბავშვის დამარხვის შემდეგ დედამთილმა თვითონ გაავრცელა სოფელში ხმები ამ ამბის შესახებ.

ბავშვის დედა კატეგორიულად უარყოფდა ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენას და ლაპარაკობდა: „რომელი დედა გაიმეტებს შვილს მოსაკლავადო".

მოწამლული ბავშვის მშობლები გუშინ წარუდგნენ თბილისის სამაზრო სასამართლოს.

სასამართლო ძიებამ ბევრი ახალი გარემოება აღმოაჩინა.

ეკატერინესა და მისი ქმრის მშობლებს შორის ყოფილა მეტად გამწვავებული დამოკიდებულება, რის გამო ქალს გადაუწყვეტია თავის ქმარ-შვილით ცალკე ცხოვრება და სახლებიც კიდეც მოუხერხებია ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

ვაჟის მშობლები ცდილობდნენ ცოლ-ქმრის ერთმანეთისაგან განშორებას. იმდენი უჩიჩინეს თავის შვილს—ნიკოლოზს, რომ [illegible] ცოლზე. უმთავრესი საბაბი(ც) მასალა ის იყო რომ ეკატერინეს დედა არ ჰყოლია და მისი მშობიარობის დროსაც, როცა ქალი შეეძინა, ეს გარემოებაც კიდევ ზედმეტად გამოიყენეს მშობლებმა.

ქმარი ნიკოლოზ ხაბარაშვილი ადგებს ეკატერინეს თავიდან მოშორების გეგმას.

ერთ დღეს ახლად მოლოგინებული ეკატერინე ბავშვს დატოვებს აკვანში და წავა წყაროზე. სახლში ბავშვთან რჩება მამა ნიკოლოზ ხაბარაშვილი.

დაბრუნებისას დედას მოესმა ბავშვის შესუსტებული ხმები. გადახადა თავი და ნახა, რომ ბავშვს პირიდან ამოსდიოდა მწვანე სითხე. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი უკვე გარდაიცვალა.

მკვდარი ბავშვი დამარხეს ჩუმად, ხოლო შემდეგ ხმა ვრცელდება სოფლად, რომ თითქოს დედის მიერ იყო იგი მოწამლული.

ნიკოლოზი ცოლს განშორდა. ძიება მიწეულ იქნა. ეკატერინეს წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მაგრამ სასამართლოში დამტკიცდა დედის უდანაშაულობა. ბავშვის მოწამვლა დაუმტკიცდა მამას ნიკოლოზ გიორგისძე ხაბარაშვილს, რისთვისაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—რ. კალანდაძე, სახალხო მსაჯულები: ხალარაძე, ხუნდაძე. პროკურორი—ძაძამიძე. მდივანი—მერკვილაძე.

შურისძიება

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით გაასამართლა მოქ. არშაკ აბრამოვი, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში შურისძიების ნიადაგზე მოკლა მოქ. არტაშ მაქსუზიანი.

საქმის შინაარსს ჩვენი მკითხველები იცნობენ.

აბრამოვს განშორდა ცოლი მარიამი, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო მასთან ცხოვრების, მაგრამ მშობლების ძალდატანებით იძულებული გახდა გაჰყოლოდა აბრამოვს. მშობლებს ამოქმედებდათ ეკონომიური მოსაზრება.

მარიამს კი უყვარდა არტაშ მაქსუზიანი, რომელთანაც კავშირი არ განუწყვეტია გათხოვების შემდეგაც. ცოტა ხნის შემდეგ მარიამმა სულ მიატოვა აბრამოვი და დაიწყო ცხოვრება არტაშ მაქსუზიანთან.

აბრამოვმა გადასწყვიტა შური ეძია მეტოქეზე. დაუხვდა მაქსუზიანს გზაში და ოთხი ტყვია დაახალა გულში.

არშაკ აბრამოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით სასტიკი იზოლაციით.

მერ.

შემთხვევები

ქალის გატაცების ცდა

გუშინწინ, ღამით, ორი ბოროტმოქმედი თავს დაესხა მოქ. ელქანაშვილს (სოფ. წითელას მცხოვრები, დუშეთის სამილიციო უბანი). თავდამსხმელებმა შეამტვრიეს ბინის კარები და განიზრახეს ელქანაშვილის ქალიშვილის გატაცება. ხმაურობაზე მიცვივდნენ მეზობლები, რის შემდეგ თავდამსხმელები მიიმალენ.

თავდასხმა

სოფ. წინამძღვრის და მურაგიანის შუა (მცხეთის სამილიციო უბანი) მოქ. ბიქტორ ნადაროიას თავს დაესხა ვიღაც ბოროტმოქმედი, რომელმაც წაართვა 40 მანეთი და ნაგანის რევოლვერი.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა გიორგი დავითის ძე გელი, რომელსაც ბრალდება ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს ფეხსაცმელების სახელოსნო (სომხის ბაზარი № 22); წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—მიხეილ არტამოვს კომუნართა ბაღში მუშაობის დროს მოჰპარეს პალტო.—გაქურდეს აღმასკომის აბანო (№ 6); მოპარულია სხვადასხვა ნივთები.—ნიკოლოზ გეგეჭკორის ბინიდან (კალინინის ქ. № 26) მოიპარეს ტანსაცმელი. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა ვაგანოვ ალაჯანის ასული ათაიანი.—გაქურდეს ვლადიმერ ელბაქიძის ბინა; წაიღეს 120 მანეთის ნივთები. გაქურდეს მე-69 შრომის სკოლის კოოპერატივი; წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

ჯიბგირობა

მოქ. ქსტატე ჩეტაშვილს ტრამვაის ვაგონში ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა ნაგანის სისტემის რევოლვერი და მიიმალა.

აფერისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა თბილისში აღმოაჩინეს აფერისტთა ორგანიზაცია.

ორგანიზაციას, რომელშიც შედიოდენ: სტუდენტი ალექსანდრე ისიდორეს ძე დვალი, მე-7 შრომის სკოლის გამგის მოადგილე მიქაელ ივანეს ძე ფანჩულიძე და განათლების სახალხო კომისარიატის ყოფილი თანამშრომლები (მეკრიკეები) სტეფანე ფარსადანოვი და სერგო ტერტეროვი, ხელმძღვანელობდა ალექსანდრე სპირიდონის ძე კიკნაძე (მუშფაკის ყოფ. მსმენელი) და პოლიკარპე სპირიდონის ძე კაპანაძე.

აფერისტები ამზადებდნენ საშუალო სასწავლებლების დამთავრების მოწმობებს. ფარსადანოვს და ტერტეროვს განათლების კომისარიატიდან ფარულად გამოჰქონდათ 9 წლედის დამთავრების მოწმობის ბლანკები, რომელზედაც ყალბ ბეჭედს ასვამდა კიკნაძე და კაპანაძე. აფერისტებმა ამნაირი წესით დაამზადეს მთელი რიგი ყალბი მოწმობები 9 წლედის დამთავრების შესახებ. თვითეულ მოწმობას აფერისტები ჰყიდდენ 50—60 მანეთად.

მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მასწავლებელი ფანჩულიძე ჩამორჩენილ მოწაფეებს ურჩევდა მისულიყვნენ ზემოხსენებულ პირებთან და შეეძინათ მათგან 9 წლედის დამთავრების მოწმობა.

კიკნაძეს, დვალს და კაპანაძეს ყალბი საბუთების საშუალებით სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოჰქონდათ აგრეთვე ფულები.

ამ დღეებში სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ლიკვიდაცია უყო აფერისტთა ამ ბანდას და მისი ყველა წევრები დააპატიმრა.

აფერისტებს დაპატიმრებისას აღმოაჩნდათ 9 წლედის დამთავრების ყალბი მოწმობები, ბეჭდები და ბლანკები.

პასუხისგებაში მიცემულია კიდევ 15 კაცი, რომლებიც ხელს უწყობდნენ აფერისტებს ყალბი მოწმობების დამზადებაში.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) შ. ხვინგია (თბილისი)
იბეჭდება პირველად



შამათი ოთხ სვლაში

(ამოცანა) შ. ნანინგ (ჰოლანდია)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 11 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)
გათამაშებულია სრ. საქართველოს ჩემპიონატში 1928 წ.
თეთრები: ვ. გოგლიძე.—შავები: ნ. საროკინი

1. d2-d4, d7-d5, 2. მg1-f3, მg8-f6 3. c2-c4, e7-e6, 4. მb1-c3, მb8-d7 5. კc1-g5, c7-c6 6. c4:d5 (კემბრიჯ-სპრინგსის ვარიანტის (ლa5) თავიდან ასაცილებლად, ამ სვლის შემდეგ თეთრებს უპირატესობა აქვთ მხოლოთ პირველ სვლაში) 6..., e6:d5 7. e2-e3, კf8-d6 (შავებმა თავიანთი პოზიცია სწორად ვერ შეაფასეს, ტექსტში მოყვანილი სვლა პირველ შესახედავად თითქოს ძლიერია, ნამდვილად კი იგი შავების თამაშის განვითარების შემფერხებელია, რაც ქვევით გამოირკვევა. სჯობდა კe7 და შემდეგ მh5, g5 კუს გაცვლით) 8. კf1-d3, 0-0 9. ლd1-c2, ლd8-a5? (უაზრო სვლაა და მასთან ერთად შეცდომა, ბევრად სჯობდა ეe8) 10. 0-0, ეf8-e8 11. ეf1-e1, h7-h6 12 კg5-h4, ლa5-c7 13 ეa1-c1, ლc7-b8? (მიუხედავად იმისა, რომ შავებს თითქმის წაგებული პარტია აქვთ, მათ მაინც არ უნდა მიექციათ ყურადღება დაკარგულ ტემპისათვის და ეთამაშათ ლd8, ეხლა კი მათი ლაზიერი მხოლოდ მაყურებელის როლშია) 14. e3-e4!, კd6-f4 15. ეc1-d1, d5:e4 16. მc3:e4, მf6-d5 17. მe4-c5! (ძლიერი სვლაა, მუქარაა შამათის სამ სვლაში ეe8+, მf8 კh7+ და ე:f8 შამათი) 17..., ეe8-f8 18. მc5:d5, c6:d5 19 კh4-e7! (დასაწყისი მეტად ლამაზი კომბინაციის, ლამაზი მახით, რაშიც შავები ვერ გაერკვნენ) 19..., ეf8-e8 20. g2-g3! კf4-c7 (არ ივარგებდა 20..., კd6. 21. კ:d6, ე:e1+ 22. ე:e1, ლ:d6. 23. ეe8+, მf8. 24. კh7+, მფh8. 25. მe5 ეტლის დაკარგვის გამო) 21. ეd1—c1, კc7—b6. 22. კe7—g5!! (შავებს არ შეუძლიათ კუს აყვანა, რადგანაც 22..., ე:e1+, 23 ე:e1, hg 24 ეe8+ შემდეგ ღებულობენ შამათს ორ სვლაში) 22..., მd7-e5. (სამწუხარო გარემოება. მაგრამ ერთად ერთი გამოსავალი ლაზიერის გადასარჩენად) 23. ეe1:e5!, ეe8:e5. 24. კg5—f4!, f7—f6. 25. d4:e5, g7—g5. 26. კd3—h7+, მფg8-h8. 27. ლd3—g6 (უფრო მარტივი იყო 27. e:f6, g:f4. 28 ლg6 და შავები შამათს ვერ ასცილდებოდენ) 27..., კc8—g4. 28. e5:f6, ლb8—f8. 29. კf4-d6 (ისევე სუსტი სვლა, რაც ბრძოლას აგრძელებს, სჯობდა პირდაპირ კe5 29..., კg4—f5. 30. ლg6—g7?? (სიბრმავის იშვიათი შემთხვევა ჭადრაკში, თეთრებს ეგონათ, რომ 30..., ლ:g7. 31. fg შავები იღებენ პაიკს, თვითონ კი კუს f5 და რჩებიან ზედმეტი ორი ფიგურით, ვერ ამჩნევენ სულ უბრალოს, რომ შავები აიყვანენ მეფით პაიკს კი არა, არამედ კუს. თეთრებს უნდა ეთამაშათ 30. ლ:f5, ლ:d6. 31. მe5 და შავებს დანებების გარდა არაფერი რჩებოდათ. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ლამაზი პარტიის მთლიანობა დაირღვა თეთრების მეტად სუსტი თამაშით ბოლოში) 30..., ლf8:g7. 31. f6:g7, მფh8:h7. 32. კd6-e5, კf5-g4. 33. მფ1—g2, ეa8—e8. 34. კe5-c3, ეe8—e7. 35. მf3—d4, ეe7:g7. 36. f2—f3, კg4—d7. 37. ეc1—e1 დათანხმდენ ყაიმზე.

რკინის გზებზე

დაჯახება

სადგ. ზაზალის სემაფორსა და ისრებს შორის 5 იანვარს ერთმანეთს დაეჯახნენ ორი მატარებელი № 1087 და 205.

დაჯახების გამო მატ. № 205-ს შემადგენლობიდან დაიმსხვრა სამი ცარიელი ვაგონი. დაჯახების დროს მსუბუქად დაიჭრა კონდუქტორი, რომლის გვარი გამოურკვეველია.

როგორც გამოირკვა, დაჯახება მოხდა სადგურის მორიგის სამედგეკოვის დაუდევრობით. მატ. № 205 ჯერ კიდევ მისული არ იყო ზაზალიში, რომ სამედგეკოვმა აცნობა განჯას, რომ მატარებელი მიიღო. განჯამ იფიქრა, რომ ხაზი თავისუფალია და იმავე მიმართულებით გაუშვა მეორე მატარებელი № 1087.

უკანასკნელი წამოეწია მატ. № 205-ს და დაეჯახა.

შემთხვევის ადგილზე განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც აღადგინა მოძრაობა რამოდენიმე საათში.

ტეხნიკოსების კვალიფიკაციის ასამაღლებლად

ტეხნიკოსების კვალიფიკაციის ასაწევად თბილისის საუბნო კომიტეტი, ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს საუბნო სექციასთან ერთად 10 იანვარს თბილისში ხსნის ტეხნიკოსების გადასამზადებელ ორწლიან კურსებს. კურსებზე იქნება ორი განყოფილება, საალმშენებლო და მექანიკური. ორთავე განყოფილებაზე მიღებული იქნება 50 კაცი.

მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ

ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობამ გზათა სახ. კომისარიატისაგან მიიღო წინადადება გააძლიეროს თვალყურის დევნება სახალხო მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობაზე და აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა მათი დაგვიანების წინააღმდეგ.

მატარებლების დაგვიანება, როგორც წინადადებაშია ნათქვამი, არამც თუ უნდა შემცირდეს, არამედ სრულიად უნდა აღმოიფხვრას.

ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკ. გზების გამგეობამ წინადადება მისცა ხაზზე მომუშავე ადმინისტრაციას სასტიკად ადევნოს თვალყური სახალხო მატარებლების მოძრაობას და ის აგენტები, რომელთა მიზეზით გამოწვეული იქნება მატარებლების დაგვიანება დასაჯონ ადმინისტრატიული წესით.

ფეხბურთი

„დინამო"—მელითონეები

დღეს, 6 იანვარს, დინამოს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ „დინამო—პირველი" და მელითონეები.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 7 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ს. შენგელია, ს. ვართანოვი, ნ. სისოევი, გ. ივანოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ახდრო ქვირაძე, ვლადიმერ გაბარაშვილი, გრიგოლ თივზაძე, მიხეილ აბშილავა, კონსტანტინე დარჩენკო, გიორგი ილიხანოვი, არტემ მარგალიტაძე, თამარ თოთურიძე, ელისაბედ რატიშვილი, ბარბარე მეძმარიაშვილი, იოსებ კაპანაძე, ვალერიან გოგნიაშვილი, ს. ავასიანი, მ. მუჯირი, ზ. ღლონტი, ვ. მელნიკოვი, თ. კლიმიაშვილი, თ. ბერაძე, ვ. ფირაძე, ვ. მაღლაკელიძე, ე. სიტრა, მ. ქარქაშაძე, სტეფანოვა, ა. ბათმანიშვილი.

შავ მუშაკთა მესამე სექციიდან: ს. ჯანგოშვილი, დ. ლასურაშვილი, მ. ტიგიშვილი, ა. დავითიძე, მ. მამულივი, თამარ ჩიქოვაშელ, ელენე მქელაძე, კორძ ყაზარაშვილი, სარქის მაგარიანცი, ვართან ტარმუდოვი, დიმიტრი ლომაძე, ანდრო გაბიძე, იოსებ პაპულიშვილი, ეგნატე ძაღოვი და ოლღა ამბურგი.

პარტიული კალენდარი

სამშაბათს, 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლოუბნის ქ.) დანიშნულია კომუნისტ-განათლების მუშაკთა საერთო საქალაქო კრების გაგრძელება.

დღის წესრიგში სდგას კამათის გაგრძელება და ამხ. ე. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვა.

კრებას უნდა დაესწრონ ყველა კომკავშირელი პედაგოგები და სახალხო განათლების თბილისის განყოფილების და განათლების სახალხო კომისარიატის კომკავშირელი მუშაკნი, კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივნები, დამხმარე საბჭოების ფრაქციათა თავმჯდომარეები და კომპარტიის და კომკავშირის რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა მუშაკნი.

—:—

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სოფლად მუშაობის განყოფილება იწვევს რომ ორშაბათს, 7 იანვარს, დღის 12 საათზე ამხ. რუთინოვის კაბინეტში შესდგება თათბირი კულტ-განმანათლებელი მუშაობის შესახებ კოლექტიურ მეურნეობებში და საბჭოთა მამულებში.

ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ცქარელი (კოლმეურნეობათა ცენტრი), დუგლაძე (სოფ. კავ.). გოგოლაძე (მიწსახკომი), სხარულიძე, მელიქაძე (მიწა-ტყის კავშ.), ჩხარტიშვილი (მთავარპოლიტგანი), ფრანგულიანი (ჯანსახკომი), გორდელაძე (ს. კ. (ბ) ტ. კ.) ციხელაშვილი (ც. კ. აგიტპროპი).

—:—

ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს სოფლად მუშაობის განყოფილება იწვევს, რომ ორშაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე ამხ. რუთინოვის კაბინეტში შესდგება კომისიის სხდომა მეკახეთეთა ამხანაგობების რეორგანიზაციის შესახებ. ქვემოდასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

რასულზადე (საქ. მოშალიხინი). დუგლაძე (სოფ. კავ.). ჭურცელაშვილი (მწყ. მსი). დევდარიანი (თერგის ხეა), ალიევი (ბირლიკი).

გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს თანამშრომლები და მუშები, მე-5 სტამბასთან არსებულ მე-18 კომუჯრედის წევრებთან ერთად აუწყებენ ამხანაგებს, რომ 5 იანვარს დილის 7 საათზე გულის სიგანიერით მოულოდნელად გარდაიცვალა ასოთ-ამწყობი

ივანე ნიკოლოზისძე ქარინოვი

გამოსვენება დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან,—დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე.

ს. მ. უ. ს. კომუჯრედი დიდი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ა. წ. იანვრის 4-ს გარდაიცვალა კომუჯრედის აქტიური წევრი

ნიკოლოზ გიორგის ძე პაპიაშვილი

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე ორშაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ანტონოვის ქ. № 14. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე. (ი)

ს. მ. უ. ს. თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა/წ 4 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა ს. მ. უ. ს. თანამშრომელი

ნიკოლოზ გიორგის ძე პაპიაშვილი

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე ორშაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ანტონოვის ქ. № 14 სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე. (ი)

მწუხარებაში მყოფი ლიზა არაჩემია აუწყებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას იანვრის 6-ს, დღის 1 საათზე დაუვიწყარი მეუღლის

პავლე თედორეს-ძე არაჩემიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 6177

სამუდამოთ გაუბედურებულნი და გულით ღრმად დედა ქეთია, მამა ფილიპე ფეოფილაქტოსები, დიდედა ნატალია, ბიძები ვანო და ნიკო, ძალო ქეთო ანანიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ დაუვიწყარი პატარა

დოდოშკას

ხსოვნის აღსანიშნავად 6 იანვარს, 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 6175

საქართველოს ლენინური [illegible] აუწყებს თავის წევრებს, რომ კვირას, დღის 12 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი ამხანაგის

ინჟ. ნიკოლოზ ლეჟავას

ხსოვნის აღსანიშნავად 43

დედა მარიამ პეტრეს ასული მეჩიტოვა, ძმები—გეორგ, ალექსანდრე, არმენაკ სერგეი, აგაფონი ცოლებით, დაი ასია მისი ქმრით კუბატაშვილით იუწყებიან, რომ ძვირფასი ქალიშვილის, დის და მულის

ანიჩკა მეჩიტოვას

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 6 იანვარს. ნაშუადღევის 1 საათზე განსვენებულის საფლავზე (ვერის ახალი სასაფლაო) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 6178

„ს. სოლომონიანის და ა. სიმონიანის" ცინკოგრაფია იუწყება ძვირფასი და დაუვიწყარი დამაარსებელის (1901 წ.) ცინკოგრაფიის მხატვარის

სარქის სოლომონიანის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს დილის 11 საათზე. გამოსვენება ბინიდან ივანიძის ქუჩა 34 (შუა ბაზრის ქუჩით) ვერის სასაფლაოზე. ნ. 2074

ნინო ია და გიორგი მელითაურები მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქალაქ თელავში 3 იანვარს გარდაიცვალა მათი მეგობარი

ნესტორ ვაჩეიშვილი (თ)

დამწუხრებული მეუღლე ქრისტინე შვილებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარკოზ ივანეს ძე სტურუა

დაკრძალვა სამშაბათს, 8 იანვარს, ქალ ქ სამტრედიაში. ნ. 2080

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიდა ანდიას ასული აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს რომ უდროოდ გარდაიცვალა

ისიდორე იოსების ძე ჯალახაძეს

ხსოვნის აღსანიშნავად 9 იანვარს, 3 საათზე ქალ ხაშურში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 2081

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს 8 იანვარს ღია წარმოდგენა. ხოზიკას

„ხოჭოების დღე" კომ. 3 მოქ.

დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

2—1 ნ. 2079

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	ნამდვილი მამაკაცი
არფასტო	ფუმპი კანოვის მონაწილეობით
სოლეი	ზვავი რეჟისორი ი. პერესტიანი
აპოლო	კირა კირალინა
კოლასი	მხატვრული სურათი კედელს იქით
მინიონი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი კასტუს კალინოვსკი
დარბაზი	თავდასხმა ვირგინი ს ფოსტაზე
[illegible]	თეთრი არწივი მე-5 და მე-6 სერია

ისტორიული სურათი ჯანყი
რეჟისორი ა. წუწუნავა
ოპერატორი — ა. დიღმელოვი
მორალი 1 და 2 სერია მისს მენდ
კირა კირალინა

0—1

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ОБЩЕСТВЕННЫЙ, НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ

ДАЕТ в 1929 г. **30 дней** ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ежемесячник ДАЕТ в 1929 г.

приложения

„БИБЛИОТЕКУ СОВРЕМЕННЫХ ПИСАТЕЛЕЙ"

8 КНИГ в которую войдут лучшие произведения совремеп. советских писателей и поэтов.

1. ИВ. ВОЛЬКОВ.—Юность.
2. Ф. ГЛАДКОВ.—Огненный конь.
3. В. КАТАЕВ.—Растратчики.
4. Ю. ЛИБЕДИНСКИЙ.—Комиссары.
5. Г. НИКИФОРОВ.—У фонаря.
6. А. НОВИКОВ-ПРИБОЙ.—Ухабы.
7. Ю. ОЛЕША.—Зависть.
8. „ПОЭЗИЯ НАШИХ ДНЕЙ". (Избранные советск. поэты).

24 КНИГИ СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ ГЮИ де-МОПАССАНА под редакц. и со вступит. статьей А. В. ЛУНАЧАРСКОГО.

4 многокрасочных выпуска „ЧЕТЫРЕ СЕЗОНА" около 400 рисунков мод, вышивок и проч. за год.

1 КНИГА РОМАН А. НЕВЕРОВА.—ТАШКЕНТ—ГОРОД ХЛЕБНЫЙ.

«Дополнительная премия—для годовых подписчиков, внесших полностью непосредственно в изд-ство или его отделения подписную плату к 1 января».

ПОДПИСНАЯ ПЛАТА с пересылкой и доставкой во все местности СССР.

I АБОНЕМЕНТ (9 руб. в год) 12 №№ „30 ДНЕЙ" 8 книг „БИБЛИОТЕКИ СОВРЕМЕННЫХ ПИСАТЕЛЕЙ" 4 №№ „ЧЕТЫРЕХ СЕЗОНОВ" на год . . 9 р. — к. ‖ на 3 мес. . 2 р. 50 к. „ 6 мес. . 4 „ 75 „ ‖ „ 1 „ . — 90 „

II АБОНЕМЕНТ (14 рублей в год). В этот 2-й абонемент входят, кроме перечисленного в 1-м абонементе 24 КНИГИ собр. соч. ГЮИ де-МОПАССАНА на год . . 14 р. — к. ‖ на 1 мес. . 1 р. 40 к.

ПРИ ПОДПИСКЕ НА ГОД НЕПОСРЕДСТВЕННО В ИЗДАТЕЛЬСТВЕ ИЛИ ЕГО ОТДЕЛЕН. ДОПУСКАЕТСЯ РАССРОЧКА ПЛАТЕЖА.

По I абонементу: при подписке . . 4 р., к 15 марта . . 3 р., к 15 июня . . 2 р.

По II абонементу: при подписке—4 р. 50 к., к 15 марта—3 р. 50 к., к 15 июня—3 р. 50 к., к 15 сентября—2 р. 50 к.

Подписчики „30 ДНЕЙ" за доплату в 3 руб. в ГОД ИЛИ 1 р. 60 к. за 6 месяцев могут получить самый распространенный ежемесячный детский журнал „ЕЖ"

ПОДПИСКУ И ДЕНЬГИ НАПРАВЛЯТЬ: МОСКВА, Центр, Ильинка, 15, Акц. Издат. О-ву „ЗЕМЛЯ и ФАБРИКА"

Подписка принимается во всех отделен. и представит. «ЗИФ», а также повсеместно на почте, во всех отдел. центральн. изд-в, в киосках Контр-ва Печати и на транспорте—уполн. газ. «Гудок».

სახკინმრეწვი • ГОСКИНПРОМ

ორშაბათიდან 7 იანვრიდან

კინო-თეატრებში აპოლო-პალასი-სოლეი არფასტო-განთიადი.

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის ნაწარმოები 1928—29 წლ ს სეზონი

ჯანყი

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით

სცენარი და დადგმა რეჟისორი ა. წუწუნავასი

ოპერ ტ. ა. დიღმელოვი

მთავარ როლებში: თამარ ბოლქვაძე, ი. ნაზარიშვილი, კ. ერისთავი, ა მეხნიაევი, გ მელივა, ვ ტაპაიძე, ს კანდელაკი, დ. ჩხეიძე, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ხინთიბიძე, ს. ფალავანდიშვილი, დ. ძნელაძე

ნ. 2071

სახკინმრეწვის გამგეობა

აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირთ, რომ ა. წ. 7 იანვრიდან 10-დე ის აწარმოებს განცხადებების მიღებას კინო-დადგმისათვის საჭირო კოსტიუმების შეკერვის ნარდათ გაცემის შესახებ.

შეკვეთა მიეცემა იმ პირს, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს შეკვეთის შესრულებისათვის (დახურულ წერილებში).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ადმინისტრატორ დავით სალაყაიასთან დღის 12 საათიდან 2 საათამდე. ნ.

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტ"-ზე ხელისმომწერის მიმღები აგენტები:

1) წერეთელი ლევან ლავრენტის-ძე,
2) ძველაია მირიან თეოფანეს-ძე და
3) მითაგვარია ნოე ევგენის-ძე

მოხსნილი არიან სამუშაოდან და მათზე გაცემული ყველა საბუთები გაუქმებულია.

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა სთხოვს ხელისმომწერთ ფულის ჩაბარებისას ან ხელის მოწერის დროს, აგენტებს მოსთხოვონ სათანადო მოწმობა გამომცემლობიდან მიღებული. 4—1

ცირკი კოლოსი ტელეფ. № 8-64

3 2 ნ. 2068

დღეს განახლებული პროგრამა 3 მოქმედებად

10 ახალი გასტროლიორი და მხეცების მორთვნელი ნ. პ. გლადილშჩიკოვი მტაცებელი ცხოველებით

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. წაიკითხეთ აფიშები!

კვირას 6 იანვარს დღის სანახაობანი

ყველა ახალი გასტროლიორი და გ. ადილ ეჩიაოვი

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე

კახეთის სატყეო ტეხნიკუმი (სოფ. ყვარელში) **იწვევს მასწავლებლებს** მათემატიკის, გერმანულის და რუსულ ენებისას.

პირობების გაგება შეიძლება 8 იანვრამდე თბილისში ყოველდღე საღამოს 5—6 საათამდე. ანნურის ქუჩა გროსსის სახლი № 8 თაქთაქიშვილის ბინა (ეზოში) 2—1—ნ170

ელექტრო ნაგებობათა სამმართველო „თელასი"

აცხადებს აბონენტების საყურადღებოდ, რომ შემკრებ—ინკასატორებისათვის „თელასის" კუთვნილი ფულის ჩაბარების დროს აბონენტებმა მათ უნდა მოსთხოვონ პირადობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით და აგრეთვე, საამბონენტო ბარათის შევსების გარდა უნდა გამოართვან მათ არსებული ფორმის ქვითარი ფულის მიღების შესახებ გარკვეული ხელმოწერით.

თუ აბონენტს არ ექნება აღნიშნული ქვითარი მის პრეტენზიებს ფულის გადახდის შესახებ არ გაეწევა ანგარიში.

თელასის დირექტორი ზირიუკინი.
ნ. 2076. საქმეთა მმართველი გრიგაშვილი.

ქ. თბილ. მე-1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორხაძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 იანვარს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 83 კალინინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სოლომონ ხანზინის მოძრავ ქონებას: როიალს „დიდრიხ ფრერს"-ის, სავარძელს, სარკიან ტრიუმოთი, საიან შიფონერკას, 5 სკამს, ინგლისურ საწოლებს და სხვა ნივთებს შეფასებულს 575 მანეთად, მოქ. გრიგოლ გაბიცინაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან დეკემბ. 1928 წ. თარიღით, № 156 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის. 6181

ქ. თბილისის საბინაო სასამართლოს აღმასრულებელი დ. ბ. თოდუა

ამ აცხადებს, რომ ის 9 იანვარს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 82 ბედის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვირგინია და რუბენ ავეტისოვების მოძრავ ქონებას: საწოლ, დიდს და პატარა სპილენძის ქვაბებს, დიდ ქვაბს და სხვას შეფასებულს 85 მანეთად, მარიამ კაპლოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სასამართლოსაგან 10 დეკემბ. 1928 წ. თარიღით, № 2418 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 6176

როიალი ბეკერის ძლიერ კარგი და ტანთსაცმელის შკაფი **იყიდება** პლეხანოვის პროსპ. № 183, დაბლა სართული. 6174

ა. წ. 4 იანვარს ღამით **ვიპოვნე ძაღლი „სეტერი"** პატრონს ვსთხოვ გამოცხადდეს წასაყვანად ა. წ. 10 იანვრამდე ბარნოვის ქუჩა № 6 საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე—აღნიშნულ ვადის შემდეგ უფლებას ვიტოვებ ძაღლი გამოვაცხადო ჩემად. ლ. ეზიაშვილი. ნ. 2077

ექ. დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და [illegible] ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ქ. ქუთაისი ექიმი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). ნ. 25—11

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი** სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანისა დაქ... ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 2 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ. —7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი** (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 საღამოს—6—7 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 1 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე მისავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25 3

ექიმი **ა. დ. კეკელია** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი** იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. N 20, მესამე სართული. 6144 50—1

ექიმი **გ. გ. ფხალაძე** მარტიას ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან. ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილა-საღამოს. ნ. 8 25—1

კბილის ექიმი **დ. ს. რიქინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგან ავადმყოფ. ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპირქუჩაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ლოგოპედი **ა. ა. პაიჭაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ბორძიკებს, ფეფლიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132. 13—1 ნ. 1608

დაკარგა: ცხრაწლედის დამთავრების მოწმობა ნ. ჯიბლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6182

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 280/1413 გაცემული მარტვილის თემ-აღმასკომიდან ვასილ ივანეს ძე [illegible]სიავას სახელზე, ჩ. გ. 44

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 30161, პირადობის მოწმობა № 4708 დავით მეჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 45

დაკარგა: კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 5646, მუშკოოპის წიგნაკი № 208602, [illegible] წიგნაკი გრიგოლ შონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6180

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 44092 ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილის სახელზე, ჩ. გ. 41

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 3068 ქ თო თოფჩიშვილის სახელზე, ჩ. გ. 42

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.